# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
25 აგვისტო ხუთშაბათი 2011
№ 199 (13496) ფასი 80 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა

CHAMPIONS LEAGUE

## დღეს მონაკოში...

### ჩემპიონთა ლიგის წილისყრა გაძევებული ფენერბაჰჩეს გარეშე

**ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებენ**

**ესპანეთი (4):** ბარსელონა, რეალი, ვალენსია, ვილიარეალი
**ინგლისი (4):** მანჩესტერ იუნაიტედი, ჩელსი, მანჩესტერ სიტი, არსენალი
**იტალია (3):** მილანი, ინტერი, ნაპოლი
**გერმანია (3):** დორტმუნდი, ლევერკუზენი, ბაიერნი
**საფრანგეთი (3):** ლილი, მარსელი, ლიონი
**რუსეთი (2):** ზენიტი, ცსკა
**პორტუგალია (2):** პორტუ, ბენფიკა
**ჰოლანდია (1):** აიაქსი
**უკრაინა (1):** შახტარი
**თურქეთი (1):** ტრაბზონი
**საბერძნეთი (1):** ოლიმპიაკოსი
**ბელგია (1):** გენკი
**ჩეხეთი (1):** პლზენი
**რუმინეთი (1):** ოცელული
**შვეიცარია (1):** ბაზელი
**ხორვატია (1):** დინამო ზაგრები
**ბელარუსი (1):** ბატე
**კვიპროსი (1):** აპოელ

8-9

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალექს გარსია:

# მე ♥ გული

## პოდა, გულით იყოს თამაშიც და ქომაგობაც!





3

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



## თითქმის ჩაშლილი მეორე ტური

### ესპანეთში ვერ თანხმდებიან

5







2

გია ქიაბრიშვილი

ლევან ჯანეზაშვილის ფოტო

ქართული ფეხბურთი

ევროპის ლიგა. ბრიუგე-ზესტაფონი. წინასამატჩო

# ზესტაფონი შოკოლადის დედაქალაქში



ზესტაფონის ვარჯიში ბრიუგეში

ავტორის ფოტო

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბრიუგედან

"ზესტაფონი" ბრიუგეში დამღლელი მგზავრობის შემდეგ, თბილისი-მინსკი-ოსტენდეს ჩარტერული ავიარეისით 19 ფეხბურთელის შემადგენლობით ჩაფრინდა, სალამოს კი "იან ბრეიდელზე" ორივე გუნდის ღია ვარჯიში და მთავარ მწვრთნელთა პრესკონფერენციები გაიმართა.

დასავლეთ ფლანდრიის პროვინციის დედაქალაქ ბრიუგეს ჩრდილოეთის ვენეციას უწოდებენ. მთელი ქალაქი დაქსელილია ვიწრო არხებით, ხოლო შენობების ფასადები ბრიუგეს ზღაპრულ ქალაქს ამსგავსებს. აქაური კონდიტერები სიამოვნებით აცოცხლებენ ამ სახლების მინი-მოდელებს შოკოლადში, რათა ტურისტებს სამუდამოდ დაამახსოვრონ ამ თავბრუდამხვევ პატარა ქალაქში სტუმრობის სიტკბოება.

საკმაო ხანდაზმულობის მიუხედავად, ბრიუგე სულით ახალგაზრდაა. აქ სიცოცხლის ფეთქვა ყველგან ძალუმად იგრძნობა: გოთიკური კოშკურების წინ მოხრიგინე ეტლებში, ვიწრო ქუჩაში უდარდელად მოსეირნე ველოსიპედისტის სილუეტში, მუშტრების მომლოდინე მაღაზიების ჭრელ ვიტრინებში, სიმპათიურ კაფეებში...

ბრიუგე უნიკალურია იმითაც, რომ მის ეკლესიათა და მუზეუმთა რიცხვი ლამის მის მკვიდრთა რაოდენობას სჭარბობს. შუა საუკუნეების ძეგლები ორ მსოფლიო ომს უვნებლად გადაურჩა – ბრიუგე ადოლფ ჰიტლერის საყვარელი ქალაქი იყო და მეორე მსოფლიო ომის მოგების შემდეგ ევა ბრაუნთან ერთად იქ დასახლებას აპირებდა. ფიურერის ბრძანებით, ომის დროს ბრიუგეში ერთი ბომბიც არ ჩავარდნილა.

აქ ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით შუა საუკუნეების კოშკურებს, დიდებულ ტაძრებს, ძველ სამრეკლოებსა და ქვისგან გამოქანდაკებული წმინდანების ფიგურებს. რაც შეეხება სასმელს, ბელგიაში დაახლოებით 600 სახეობის ლუდი იხარშება...

ბრიუგეს ღირსშესანიშნაობათა გვირგვინს ბელგიური შოკოლადი წარმოადგენს. ბრიუგე შოკოლადის მოყვარულთა და გურმანთა ნამდვილი მექაა. აქ მდებარეობს შოკოლადის მუზეუმი, რომელიც ზღაპრების დეკორაციებს მოგვაგონებს, აგრეთვე შოკოლადის ურიცხვი რესტორანი, სადაც აბსოლუტურად ყველა კერძი მომზადებულია ამ ჯადოსნური ინგრედიენტის გამოყენებით.

## საფეხბურთო ბრიუგე

"იან ბრეიდელის" სტადიონი და მისი მიმდებარე ტერიტორია ნამდვილი საფეხბურთო ოაზისია. თავად არენა წმინდა საფეხბურთოა და ადვილი წარმოსადგენია, როგორი მხარდაჭერა ექნება "ბრიუგეს" – როგორც გვითხრეს, ამ კლუბის ფანები განსაკუთრებული ენერგიულობით, ზოგჯერ კი აგრესიითაც გამოირჩევიან.

"იან ბრეიდელი" "ბრიუგესა" და "სერკლ ბრიუგეს" ერთობლივი საკუთრებაა და ტერიტორია ერთმანეთის მოძულე კლუბებს თანაბრად აქვთ გაყოფილი. აქ ნახავთ ორივე კლუბის ოფისს, საფირმო მაღაზიას, კაფეს, თანაბრადაა განაწილებული ბავშვთა გუნდებისთვის განკუთვნილი მოედნებიც.

სტადიონის სიახლოვეს დაახლოებით ოცი კოხტა ხელოვნურსაფრიანი მოედანია, სადაც ქალაქის ორივე კლუბის მომავალი თაობები იზრდებიან.

ქალაქში დღევანდელი მატჩისწინა აჟიოტაჟი მაინცდამაინც არ იგრძნობა, მაგრამ "ბრიუგეს" გასამხნევებლად დღეს სტადიონზე დაახლოებით 20 ათას ადამიანს ელიან. "ზესტაფონს" კი ბელგიაში მცხოვრები ათასამდე ქართველი უქომაგებს.

## ადრი კოსტერი: არგასვლა სირცხვილი იქნება

"ბრიუგეს" მთავარმა მწვრთნელმა **ადრი კოსტერმა** "ზესტაფონზე" დადებით კონტექსტში ილაპარაკა, მაგრამ წყვილის ფავორიტად საკუთარ გუნდს მიიჩნევს:

*"ჩვენთვის ამ ეტაპის გადალახვა სავალდებულოა. ეს რომ არ გავაკეთოთ, უბრალო წარუმატებლობა კი არა, ტრაგედია იქნება. 0:0-ზე ან 1:1-ზე ნამდვილად არ ვითამაშებთ, რადგან მეტოქის სათამაშო სტილიდან გამომდინარე, ამის გამო შეიძლება დავისაჯოთ.*

*"ზესტაფონი" ჩვენს წინააღმდეგ გაორმაგებული ენერგიით ითამაშებს, რადგან თბილისური მატჩის მეორე ტაიმმა ამ გუნდის წევრებს საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნა და აქაც გაორმაგებული ჟინით იბრძოლებენ.*

*"ზესტაფონისთვის" კარგია, რომ საქართველოს ჩემპიონატის მატჩი გადაუდეს, ჩვენ კი გასულ უქმეებზე ბელგიის ჩემპიონატში კალენდარული შეხვედრა ჩავატარეთ.*

*ხელი დაიშავა ჩვენმა სათადარიგო მეკარე კუიოვიჩმა, ლიორ რაფაელოვმა კი ბელგიის ლიგის გასული ტური გამოტოვა, მაგრამ "ზესტაფონთან" აუცილებლად ითამაშებს.*

*"ბრიუგე" დიდი ისტორიის კლუბია და ჩვენთვის ევროპის ლიგის ჯგუფში ვერმოხვედრა სირცხვილი იქნება".*

## ჩვენი შანსები: 50 პროცენტი, იქნებ, მეტიც...

"ზესტაფონის" მხრიდან მატჩისწინა პრესკონფერენციაზე იმერელთა თავკაცი **გია ჭიაბრიშვილი** და **ნიკოლოზ გელაშვილი** გამოცხადდნენ. ორივემ ოპტიმისტური განცხადებები გააკეთა.

**გელაშვილი:** *"ვფიქრობ, შანსები 50/50-ზეა. ჩვენი გუნდი ბრძოლისთვისაა შემართული და ვეცდებით, ამ ურთულეს ამოცანას თავი წარმატებით გავართვათ".*

**ჭიაბრიშვილი:** *"ბრიუგე" ძლიერი გუნდია, თამაშობს შემტევ ფეხბურთს და შესაძლოა, სწორედ ეს იყოს ჩვენი შანსი. თბილისში მეორე ტაიმი მაღალ დონეზე ჩავატარეთ და თუ ის დონე შევინარჩუნეთ, ჩვენი შანსები 50 პროცენტზე მეტიც იქნება. წინ დიდი ბრძოლა გველის, გამარჯვებისთვის კი თავს არ დავზოგავთ".*

"ზესტაფონის" 19-ივე ფეხბურთელმა "იან ბრეიდელზე" სრული დატვირთვით ივარჯიშა. წვრთნას დაესწრო კლუბის პრეზიდენტი **ილია კოკაია,** რომელიც "ზესტაფონს" ბრიუგეში შეუერთდა

U17 პალანგის ტურნირი

# ჯგუფში პირველი ქართველები უკვე ფინალში არიან

პალანგის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა აზერბაიჯანელ თანატოლებს 2:1 მოუგო.

ქართველმა ჭაბუკებმა ორივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანეს. ანგარიში **ალეკო მზევაშვილმა** გახსნა, რამდენიმე წუთში კი **რომან ჭანტურიას** გამომუშავებული თერთმეტმეტრიანი **მათე ცინცაძემ** გოლად აქცია.

აზერბაიჯანელებმა ანგარიშში სხვაობის შემცირება პირველი ტაიმის ბოლო წუთზე შეძლეს.

საქართველო: **ადამია, გაბაძე, ნ. ჭანტურია, დვალი (53. ჩაკვეტაძე), გოროზია, აბურჯანია (კაპ), ცინცაძე (58. ახვლედიანი), პაპუნაშვილი (58. ჭეჭელაშვილი), კაკაბაძე (41. დარციმელია), რ. ჭანტურია, მზევაშვილი**

გოლები: **მზევაშვილი (34), ცინცაძე (38 პენ)**

გაფრთხილება: **რ.ჭანტურია, აბურჯანია, მზევაშვილი**

ჯგუფის სხვა მატჩში ლატვიამ ბელარუსი 2:0 დაამარცხა. ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრის წინ საქართველოს ნაკრები 6 ქულით ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია და, ფაქტობრივად, უკვე ტურნირის ფინალშია.

ხვალ გუნდები დაისვენებენ. 26 აგვისტოს კი ჯგუფებში ბოლო მატჩები გაიმართება და ფინალში საქართველოს ნაკრების მეტოქეც გაირკვევა.

gff.ge

## ვაზუსტებთ!

„ლელოს" გუშინდელ ნომერში ახალი რუბრიკით „მსაჯთა საფიხვნო" გამოქვეყნდა ინტერვიუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების უფროსთან **ლევან ფანიაშვილთან**, რამაც მკითხველთა და სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ავტორის მიზეზით დაშვებულია უზუსტობა: მეორე შეკითხვის პასუხის მეორე წინადადება ასე უნდა იკითხებოდეს: „წესებში გარკვევით წერია, რომ **თუ მოთამაშე ბურთს იღებს უშუალოდ კარიდან დარტყმის შემდეგ, ამ შემთხვევაში თამაშგარე მდგომარეობა არ ფიქსირდება"...**

ჩვენებური უცხოეთში



# ქინქლაძე ანორთოსისის ტექნიკური დირექტორია

20 აგვისტოს ფამაგუსტის „ანორთოსისმა" ტექნიკურ დირექტორად წარსულში ამ გუნდის ფეხბურთელი, ლეგენდარული ქართველი **გიორგი ქინქლაძე** დანიშნა. *„მას წარმატებული წლები გაუტარებია ჩვენს კლუბში და კარგად იცნობენ მსოფლიოშიც",* - ვკითხულობთ კლუბის ოფიციალურ საიტზე. შეგახსენებთ, რომ ქინქლაძის გუნდმა ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან „გაგრა" გამოთიშა, თუმცა შემდეგ მაკედონიის „რაბოტნიჩკის" ბარიერი ველარ გადალახა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **ილსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ლიგა. დინამოს პრესკონფერენცია

# ალექს გარსია:
# რასაც ვერ ახერხებს ჯადო და ფეხი, აკეთებს გული



დღეს თბილისის "დინამო" ათენის აეკ-ს ეთამაშება და იმედია, ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გააღწევს.

ეროვნული სტადიონის ისედაც არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი მოედნის საფრის ზედმეტად დატვირთვისა და უარესად წახდენის შიშით, დინამოელთა მთავარი მწვრთნელი ალექს გარსია გუშინდელ ვარჯიშს საგურამოში გეგმავდა. თუმცა შემდეგ გადაწყვიტა, რომ "ბოლო რეპეტიცია" მაინც "ბორის პაიჭაძეზე" აჯობებდა და ვარჯიში 18 საათზე დანიშნა, ნახევარი საათით ადრე კი მედიას შეხვდა.

## ალექს გარსია:

- ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია და გულშემატკივარს მოვუწოდებ, გუნდს გვერდში დაუდგეს, რათა შემდეგ ეტაპზე გასვლა შევძლოთ. შინ ვთამაშობთ და, მიუხედავად იმისა, რომ პირველი შეხვედრა წავაგეთ, იმედია, ხვალინდელ მატჩს წარმატებით დავასრულებთ.

**- ჰარი პოტერის ჯოხი ხომ არ იპოვეთ?**

- ოოო, ერთი კვირაა, ვეძებ, მაგრამ საამისოდ კიდევ დამრჩა 24 საათი. საერთოდ, რასაც ვერ შეძლებს ჯადოსნური ჯოხი და ფეხები, შეძლებს გული და მეც ჩვენი მოთამაშეების გულიანი თამაშის იმედი მაქვს. ბიჭებმა თავისი თამაშით დაიმსახურეს ის, რომ სტადიონზე ბევრი მაყურებელი მოვიდეს.

**- აეკ-თან მეორე ტაიმის ბოლო 15 წუთში გუნდის მოქმედებით უკმაყოფილო იყავით. რას მიაწერთ თქვენი ფეხბურთელების ასეთ თამაშს –არასრულყოფილ ფიზიკურ მომზადებას თუ სტიმულის ნაკლებობას?**

- უპირველესად, საერთაშორისო თამაშების გამოცდილების დეფიციტს. ბოლო 10 წუთის განმავლობაში მოედანზე ვითარების გაკონტროლება ამიტომაც ვერ შევძელით.

**- მოწინააღმდეგის რომელ რგოლს გამოარჩევთ და ყველაზე მეტად ვის უნდა ვუფრთხოდეთ?**

- ნახევარდაცვას და ესპანელ ხოსე კარლოსს, მან ყველაზე მეტი პრობლემა შეგვიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე თამაში განსხვავებული იქნება, მას მაინც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

**- ხვალინდელი მატჩის 11 ფეხბურთელი უკვე შეარჩიეთ?**

- ახლა ყველა შეკრებაზეა და დღევანდელი ვარჯიშის შემდეგ გავაკეთებ დასკვნებს. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დაგვაკლდებიან კაშია და ხმალაძე.

**- რატომ არ იყო ბოლო შეხვედრებში რობერტინიო, ტრავმა თითქოს არ ჰქონდა?**

- ტრავმა არ ჰქონია, მაგრამ გუნდში დიდი კონკურენციაა და ბოლო ვარჯიშებიდან გამომდინარე, 18 კაცს მიღმა დარჩა. დღეს ჩვეულებრივად ივარჯიშა.

**- ახლაც ასე იქნება?**

- ახლა კარგად ვარჯიშობს.

**- 0:1 სარისკო ანგარიში არ არის?**

- კიდევ ერთი რომ გაგვიტანონ, შესაძლოა, გასვლაზე ფიქრი წარმოუდგენელი იყოს. მაგრამ "მანჩესტერისა" და "ბაიერნის" ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ ფეხბურთში შეუძლებელი არაფერია. ხვალინდელ მატჩში ჩვენი ფეხბურთელები მოედანზე თავს დადებენ.

**- აეკ-ს დელასი დააკლდება..**

- მე ახლა ჩემი გუნდის ამბები მადარდებს, აეკ-ს კი გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს და, ვფიქრობ, დელასი დიდი დანაკლისი არ იქნება, მას სრულფასოვან შემცვლელს მოუძებნიან.



**მერაბ მამულაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

აეკ. პრესკონფერენცია

# მანოლო ხიმენესი:
# 1:0 1:1-ს სჯობია

**ათენის აეკ-ი თბილისში გუშინ, 12:30-ზე ჩამოვიდა ჩარტერული რეისით. ბერძენთა მთავარი მწვრთნელი მანოლო ხიმენესი საპასუხო მატჩში ვერ დაეყრდნობა ტრაიანოს დელასს, რომელსაც პირველ შეხვედრაში კუნთი დაეჭიმა.**

**აეკ-მა 20 საათზე ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშა, მანამდე კი მანოლო ხიმენესმა პრესკონფერენცია გამართა.**

**მანოლო ხიმენესი**: ძალიან მძიმე თამაშს ველი. შესაძლოა, ყველაფერი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტოს. ასე რომ, როგორც პროფესიონალები, ვალდებულნი ვართ, შედეგზე ვითამაშოთ.

**- შანსებს როგორ აფასებთ?**

- ჩვენ უკვე მოვიგეთ პირველი შეხვედრა და გოლიც არ გაგვიშვია. თუმცა 1:0 ისეთი ანგარიშია, რომელიც შემდეგ ეტაპზე გასვლის გარანტიად ვერ გამოდგება. 90 წუთი უმძიმესი ბრძოლა გველის და საამისოდ მზად ვართ.

**- „დინამოსგან" ასეთ წინააღმდეგობას ელოდით?**

- ველოდი, რადგან კარგად ვიცოდი, რომ კარგ, ევროპული დონის გუნდს ვხვდებოდით, რომელსაც სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს. იმედია, ჩვენც ასევე გვაფასებთ.

**- რატომ გაუჭირდა აეკ-ს პირველი მატჩის მოგება, 1:0 დამაკმაყოფილებელი შედეგია?**

- ასეთ დაპირისპირებებში მთავარი საპასუხო შეხვედრებია. იმიტომ ვერ მოვიგეთ უფრო დიდი ანგარიშით, რომ ძნელი თამაში იყო. ვერც იმას ვიტყვი, რომ 1:0 დამაკმაყოფილებელი შედეგია, თუმცა 1:1-ს და 0:0-ს ნამდვილად სჯობია. 2:0 მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ მატჩის მიწურულს მსაჯმა გოლი არ ჩაგვითვალა.

**- "დინამოსაც" ესპანელი, ალექს გარსია წვრთნის. მასთან თუ გქონიათ ადრე ურთიერთობა?**

- მახსოვს, რომ „ბარსელონას" მეორე გუნდს წვრთნიდა და ძალიან კარგად იმუშავა. მე მაშინ „სევილიას" მეორე გუნდს ვავარჯიშებდი, მთავარი გუნდი შემდეგ ჩამაბარეს. მართალია, ერთმანეთის წინააღმდეგ არასოდეს გვითამაშია, მაგრამ ვიტყვი, რომ კარგი მწვრთნელია.

**მერაბ მამულაშვილი**



წინასამატჩო



# ჩისკო:
# ძალიან მინდა, სტადიონი გაივსოს

დღეს თბილისის "დინამო" ევროპის ლიგის პლეი ოფის განმეორებით შეხვედრაში ათენის აეკ-ს უმასპინძლებს. შეხვედრის მნიშვნელობაზე ლაპარაკი, ცხადია, ზედმეტია, ამიტომაც დინამოელები განსაკუთრებულ სამზადისში არიან.

თბილისელთა ესპანელ ლეგიონერ **ჩისკოს** მცირე კომენტარი ვთხოვეთ.

*"საკმაოდ ძლიერი მეტოქე შეგვხვდა. ნურავის მოატყუებს პირველი შეხვედრის შედეგი — ამ გუნდს საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს, რაც ათენური შეხვედრის ბოლო წუთებზე გამოჩნდა. ჩვენ განსაკუთრებული მობილიზაცია გვჭირდება და ნუ გვექნება ილუზია, რომ აეკ-ი ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის შანსს იოლად დათმობს.*

*ბერძნებს ასაკოვანი მოთამაშეები კი ჰყავთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მოედანი არ არის ისეთ მდგომარეობაში, სწრაფად რომ ვეთამაშოთ. არადა, "დინამოში" ოთხი ესპანელი ვართ და ბურთის დაბლა გაგორება გვიყვარს, ისევე, როგორც ქართველებსა და რობერტინიოს.*

*მე მჯერა ჩვენი გუნდისა და მინდა, სტადიონი ბოლომდე შეივსოს. წარმომიდგენია, ამხელა არენაზე სავსე ტრიბუნების წინაშე თამაშს როგორი ემოციები ახლავს, თანაც, ყველა თუ იყვირებს "დინამო"! "დინამო"! ამის ახლა წარმოდგენაც კი ძალიან მსიამოვნებს"* – გვითხრა ჩისკომ.

**მერაბ მამულაშვილი**

# დინამოს მარჯანიშვილის თეატრიც უქომაგებს

"დინამოსა" და აეკ-ის მატჩისთვის, ცხადია, გულშემატკივრებიც ემზადებიან. დინამოელთა ოფიციალურ ფანკლუბ „გლადიატორების" წევრებმა ფლაერების დარიგება მთელი ქალაქის მასშტაბით დაიწყეს.

„გლადიატორების" ნაწილი დილომში, „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბა, ნაწილი კი - მეტროსადგურ „სარაჯიშვილთან".

თბილისურ კლუბს ცნობილი მხარდამჭერებიც გამოუჩნდნენ – მატჩზე დასასწრები ბილეთები მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებმა შეიძინეს.

*"თეატრის დასი 25 აგვისტოს შეხვედრას დაესწრება და "დინამოს" უქომაგებს.*

*თეატრალური საზოგადოება წარსულში დინამოელთა გამორჩეული გულშემატკივარი იყო და სასიამოვნოა, რომ ეს ტრადიცია გრძელდება"* - იუწყება კლუბის ვებგვერდი.

გულშემატკივარს მიმართა "დინამოს" მეპატრონე **რომან ფიფიამაც**, რომელმაც ქომაგებს მადლობა გადაუხადა გუნდის მხარდაჭერისთვის.

**მერაბ მამულაშვილი**



ფიფას რეიტინგი

# ესპანელთა და ქართველთა უკუსვლა

გუშინ ფიფა-კოკა-კოლას ახალი რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა და ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილებაც მოხდა — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთი „ტახტიდან ჩამოაგდეს". ესპანელები წელიწადზე მეტხანს პირველობდნენ, ახლა კი მათ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებმა, ჰოლანდიელებმა აჯობეს. შეგახსენებთ, რომ აგვისტოში ესპანეთის ნაკრები იტალიასთან 1:2 დამარცხდა.

კოპა ამერიკას გამარჯვებულმა ურუგვაის ნაკრებმა მე-5 ადგილი შეინარჩუნა და სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე რეიტინგით პირველი გუნდი გახდა მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ბრაზილია (რომელიც დაქვეითდა) ჩამოიტოვა.

საქართველოს ნაკრებმა 10 აგვისტოს ამხანაგური მატჩი დათმო პოლონეთთან - 0:1, ეს კი უმალ აისახა რეიტინგში — თემურ ქეცბაიას გუნდმა ერთბაშად 6 ადგილი დაკარგა. ჩვენს გუნდს 522 ქულა აქვს და პანამისა და ლიბიის სამეზობლოში იმყოფება. ევროპელთა შორის საქართველოს ნაკრები 34-ე პოზიციაზეა პოლონეთის წინ და ჩრდილო ირლანდიის შემდეგ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| | |
|---|---|
| 1 (+1). ჰოლანდია | 1596 |
| 2 (-1). ესპანეთი | 1563 |
| 3 (-). გერმანია | 1330 |
| 4 (+2). ინგლისი | 1177 |
| 5 (-). ურუგვაი | 1174 |
| 6 (-2). ბრაზილია | 1156 |
| 7 (+1). იტალია | 1110 |
| 8 (-1). პორტუგალია | 1060 |
| 9 (+1). არგენტინა | 1017 |
| 10 (-1). ხორვატია | 1009 |
| ... 14 (-1). საბერძნეთი | 937 |
| ... 32 (-). ისრაელი | 746 |
| ... 84 (-1). ლატვია | 388 |
| ... 167 (+6). მალტა | 102 |

# საქართველოს ჩემპიონატი

## პირველი ლიგა. გუნდების განაცხადები

## ა ზონა

### დინამო (ბათუმი)

| | |
|---|---|
| შოთა მამინაშვილი | 30.08.86 |
| თეიმურაზ კაკალაძე | 06.05.88 |
| ზვიად ლობჟანიძე | 27.02.87 |
| ნიკა ხუხია | 31.08.88 |
| არჩილ ბაჯელიძე | 07.04.86 |
| ლაშა რამიშვილი | 30.01.90 |
| კარენ მაკარიანი | 03.03.88 |
| მამია ჟვანია | 27.04.89 |
| ნიკა დიასამიძე | 02.09.94 |
| დემურ სამსეიშვილი | 03.05.85 |
| მიხეილ ჯორბენაძე | 18.11.87 |
| დავით მალაზონია | 26.06.91 |
| ალექსანდრე ბაციკაძე | 30.01.90 |
| ვალერიან თევდორაძე | 11.10.93 |
| თორნიკე ბერიძე | 11.02.90 |
| ლაშა კალანდაძე | 07.01.91 |
| მირზა ფარტენაძე | 16.05.90 |
| ნიკა ნასუაშვილი | 20.03.91 |
| ამირან მუჯირი | 20.04.74 |
| გიორგი კაჭკაჭიშვილი | 08.08.90 |
| ლაშა გაბრიჭიძე | 21.02.89 |
| გელა გოგიტიძე | 25.11.90 |

მთ. მწვრთნელი: იოსებ ნასუაშვილი 28.01.72
მწვრთნელები: ალექსანდრე კანტიძე 15.09.68
ელდარ კუპრაძე 02.08.64
იური მამინაშვილი 14.01.57
ივანე მახარაძე 30.04.70
კახა ვაჩეიშვილი 13.12.74

### კოლხეთი (ხობი)

| | |
|---|---|
| დავით ხარძეიშვილი | 30.11.80 |
| ზაზა გელაშვილი | 17.07.92 |
| გელა ლომაია | 24.01.86 |
| ოთარ ფიფია | 05.09.85 |
| გიორგი გოგენია | 01.01.86 |
| ლევან ჩაჩიბაია | 01.03.89 |
| ბაკურ ბუკია | 24.01.91 |
| ცოტნე ბუკია | 03.01.90 |
| მამუკა ჭკადუა | 15.11.85 |
| ირაკლი კუტალია | 27.02.86 |
| ლაშა მეფიშვილი | 13.01.91 |
| პაატა ბაკარაძე | 20.03.82 |
| რობიკო ცობეხია | 04.04.91 |
| ლევან გოგენია | 18.04.91 |
| ვაგნერ ფირცხელავა | 28.01.88 |
| მიხეილ ბესარაშვილი | 07.11.84 |
| პაპუნა გაბრავა | 05.01.80 |
| გიორგი ქირია | 19.10.91 |
| კოტე ალანია | 06.11.83 |
| დათა ნარსია | 11.06.90 |
| ირაკლი გერგაია | 28.02.94 |

მთავარი მწვრთნელი: თენგიზ ჭიჭინაძე 24.02.70
მწვრთნელი: კალისტრატე ხურცილავა 29.12.68

### ლოკომოტივი (თბილისი)

| | |
|---|---|
| იოსებ ხომერიკი | 29.03.88 |
| ბაკურ საჯაია | 06.06.92 |
| ბექა ტყემალაძე | 12.02.95 |
| დათო საჯაია | 23.08.93 |
| გიორგი მჭედლიშვილი | 18.01.92 |
| გივი ბაქრაძე | 17.11.93 |
| ბორის მახარაძე | 08.11.90 |
| დათო მიქავა | 01.08.93 |
| დავით ბაქრაძე | 26.12.92 |
| გიორგი კაპანაძე | 05.07.91 |
| გიორგი მაისურაძე | 29.11.91 |
| ნუგზარ შერაზადიშვილი | 01.01.92 |
| ანრი ძიძიგური | 16.08.93 |
| ნიკა ჭანტურია | 19.01.95 |
| გიორგი გოროზია | 26.03.95 |
| გიორგი მაკასარაშვილი | 02.02.95 |
| გიგა გურეშიძე | 28.07.95 |
| გიორგი გაბაძე | 02.03.95 |
| დავით ჯიქია | 10.01.95 |
| ამირან გუგუშვილი | 02.06.95 |
| დავით გუჯაბიძე | 12.08.95 |
| მათე ცინცაძე | 07.01.95 |
| დათო დარციმელია | 28.01.95 |
| გიორგი შარანგია | 06.01.93 |
| გერასიმე რეზესიძე | 22.02.93 |

მთავარი მწვრთნელი: გიორგი ჩიტაური 04.11.78
მწვრთნელები: დიმიტრი თოფურიძე 01.04.77
კონსტანტინე გუგუნავა 08.08.73

### მესხეთი (ახალციხე)

| | |
|---|---|
| გელა ძამუნაშვილი | 31.03.81 |
| დიმიტრი ლეკიშვილი | 17.10.81 |
| ომარ დარჩია | 25.06.91 |
| ირაკლი ცნობილაძე | 28.08.84 |
| ზურაბ ბარძიმაძე | 05.04.84 |
| დავით ხანიშვილი | 27.04.82 |
| კობა ხანიშვილი | 29.07.84 |
| გიორგი ძურღაძე | 18.11.88 |
| ზურაბ სუდაძე | 09.12.82 |
| მათე ლეკიშვილი | 03.06.80 |
| დავით ინასარიძე | 24.02.76 |
| გიორგი მურადაშვილი | 20.12.93 |
| გიორგი ყულიჯანიშვილი | 29.12.91 |
| გრიგოლ გევორქიანი | 12.10.85 |
| გიორგი წინამძღვრიშვილი | 14.07.87 |
| ლექსო ოქრომელიძე | 07.10.92 |
| დავით ტლაშაძე | 17.12.87 |

მთავარი მწვრთნელი: პაატა გოგოლაძე 08.12.87
მწვრთნელი: ზიგმუნდ ზილბერშტეინი 19.12.65

### ქიათურა

| | |
|---|---|
| იმედა ტყეგუჩავა | 16.01.86 |
| შალვა ფირცხალავა | 18.09.84 |
| ზაურ ხაჭიპერაძე | 19.09.86 |
| გიორგი ძირია | 10.05.83 |
| დავით ძირია | 08.02.82 |
| ნიკა გაფრინდაშვილი | 28.05.88 |
| ლაშა ცუცქირიძე | 20.02.89 |
| ჯემალ ლაშხი | 14.11.87 |
| გიორგი მეცხოვრიშვილი | 09.07.90 |
| ოთარ გაგნიძე | 03.02.90 |
| გიორგი ბადურაშვილი | 14.08.82 |
| დავით სევასტოპულო | 10.08.82 |
| ზვიად ჯაფარიძე | 03.03.94 |
| გივი სამყურაშვილი | 30.10.95 |
| თემურ ფხალაძე | 01.01.95 |
| ლევან კუჭაშვილი | 02.11.94 |
| ნიკა ბაირამოვი | 06.10.92 |
| ალექსანდრე ბაბლიძე | 25.04.94 |
| ლევან მაჩაიძე | 28.04.93 |
| ზურაბ ნოზაძე | 06.09.87 |
| გოჩა ბრეგვაძე | 16.04.81 |
| დათო შეყილაძე | 06.02.82 |
| ბექა ჭუმბურიძე | 24.11.82 |

მთავარი მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე 01.12.70
მწვრთნელი: მიხეილ კიპაროიძე 15.01.70

### სზუ (თბილისი)

| | |
|---|---|
| ალექსანდრე აბულაძე | 04.10.91 |
| დავით მეფარიძე | 04.01.91 |
| ალექსანდრე ლეჟავა | 29.01.90 |
| ლევან ციკოლია | 29.09.90 |
| გიორგი კვახაძე | 16.08.81 |
| ნიკა მაღრაძე | 29.03.92 |
| ნიკოლოზ მახვილაძე | 02.02.90 |
| ავთანდილ გაგაშვილი | 02.02.83 |
| ლევან ჯიქიძე | 30.03.86 |
| ლევან ცხოიძე | 25.03.88 |
| ზურაბ ჭავჭავაძე | 29.03.92 |
| ლევან საბაძე | 17.03.92 |
| ლევან თვალავაძე | 05.04.90 |
| გიორგი ბიბილეიშვილი | 25.05.89 |
| ალექსანდრე ლაღაძე | 12.04.89 |
| ჯაბა კოღუა | 03.10.90 |
| გიორგი ჯიშკარიანი | 17.05.88 |
| ნიკა ბიწკინაშვილი | 24.06.93 |
| გივი სიჭინავა | 04.09.92 |
| შოთა გვაზავა | 26.10.92 |
| ზურაბ შერაზადიშვილი | 01.01.90 |

მთავარი მწვრთნელი: გოჩა ყორყოლიანი 27.09.65
მწვრთნელი: პავლე გასვიანი 21.08.83

### სამტრედია

| | |
|---|---|
| ირაკლი შენგელია | 25.07.87 |
| ზაზა მიქელთაძე | 25.05.92 |
| ლაშა ხაჭაპურიძე | 11.06.92 |
| ალექსანდრე გუბელაძე | 21.03.86 |
| გიგა პერტაია | 07.07.89 |
| დავით ჩხიკვაძე | 27.11.89 |
| ტარიელ რუხაია | 04.01.91 |
| ირაკლი ხვადაგიანი | 17.06.90 |
| ლევან სუთიძე | 28.04.92 |
| პაპუნა შათირიშვილი | 20.11.89 |
| შოთა კერძევაძე | 20.03.93 |
| ნიკა ბანძავა | 23.08.89 |
| ირაკლი თევზაძე | 02.06.91 |
| რევაზ ნინუა | 03.01.86 |
| არჩილ შენგელია | 22.09.89 |
| ავთანდილ თელია | 16.01.87 |
| კონსტანტინე ბროლაძე | 22.01.87 |
| გიორგი ნემსაძე | 14.11.91 |
| სერგო მიქაძე | 04.11.91 |
| ბაქარ ახობაძე | 07.09.90 |
| გიორგი რუხაძე | 13.12.88 |
| სერგო ლეჟავა | 13.08.95 |
| ბაკურ შარვაშიძე | 03.06.92 |
| ქიშვარდ ღაღანიძე | 04.01.92 |
| ვალერი ლეკვეიშვილი | 26.05.95 |

მთავარი მწვრთნელი: კობა მიქაძე 13.05.72
მწვრთნელი: ლევან ანჯაფარიძე 01.05.72

### მერცხალი (ოზურგეთი)

| | |
|---|---|
| გია გოგუა | 05.04.70 |
| მიხეილ ძოწულაძე | 07.10.74 |
| გოგიტა ხამაშურიძე | 07.03.84 |
| ვაჟა რამიშვილი | 28.03.85 |
| სერგო გელას ძე ჩიგოგიძე | 01.04.89 |
| სერგო ვალერიანის ძე ჩიგოგიძე | 28.01.88 |
| თემურ ჩხატარაშვილი | 16.02.88 |
| ლაშა ჩხაიძე | 02.10.86 |
| ნოდარ მაჭავარიანი | 26.01.93 |
| ირაკლი ბაჯელიძე | 07.07.93 |
| კონსტანტინე ნაკაიძე | 02.06.90 |
| ლევან ათუაშვილი | 10.10.90 |
| ზაზა ტულუში | 08.06.92 |
| დავით აფრიდონიძე | 09.10.90 |
| ვლადიმერ კურტანიძე | 26.03.93 |
| რუბენ ჭეიშვილი | 19.08.87 |
| ზურაბ ვარდუაშვილი | 06.03.90 |
| გიორგი ტყეშელაშვილი | 24.01.90 |
| ზაზა ხურციძე | 11.06.91 |
| ირაკლი მაისურაძე | 07.01.95 |
| გიორგი ყაჭეიშვილი | 04.03.94 |
| ლაშა კოტრიკაძე | 30.04.93 |
| გიორგი გოგუა | 14.04.94 |
| თემურ ვარდუაშვილი | 02.05.89 |
| ლაშა კალანდაძე | 07.01.91 |

მთ.მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი 16.08.59
უფროსი მწვრთნელი: ამირან ვანიძე 16.02.52
მწვრთნელები: გია გოგუა 05.04.70
აკაკი ათუაშვილი 08.08.62

### მეშახტე (ტყიბული)

| | |
|---|---|
| დავით ოდიშარია | 12.01.90 |
| თორნიკე ჯოხაძე | 08.11.91 |
| ჯაბა ავალიშვილი | 03.02.79 |
| თეიმურაზ ხარებავა | 08.06.87 |
| ვილენ ჭრელაშვილი | 21.11.91 |
| ავთანდილ მეტონიძე | 12.01.89 |
| ზურაბ ენდელაძე | 23.04.91 |
| გიორგი უგლავა | 03.12.87 |
| ნიკოლოზ ხარაბაძე | 03.10.90 |
| ირაკლი ლიბრაძე | 26.10.91 |
| გიორგი ხეცურიანი | 17.05.92 |
| ბექა ჯიშიაშვილი | 18.08.92 |
| ამირან სახელაშვილი | 16.02.94 |
| ლაშა კობახიძე | 08.01.91 |
| დათო კუტალია | 15.12.89 |
| თორნიკე ჭელიძე | 07.02.95 |
| გიორგი გვენეტაძე | 09.08.91 |
| მიხეილ კოპალიანი | 28.09.92 |
| ერეკლე ცნობილაძე | 02.09.94 |
| ლევან ლურსმანაშვილი | 28.09.86 |

მთავარი მწვრთნელი: დავით რუხაძე 06.03.63
მწვრთნელები: დავით გვენეტაძე 03.03.54
დავით ყორყოლიანი 12.08.89

### ჩხერიმელა (ხარაგაული)

| | |
|---|---|
| იორამ კუჭუხიძე | 28.06.85 |
| მიხეილ ლომსაძე | 29.01.92 |
| დაჩი კოსტავა | 02.10.86 |
| გიორგი თურმანიძე | 29.11.73 |
| ალექსანდრე ძაშაკაშვილი | 19.05.91 |
| ლევან მახარაძე | 08.06.86 |
| ოთარ გიორგობიანი | 31.03.91 |
| ლევან გუმბერიძე | 23.10.94 |
| არმაზ დოლონაძე | 23.04.87 |
| ირაკლი ჭანკვეტაძე | 02.02.88 |
| გიორგი ჭაავა | 27.11.91 |
| ჯაბა არევაძე | 04.09.90 |
| ირაკლი გვარჯალაძე | 09.08.89 |
| ზვიად დანგაძე | 29.09.89 |
| გივი ზაქარაშვილი | 02.03.90 |
| ბექა ახალაია | 16.08.92 |
| გიგა ბოხუა | 23.11.89 |
| ლევან კირკიტაძე | 17.03.88 |
| დავით ბერუაშვილი | 21.09.89 |
| იოსებ ორბელაძე | 15.02.88 |

მთავარი მწვრთნელი: მამუკა ხუნდაძე 18.07.66
მწვრთნელი: ლევან ქყოიძე 20.06.72

## ბ ზონა

### ჩიხურა (საჩხერე)

| | |
|---|---|
| შალვა დოლაძე | 03.10.80 |
| რევაზ თევდორაძე | 14.02.88 |
| ლაშა ჩიკვაიძე | 04.10.89 |
| ირაკლი ზაბახიძე | 11.04.84 |
| ერეკლე ზივზივაძე | 11.02.87 |
| ჯაბა ბერიანიძე | 22.08.85 |
| გიორგი სილაგავა | 26.05.84 |
| ნიკა კვასხვაძე | 15.04.88 |
| ლაშა ნოზაძე | 18.03.80 |
| ლაშა ჭელიძე | 13.03.85 |
| ლევან ბაკურაძე | 18.01.86 |
| ლაშა ვაშაკიძე | 19.11.85 |
| ზურაბ მწყერაშვილი | 13.04.86 |
| ნიკა გუშარაშვილი | 25.07.83 |
| ირაკლი ლილუაშვილი | 13.10.84 |

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე 06.10.57
მწვრთნელები: ვახტანგ თურმანიძე 16.01.73
ივანე თოდაძე 05.07.64

### აეში (სოხუმი)

| | |
|---|---|
| ლაშა ჩუხუა | 20.12.92 |
| გიორგი ბრიგალაშვილი | 04.10.89 |
| ვანო ჭაბუკიანი | 25.09.90 |
| ზვიად ჭადაშვილი | 24.05.90 |
| გიორგი ნარსია | 23.08.92 |
| გიორგი ჯაჭვლიანი | 01.08.91 |
| გიორგი გაბელაია | 16.03.93 |
| ლევან გაბელაია | 02.02.91 |
| ნიკოლოზ ზაქარიაძე | 30.10.93 |
| ნოდარ მამრაში | 04.04.90 |
| ლევან როსტომაია | 16.01.90 |
| ლევან ბიწაძე | 10.07.89 |
| გიორგი ვასაძე | 12.10.89 |
| ლადო ჭეჟია | 17.03.90 |
| ლევან ჯოგავა | 06.07.88 |
| დიეგო ლობჟანიძე | 16.02.91 |
| თორნიკე მეტრეველი | 25.01.92 |
| გურამ ბაკურაძე | 23.12.90 |
| ლაშა ეზიეშვილი | 26.03.90 |
| გიორგი ცხაკაია | 24.08.91 |
| გიორგი ნიჟარაძე | 07.01.91 |
| გიორგი ყულიჯანიშვილი | 29.10.91 |
| გიორგი მალაზონია | 18.08.91 |
| ლაშა არაყიშვილი | 18.12.91 |
| ლაშა ჩიქოვანი | 19.04.94 |

მწვრთნელი-კონსულტ.: ომარ სოხაძე 02.02.47
მწვრთნელები: ირაკლი ანჩაბაძე 21.08.62
რონი შარაშენიძე 28.07.48

### გურია (ლანჩხუთი)

| | |
|---|---|
| გიგა კვერენჩხილაძე | 21.02.85 |
| გიორგი კვიტაიშვილი | 26.08.86 |
| ტარიელ კუკულაძე | 20.11.82 |
| ლაშა რუსიეშვილი | 10.01.90 |
| რევაზ კუკულაძე | 24.04.84 |
| ჯემალ გოგიბერიძე | 05.09.87 |
| მიხეილ გოგუაძე | 29.06.89 |
| სერგო ფირცხალაიშვილი | 27.04.91 |
| ნოდარ ტოროტაძე | 28.07.92 |
| ბექა წერეთელი | 11.04.93 |
| სანდრო ბახია | 08.01.93 |
| ნოდარ ებრალიძე | 23.05.93 |
| ზურაბ რაზმაძე | 16.06.88 |
| გიორგი მელქაძე | 24.11.84 |
| ივანე კილაძე | 01.11.89 |
| იაგო დეისაძე | 10.02.88 |
| დავით კეკელიძე | 05.05.89 |
| აკაკი დვალიშვილი | 30.06.91 |
| გურამ ნათენაძე | 17.01.89 |
| გიორგი ბარამიძე | 15.10.91 |
| მიხეილ კოტრიკაძე | 03.05.86 |
| ლაშა კობახიძე | 27.03.85 |

მთავარი მწვრთნელი: გიგლა იმნაძე 10.06.55
მწვრთნელი: გიორგი ჩხაიძე 27.11.86

### სამგურალი (წყალტუბო)

| | |
|---|---|
| ბექა ბიბილაშვილი | 23.09.87 |
| ხვიჩა უგრეხელიძე | 16.07.89 |
| ნიკოლოზ უგრეხელიძე | 17.03.86 |
| გოგიტა უგულავა | 19.09.88 |
| ზვიად კუხალაშვილი | 17.12.88 |
| გიორგი ბუხაიძე | 09.12.91 |
| ზვიად ქუთათელაძე | 01.08.79 |
| ზვიად ჩიხლაძე | 07.11.90 |
| ლაშა ნავერიანი | 22.04.90 |
| გიორგი გორგოძე | 21.06.87 |
| ლევან გორდეზიანი | 23.03.88 |
| ირაკლი შალიკაშვილი | 24.10.90 |
| კახაბერ ძაგანია | 07.08.87 |
| თორნიკე შეყრილაძე | 14.02.91 |
| რაულ ჩიხლაძე | 08.03.88 |
| გიორგი ჩიხლაძე | 13.08.92 |
| ბესიკ ხაჭიპერაძე | 19.11.84 |
| ლაშა ცხადაძე | 26.07.89 |
| რევაზ კვერნაძე | 25.08.81 |
| დუშიკო მემარნიშვილი | 23.03.84 |
| გიორგი გედენიძე | 29.08.91 |
| გიორგი ჯიმშელეიშვილი | 17.05.92 |
| შალვა ესებუა | 16.08.92 |
| ზურაბ სალინაძე | 07.04.92 |
| ალეკო ფანცხავა | 24.10.93 |
| გიორგი თევდორაძე | 23.11.91 |
| ლაშა მესხი | 07.05.92 |
| მამუკა კიკვიძე | 23.10.93 |

მთ.მწვრთნელი: გიორგი გოგიაშვილი 14.02.71
მწვრთნელები: თედო ფესტვენიძე 21.10.83
ოთარ ბობოხიძე 27.08.79

### აღმაშენებელი (ბათუმი)

| | |
|---|---|
| სულხან კახიძე | 18.04.94 |
| თამაზ ცინცაბაძე | 05.05.93 |
| ჯაბა მერაბიშვილი | 01.01.92 |
| გიორგი რომანაძე | 20.05.92 |
| დავით ჯალაღანია | 02.02.91 |
| ნუკრი წულუკიძე | 23.07.92 |
| გურამ სირაბიძე | 29.06.95 |
| ლაშა მამეიშვილი | 16.03.91 |
| ალექსანდრე ლორია | 04.10.91 |
| მინდია ფუტკარაძე | 05.05.92 |
| გივი ხაჩიძე | 15.05.91 |
| გულად ძოძოლაძე | 01.05.91 |
| ამირან აბუსელიძე | 16.03.93 |
| ვაჟა ხიდეშელი | 19.09.90 |
| ზურიკო მჟავანაძე | 13.09.91 |
| თამაზ მჟავანაძე | 02.02.94 |
| გიორგი დევაძე | 03.05.93 |
| ამირან დევაძე | 25.05.92 |
| ნოდარ დავითაძე | 05.09.94 |
| სულხან მამისეიშვილი | 27.02.94 |
| გიორგი თურმანიძე | 01.01.94 |
| დავით უნგიაძე | 08.03.92 |
| ირაკლი ლოლობერიძე | 20.10.94 |
| გიორგი ზოიძე | 03.02.93 |
| იუსიფ ჰაადი | 01.07.93 |

მთავარი მწვრთნელი: გია ჯორბენაძე 12.06.55
მწვრთნელი: ჯუმბერ მენაბდე 14.05.58

### სკური (წალენჯიხა)

| | |
|---|---|
| ლეონ გაბუნია | 08.12.88 |
| ზურაბ გახარია | 19.10.86 |
| შოთა გაბუნია | 31.05.90 |
| ლევან ბოჯგუა | 07.09.87 |
| გიორგი სართანია | 21.12.90 |
| ირაკლი ფაცაცია | 11.02.88 |
| ზვიად შოლაშხია | 12.02.91 |
| ბექა სვანიძე | 27.06.89 |
| გელა ჭკუასელი | 15.02.86 |
| ნუკრი ჯოლოგუა | 25.04.87 |
| ჯაბა ყურუა | 22.05.81 |

მთავარი მწვრთნელი: ნუგზარ ბოჯგუა 28.03.54
მწვრთნელები: თამაზ კვარაცხელია 15.09.59
ლევან კვარაცხელია 26.05.85

### ნორჩი დინამო (თბილისი)

| | |
|---|---|
| ალექსანდრე ზიდიროძე | 10.07.88 |
| მზოგი ნოწონი | 04.08.91 |
| დავით გლოველი | 30.06.90 |
| გოჩა ლომიძე | 05.04.86 |
| ზურაბ ძაგანია | 20.07.89 |
| გიორგი ბერიშვილი | 07.11.90 |
| არნო ჩუენსუ | 28.10.91 |
| გოგა ჩუბინიძე | 23.05.91 |
| ზაურ ძარდავა | 11.10.93 |
| გოგა ძვარაია | 24.01.92 |
| გიორგი თანიაშვილი | 21.01.91 |
| თამაზ ჩარგეიშვილი | 12.06.89 |
| გიორგი ოქრუაშვილი | 14.02.89 |
| ლევან ელიზბარაშვილი | 11.02.92 |
| ვახტანგ ჭანტურიშვილი | 05.08.93 |
| ილია ძავთარაძე | 22.03.90 |
| ირაკლი ხელაძე | 03.02.88 |
| ლევან ლაბარტყავა | 20.06.89 |
| იოსებ ჩახვაშვილი | 03.08.93 |
| ზამორა დათუნაშვილი | 31.07.88 |
| ბექა შუბითიძე | 03.11.93 |
| ბექა ბეროშვილი | 23.01.90 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | 04.09.80 |
| ზვიად კვარაცხელია | 21.05.92 |

მთავარი მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე
მწვრთნელი: ირაკლი შენგელია

### იმერეთი (ხონი)

| | |
|---|---|
| სერგო მექველია | 30.09.90 |
| დავით ფესტვენიძე | 02.08.88 |
| გიორგი ხელაძე | 29.03.91 |
| ლევან გაჩეჩილაძე | 20.09.93 |
| ვახტანგ ბრეგაძე | 21.04.87 |
| გიორგი ცაგარეიშვილი | 23.10.87 |
| რომან კაშია | 06.02.89 |
| გიორგი გოდერიძე | 04.01.89 |
| ბექა ჩხეტიანი | 15.07.89 |
| დათო კუხალაშვილი | 10.01.90 |
| დავით სულაბერიძე | 26.10.90 |
| გიგა ნიქაბაძე | 25.08.87 |
| გიორგი გენძეხაძე | 03.04.94 |
| დავით გოდერიძე | 15.04.92 |
| დემურ ხაბურძანია | 28.01.89 |
| ნიკა ჩაჩიბაია | 17.07.92 |
| რომეო კეჭაყმაძე | 04.08.89 |
| დავით ქუთათელაძე | 23.09.94 |
| კონსტანტინე ქუთათელაძე | 04.08.93 |
| ნიკოლოზ ჩიხლაძე | 08.02.91 |
| თორნიკე დანელია | 20.02.89 |

მთავარი მწვრთნელი: დავით ჭელიძე 06.09.73
მწვრთნელი: გიორგი ხაზარაძე 27.04.73

### ზოოვეტი (თბილისი)

| | |
|---|---|
| ილია მღებრიშვილი | 11.11.90 |
| ირაკლი სვანიძე | 26.04.89 |
| ბესიკ ბარბაქაძე | 17.11.92 |
| გიორგი კუხალაშვილი | 13.03.92 |
| ლაშა ხარებავა | 13.10.87 |
| ლევან ლობჟანიძე | 28.04.92 |
| კონსტანტინე ვაშაკიძე | 26.02.91 |
| ზურაბ მაკარაძე | 09.10.91 |
| თორნიკე მოსიაშვილი | 09.10.90 |
| სოსო ლორთქიფანიძე | 06.09.91 |
| ლევან ბარათაშვილი | 07.09.92 |
| ილია ჯოგიშვილი | 29.10.89 |
| მიხეილ მახათაძე | 11.01.91 |
| უჩა მამულაშვილი | 27.10.87 |
| გიორგი ხუციშვილი | 04.08.89 |
| ირაკლი მაისურაძე | 21.09.90 |
| თემურ კოჩაძე | 11.07.90 |
| შოთა ფარულავა | 25.11.87 |
| ზურაბ ტიელიძე | 15.05.90 |
| ირაკლი ალასანია | 26.06.86 |
| თორნიკე ჯიმშელეიშვილი | 04.10.92 |
| შალვა გალეგაშვილი | 24.10.72 |
| მალხაზ ძიძიგური | 18.04.85 |
| მურაზ ბაბაიანი | 16.04.91 |

მთ. მწვრთნელი: ჯემალ გუგუშვილი 14.04.46
მწვრთნელი: გელა მენაბდე 11.06.64

### სულორი (ვანი)

| | |
|---|---|
| დავით ხურციძე | 15.07.87 |
| ირაკლი დვალიშვილი | 20.10.90 |
| ავთანდილ ძებულაძე | 02.04.91 |
| თამაზ ძაგნიძე | 25.01.93 |
| ვლადიმერ ნუცუბიძე | 09.06.84 |
| ბექა სულაბერიძე | 15.08.93 |
| გიგა ნიკოლეიშვილი | 20.03.91 |
| თორნიკე მაღლაკელიძე | 04.02.91 |
| ბექა დვალიშვილი | 20.01.92 |
| მინდია დვალიშვილი | 20.01.92 |
| ნოდარ გიორგაძე | 11.03.91 |
| ლევან გაბუნია | 19.08.91 |
| პაატა ბელთაძე | 06.12.87 |
| კონსტანტინე კვიმსაძე | 28.11.90 |
| კუკური გოგაძე | 20.09.93 |
| დავით ივანიძე | 16.12.93 |
| გოგა თევზაძე | 31.10.90 |
| თორნიკე კუხიანიძე | 07.06.89 |
| ბიძინა ნიკოლეიშვილი | 20.06.79 |
| ნიკა ბრეგვაძე | 23.04.94 |
| გიორგი ბრეგვაძე | 23.04.94 |
| სერგო კიკაბიძე | 14.10.87 |
| ბექა ბელქანია | 01.05.92 |
| ბექა მჭედლიძე | 29.01.91 |
| გაგა დიაკონიძე | 22.05.90 |

მთავარი მწვრთნელი: მინდია კორძაძე 10.01.73
მწვრთნელები: ბიზო ბრეგვაძე 11.03.64
ბიძინა ნიკოლეიშვილი 20.06.79

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი

# ფორლანი ეტოოს ნაცვლად

## მიზანშია მარიო გიოტცე



დიეგო ფორლანი



მარიო გიოტცე

**სამუელ ეტოო** მახაჭყალის „ანჟის" ფეხბურთელი ოფიციალურად სამშაბათს გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ინტერი" საუკეთესო თავდამსხმელის გარეშე დარჩა. ბუნებრივია, მისი შემცვლელის მოძებნა იყო საჭირო და როგორც ჩანს, **მასიმო მორატიმ** ამ ამოცანას თავი წარმატებით გაართვა. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, გადაწყვეტილი ამბავია, რომ ახალი სეზონიდან "ნერაძურის" ღირსებას **დიეგო ფორლანი** დაიცავს. ურუგვაის ნაკრების თავდამსხმელი მადრიდის "ატლეტიკოს" ღირსებას იცავს და დიდი ხანია დადის ხმები იმის შესახებ, რომ ესპანეთიდან აბარგებას აპირებს. "გაძეტას" მიერ გავრცელებულ ცნობაში უჩვეულო მხოლოდ თანხაა, რომელიც მილანური გრანდის მესვეურებმა პირენეელებს უნდა გადაუხადონ – ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ ხუთ მილიონ ევროზე. როგორც "გაძეტას" ჟურნალისტი ამტკიცებს, ფორლანი წინააღმდეგია კარიერა "ატლეტიკოში" გააგრძელოს და ეს თანხაც უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ერთის მხრივ, წარმოუდგენელია ფორლანის დონის ფეხბურთელს სიმბოლურ ფასად შეელიო, მაგრამ თუ მოთამაშეს ხელშეკრულების ვადა მალე ეწურება და შეიძლება სულაც თავისუფალი აგენტის სტატუსით დაგტოვოს, მაშინ ყველაფერი გასაგები ხდება. მოკლედ, "ინტერმა" არსებული გარემოებით ისარგებლა და როგორც ჩანს, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი იაფად ჩაიგდო ხელში. ამ ცნობას კლუბის სპორტული დირექტორი **მარკო ბრანკა** პრაქტიკულად ადასტურებს:

*"დიეგო ფორლანის გადაბირება ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს გვსურდა, თუმცა მაშინ მოლაპარაკება არც კი დაგვიწყია, რადგან მის გასხვისებას მადრიდელები არ აპირებდნენ. ამჯერად განსხვავებული ვითარებაა და თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ ურუგვაელი ჩვენთან გააგრძელებს კარიერას. ეს დიდი საჩუქარი იქნება სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე რამდენიმე დღით ადრე, რადგან ფორლანის დონის ფორვარდი მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია".*

"გაძეტას" ინფორმაციით, "ინტერის" მესვეურები ფორლანს პირადი კონტრაქტის დეტალებზეც შეუთანხმდნენ – ხელშეკრულება ორწლიანი იქნება, დიეგოს წლიური ჯამაგირი კი 4.5 მილიონ ევროს შეადგენს. ანუ, მთლიანობაში "ინტერს" ფორლანის ორწლიანი სამსახური 14 მილიონი ევრო უჯდება.

ამასობაში, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "ინტერის მესვეურები დორტმუნდის "ბორუსიას" შემტევი ნახევარმცველით, **მარიო გიოტცეთი** არიან დაინტერესებულნი. შეგახსენებთ, რომ გიოტცე გერმანიის ჩემპიონი გუნდის ლიდერია, გამთამაშებლის პოზიციაზე ასპარეზობს და ქვეყნის ეროვნულ გუნდშიც იმკვიდრებს ადგილს. მოკლედ, მარიო ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი ფეხბურთელია გერმანიაში და როგორც ჩანს, უკვე ევროპის მასშტაბითაც. "კორიერე დელო სპორტის" მტკიცებით, გიოტცეს სანაცვლოდ მილანელებმა დორტმუნდული კლუბის მესვეურებს 20 მილიონი ევრო შესთავაზეს და გერმანელებისგან პასუხს ელოდებიან. პრაქტიკულად წარმოუდგენელია, რომ დორტმუნდელებმა ეს წინადადება მიიღონ, მაგრამ აქ უფრო მთავარი ის ინტერესია, რომელიც "ინტერს" აქვს ახალგაზრდა ნახევარმცველის მიმართ – ეს ყველაფერი კი იმას მოასწავებს, რომ მოლაპარკების პროცესი გაგრძელდება.

ამასობაში, პირველი იტალიური კომენტარი გააკეთა **რიკი ალვარესმა**, რომელიც „ინტერის" ახალწვეულია და მასზე გუნდის მთავარი მწვრთნელი დიდ იმედებს ამყარებს. რიკიც ოპტიმისტურად არის განწყობილი და პირველივე სეზონში სკუდეტოს უმიზნებს:

*"მილანურ გრანდში გატარებული თითოეული დღე უდიდესი გამოცდილებაა ჩემთვის, რომელიც ფასდაუდებელ სამსახურს მიწევს. დიდ გუნდში მოვხვდი და ეს პირველივე დღეს ვიგრძენი, როდესაც "ინტერის" საწვრთნელ ბაზაზე შევდგი ფეხი. რაც მთავარია, თავს ისე ვგრძნობ როგორც საკუთარ სახლში და ადაპტაციის პერიოდი ნამდვილად არ მიჭირს. მართალია, არგენტინელებთან ურთიერთობა უფრო მიადვილდება, მაგრამ შებოჭილად არც სხვებთან ვგრძნობ თავს. მიუხედავად სხვადასხვა წარმომავლობისა, გუნდი ერთ მუშტად არის შეკრული, რაც წარმატების მთავარი საწინდარია".*

**ლაშა წიკლაური**

ლა ლიგა. გაფიცვა




# მყავე სახეები და თითქმის ჩაშლილი ტური

გუშინ, მადრიდში გვიან ღამემდე გრძელდებოდა შეხვედრა დაპირისპირებულ მხარეებს შორის: ფეხბურთის პროფესიული ლიგა (LFP) და ფეხბურთელთა ასოციაცია (AFE) ცდილობდნენ მიეღწიათ კონსესუსისთვის, რათა ლა ლიგის II ტური ჩაშლისგან ეხსნათ. გვიან ღამემდე ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა, მაგრამ დაპირისპირებულ მხარეთა მჟავე სახეების მიხედვით ესპანელმა ჟურნალისტებმა დაასკვნეს, რომ გაფიცვა გრძელდება.

შეგახსენებთ, რომ მე-5 შეხვედრა სამშაბათს გაიმართა და ის რეკორდულად დიდხანს, 6 საათს გაგრძელდა, მაგრამ შეთანხმება მაინც არ იქნა მიღწეული. გუშინ რიგით მე-6 შეხვედრა იყო, რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. დაპირისპირებულ მხარეებს გარეთ ასობით ჟურნალისტი ელოდა. ისინიც 1-საათიანი შესვენებისთვის გამოჩნდნენ, თუმცა, როგორც ვთქვით, კომენტარი არავის გაუკეთებია. ამაზე მეტი ინფორმაციის მოპოვება გუშინ შეუძლებელი იყო - ლა ლიგის II ტური 90%-ით ჩაშლილია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრანსფერი

# ეტოო–99

გუშინ კამერუნელმა **სამუელ ეტოომ** 3-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა მახაჭყალის „ანჟისთან". ფორვარდის სანაცვლოდ მილანის „ინტერი" 28 მილიონ ევროს მიიღებს. ხუთშაბათს ეტოო უკვე მოსკოვში იქნება „როსტოვთან" მატჩისთვის მოსამზადებლად. კამერუნელი „ანჟიში" 99-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. 30 წლის ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება რომში გაიარა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტრავმა

# მატრი პირველ ტურს გამოტოვებს

## კონტემ თავი დაითარსა

ბერლუსკონის თასზე "მილანთან" პაექრობაში **ალესანდრო მატრიმ** ტრავმა მიიღო და როგორც სამედიცინო გამოკვლევამ დაადგინა, ორი კვირის განმავლობაში მკურნალობის პროცესის გავლა მოუწევს. ანუ, მატრი სერია A-ს პირველი ტურის მატჩს გამოტოვებს და გუნდს "უდინეზესთან" დაპირისპირებაში ვერ დაეხმარება. არადა, სულ რამდენიმე დღის წინ **ანტონიო კონტემ** კმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ მისი შეგირდები ტრავმებს არ უჩივიან და თავს კარგად გრძნობენ – იქვე დაამატა, ჩემს სამწვრთნელო კარიერაში მსგავსი პრეცედენტი არ მახსენდებაო. ერთი სიტყვით, კონტემ საკუთარი თავი დაითარსა და ამაზე თვითონვე გაამახვილა ყურადღება:

*"სიტყვები ცუდად მომიბრუნდა, რადგან ალესანდრო მატრიმ ტრავმა მიილო და მინიმუმ ორი კვირა ჩამოგვშორდა. რა თქმა უნდა, ეს ტრაგედია არ არის, მაგრამ მაინც უსიამოვნო პრეცედენტია. ტყუილად არ მომითხოვია მირკო ვუჩინიჩის შეძენა, დიდი ხანია ფეხბურთში ვარ და კარგად ვიცი, რომ ტრავმები სპორტის განუყოფელი ნაწილია".*

კონტემ სერია A–ს პირველი ტურის პაექრობაზე ისაუბრა და შემდეგი განაცხადა: *"სეზონის კარგად დაწყებას დიდი მნიშვნელობა აქვს და "უდინეზესთან" პაექრობისთვის დიდი ენთუზიაზმით ვემზადებით. ფეხბურთელთა დიდი ნაწილი სრულ მზადყოფნაშია და თანაც, საკმაოდ კარგ ფორმაში, რაც იმედით მავსებს. "უდინეზე" შესანიშნავი გუნდია, რომელმაც უკვე გამართა ოფიციალური პაექრობები და ფეხბურთელებიც ტონუსში არიან. შესაბამისად, მათ აქვთ ერთი კოზირი, რომელიც ჩვენი პლუსებით უნდა გავანეიტრალოთ. საერთოდ, ვფიქრობ, რომ მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდებიდან ყველაზე რთული პაექრობა პირველ ტურში სწორედ ჩვენ გველის".*

მატრის ტრავმიდან გამომდინარე, დიდია შანსი, :უდინეზესთან" პაექრობაში "იუვენტუსის" შემტევი ტანდემი **ალესანდრო დელ პიერომ** და **მირკო ვუჩინიჩმა** შეადგინონ. თუ ამხანაგური მატჩებით ვიმსჯელებთ, ჩერნოგორიელი საკმაოდ კარგად მოერგო ახალ გუნდს და სავარაუდოდ, ადაპტაციისთვის დრო არ დასჭირდება. ამ მოსაზრებას თავად მირკოც ეთანხმება: *"დელ პიეროს მხარდამხარ თამაში იმდენად დიდ სიამოვნებას მანიჭებს, რომ შეუძლებელია საკუთარი შესაძლებლობები ვერ გამოვავლინო. მან ზუსტად იცის, სად ვიხსნები, სად უნდა მომცეს პასი და ეს მიუხედავად იმისა, რომ აქამდე ერთად არასდროს გვითამაშია. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ გუნდში მოვხვდი და ასეთი ფეხბურთელის მხარდამხარ მომიწევს ასპარეზობა".*

**ლაშა წიკლაური**




ალესანდრო მატრი

მოსაზრება

# ალეგრი: მილანი ტოპ სამეულშია

ორი დღეა "მილანის" წარმომადგენლები "ბარსელონას" ქება-დიდებაში არიან – გუშინდელ ნომერში **სილვიო ბერლუსკონის** მოსაზრება გაგაცანით, დღეს კი "როსონერის" მთავარ მწვრთნელს, **მასიმილიანო ალეგრის** უნდა მივუსმინოთ, რომელმაც საკუთარი გუნდი მადრიდის "რეალის" სიმაღლეზე დააყენა, "ბარსა" კი სულ ყველაზე ზემოთ:

*"ჩემი აზრით, ევროპის სამ საუკეთესო გუნდში "მილანი" "რეალთან" ერთად მეორე ადგილს იყოფს, "ბარსელონა" კი ჯერჯერობით ყველაზე წინ დგას. როდესაც კატალონიელთა თამაშს ვუყურებ, ნათლად ვხედავ, რომ ჩვენი თამაში იდეალურისგან ჯერ კიდევ შორსაა. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ თუ "ბარსელონას" არ ჩავთვლით, სხვას არავის ჩამოვუვარდებით. გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგიდან ნაადრევად გამოვვარდით, მაგრამ ეს უფრო უიღბლობის ბრალი იყო, ვიდრე ძალთა შესაბამისი ბალანსის. ამასთან, უამრავი ტრავმირებული ფეხბურთელი გვყავდა, რომელთა გარეშეც გუნდმა შესაძლებლობების ნახევარიც კი ვერ გამოავლინა. დარწმუნებული ვარ, მსგავსი რამ აღარ განმეორდება და ფორტუნა ასე უმოწყალოდ ზურგს აღარ შეგვაქცევს".*

ამასობაში, ერთ-ერთი წვრთნისას, "მილანს" ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველი **სტეფან ელ შაარავი** დაუშავდა და როგორც სამედიცინო შემოწმებამ გამოააშკარავა, მინიმუმ ორ კვირას დაისვენებს. 18 წლის ფეხბურთელი ასეთმა დიაგნოზმა ერთობ გაახარა:

*"სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ ტრავმა ბევრად უფრო სერიოზული იქნებოდა, მაგრამ საბედნიეროდ, ჩემი მოლოდინი არ გამართლდა. ექიმთა თქმით, დაახლოებით ორი კვირა მჭირდება*



მასიმილიანო ალეგრი

*იმისთვის, რომ სრულფასოვნად ვარჯიში შევძლო და მოედანზე გავიდე. ახალ სეზონს დიდი იმედებით ველოდები და სერიოზული ტრავმის მიღება ჩემთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვარჯიშებზე თავს დავზოგავ და ფეხებს გავუფრთხილდები – პირიქით, გაორმაგებული შრომა მმართებს, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად ვიბრძოლო. რაც მთავარია, მასიმილიანო ალეგრი მენდობა და ბოლომდე მხარში მიდგას – ვიცი, როდესაც ამის დრო მოვა, ძირითადში აუცილებლად დამაყენებს".*

აქვე ვთქვათ, რომ ელ შაარავის გარდა, სერია A-ს პირველი ტურის პაექრობის გამოტოვება "მილანის" კიდევ ოთხ ფეხბურთელს მოუწევს: **ტაიე ტაივოს, ზლატან იბრაჰიმოვიჩს, მარკ ვან ბომელსა და მატიო ფლამინის**. ამ დროისთვის, ტრავმირებულნი არიან **კევინ პრინც ბოატენგი, ალეშანდრე პატო და რობინიო**, თუმცა მათი გამოჯანმრთელების პროცესი კარგი ტემპით მიმდინარეობს და უქმეებისთვის წესით უნდა მომჯობინდნენ. გამოჯანმრთელების მცირე, მაგრამ მაინც შანსი იბრაჰიმოვიჩსაც აქვს და ამის შესახებ პრესასთან თვით **ადრიანო გალიანიმ** განაცხადა. "მილანის" ვიცე-პრეზიდენტის თქმით, შვედი უბურთოდ უკვე ვარჯიშობს და თუ ასე გააგრძელა, არ არის გამორიცხული, "კალიარისთან" პაექრობამდე მომჯობინდეს. თუმცა, იქვე დაამატა, ამის შანსი მაინც მცირეაო. დაველოდოთ სერია A-ს პირველ ტურს და ყველაფერი გამოჩნდება – შეგახსენებთ, რომ იტალიის ჩემპიონატი 27 აგვისტოს აიღებს სტარტს.

**ლაშა წიკლაური**

● ტოტენჰემი



ემანუელ ადებაიორი

# მტკიცე უარი მეზობლებს

„ჩელსის“ გამოუცხადეს, რომ **ლუკა მოდრიჩს** ვერც 30 მილიონ ფუნტად მიიღებენ და მომავალში 25 წლის ხორვატის ყიდვაზე ფიქრს თავი უნდა დაანებონ. კატეგორიული უარი დასავლეთ ლონდონელებს „დეზების“ თავმჯდომარე **დენიელ ლევიმ** გამოუცხადა. მოგეხსენებათ, ლევი მთელი ზაფხულის განმავლობაში მტკიცედ იდგა. ის ამბობდა, რომ მოდრიჩს „უაით ჰართ ლეინიდან“ არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებდა.

„სფურზის“ მწვრთნელმა, **ჰარი რედნაპმა**, რომელიც „მანჩესტერ სიტიდან“ 27 წლის ტოგოელი ფორვარდის, **ემანუელ ადებაიორის** გადაბირების საქმით გახლდათ დაკავებული, მაგალითად, მიიჩნევს, რომ „ტოტენჰემის“ საქციელი ჩვეულებრივი ხრიკია, რომელსაც ვაჭრობაში იყენებენ. ლევი ცდილობს „ჩელსის“ მოდრიჩში 30 მილიონზე მეტი გამოართვას. შეგახსენებთ, რომ „ლურჯები ჩრდილოლონდონელებს „ფულს პლუს ფეხბურთელის“ ვარიანტსაც სთავაზობდნენ — მზად იყვნენ „ტოტენჰემისთვის“ თანხის გარდა **იოსი ბენაიუნიც** დაეთმოთ. ცნობილია, რომ ბენაიუნი ჰარი რედნაპს ძალიან მოსწონს და ებრაელ ფეხბურთელს სიამოვნებით იხილავდა თავის გუნდში, მაგრამ მოდრიჩი მაინც არ ეთმობა და ცდილობს, მის შესანარჩუნებლად ყველა ღონე იხმაროს. 31 აგვისტომდე კი რაღა




ლუკა მოდრიჩი

მოდრიჩს უთხრა, რომ ორჭოფობისა და ჭირვეულობის დრო დამთავრდა - ის ამ სეზონს „ტოტენჰემში“ გაატარებს. შეგახსენებთ, რომ „სფურზმა“ პრემიერლიგის ჩემპიონატის პირველ ტურში „ევერტონთან“ შეხვედრა ლონდონური არეულობების გამო გამოტოვა, მეორე ტურში კი მანჩესტერში, „ოლდ ტრეფორდზე“ 0:3 წააგო და ამ შეხვედრაში მოდრიჩს მონაწილეობა არ მიუღია. ინგლისურმა გაზეთებმა დაწერეს, რომ ხორვატი გამთამაშებელი გაიფიცა, რედნაპმა კი თქვა, რომ მოდრიჩმა არ ითამაშა, რადგან იმ მომენტისთვის *„თავში ყველაფერი ნორმალურად არ ჰქონდა“.*

რას ნიშნავს დენიელ ლევის განცხადება? როგორ უნდა ათამაშოს ფეხბურთელი გუნდში ძალით? „დეილი მეილი“, დარჩა. თუ დარჩენილ დღეებში ხორვატის საკითხი არ გაირკვევა, ის იძულებული გახდება „დეზების“ სახელით განაგრძოს თამაში, რადგან გამოვა, რომ სულ მცირე იანვრამდე „უაით ჰართ ლეინზე“ „ჩარჩა“.

*„მე ლუკასთან დიდებული ურთიერთობა მაქვს და თუ ვინმეს მისი დაყოლიება და გონზე მოყვანა შეუძლია, ეს მე ვარ* — თქვა რედნაპმა — *ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ჩვენ იოლ სიტუაციაში არ ვართ. სულ ერთია, ფეხბურთელი იქნებით თუ სხვა პროფესიის ადამიანი, თუკი ვინმე სამჯერ მეტ ხელფასს შემოგთავაზებთ, რაგინდ გიყვარდეთ თქვენი ძველი სამსახური, დიდი ცდუნების წინაშე აღმოჩნდებით. სწორედ ასეთ დღეშია ახლა ეს ბიჭი. კვირაში 50 ათასის პატრონს უთხრეს, 150-ს გადაგიხდითო და, რასაკვირველია, საგონებელში ჩავარდა.*

*არიან ფეხბურთელები, რომელთაც შეუძლიათ ასეთ დროს დიდი სკანდალი მოაწყონ, ცუდად მოიქცნენ, გუნდში მდგომარეობა არიონ და ყველა ღონე იხმარონ, რათა ძველი კლუბი იძულებული გახადონ, რომ ის გაყიდოს. იცით, რამდენჯერ მინახავს ასეთი სცენები? ლუკა ასეთი ადამიანი არ არის. ის გადასვლას ითხოვს, მაგრამ სხვას არ აწუხებს. თავად არის შეწუხებული და პრობლემებით დამძიმებული დადის“.*

ზემოთ ემანუელ ადებაიორის ამბავი ვახსენეთ. ტოგოელის ფრონტზე, მოდრიჩისგან განსხვავებით, ყველაფერი გარკვეულია — „ტოტენჰემი“ და „მანჩესტერ სიტი“ შეთანხმდნენ, რომ თავდამსხმელი იჯარით ლონდონურ კლუბში ითამაშებს. გუშინ „არსენალისა“ და „რეალის“ ყოფილმა ფორვარდმა „უაით ჰართ ლეინზე“ სამედიცინო შემოწმება გაიარა. ადებაიორს ისტლენდიდან წასვლის სურვილი რომ გაუჩნდა, გასაკვირი არც არის, ის ხომ **რობერტო მანჩინის** იერარქიაში **სერხიო აგუეროს, ედინ ჯეკოს, კარლოს ტევესის** და **მარიო ბალოტელის** შემდეგ დგას, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაში არ მოუწევს. ადრეც ვწერდით, რომ ტოგოელი თავდამსხმელის გაქირავების საქმეში ყველაზე რთული მისი ხელფასის ამბავი იყო. ფორვარდის გასამრჯელო კვირაში 170 ათასი ფუნტი გახლავთ, ამ თანხას კი „დეზები“ ვერ გადაიხდიდნენ. მეორე მხრივ, არც „სიტისთვის“ ჰქონდა დიდი ანაზღაურების მქონე ფეხბურთელის სკამზე დასმას აზრი. მისი „სფურზში“ გაქირავების შემთხვევაში რაღაც თანხას მაინც აილებდნენ. საბოლოოდ მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადებაიორის გასამრჯელოს მეტ წილს მაინც „სფურზი“ გადაიხდის, თუმცა ჯიბეში ხელის ჩაყოფისგან ვერც „სიტი“ დაიძვრენს თავს. სხვა საქმეა, რომ ტოგოელი თავდამსხმელი კვირას „სფურზის“ შემადგენლობაში, ბედის ირონიით სწორედ „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ თამაშს ვერ მოახერხებს — ხელს ფორმალობები უშლის, დებიუტი მოგვიანებით შედგება.

ემანუელ ადებაიორის „ტოტენჰემში“ გადასვლა იმას ნიშნავს, რომ „დეზებს“ შეუძლიათ **პიტერ კრაუჩი** გაყიდონ. ინგლისის ნაკრების ფორვარდის შეძენა დასავლეთლონდონელ მეზობლებს, „ქუინზ პარკ რეინჯერსსა“ და „ფულჰემს“ სურთ.

● მანჩესტერ იუნაიტედი

# ყმაწვილთა ამბიციები

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 21 წლის მცველმა **კრის სმოლინგმა** ჟურნალისტებს გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღტაცებასა და ენთუზიაზმზე უამბო. ორშაბათ საღამოს სერ **ალექს ფერგიუსონმა** „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ შეხვედრაში მოედანზე გაიყვანა გუნდი, რომლის საშუალო ასაკი 23 წელი გახლდათ. მოგეხსენებათ, „იუნაიტედმა“ 3:0 გაიმარჯვა. იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებმაც ამ მატჩში ითამაშეს, 24 წელს მხოლოდ სამი გახლდათ გადაცილებული.

სმოლინგმა თქვა: *„ჩვენ ვგრძნობთ, რომ უდიდესი პოტენციალი გვაქვს და ეს აღგვაფრთოვანებს. კარგად ვხვდებით, რომ ის ფეხბურთი, რასაც დღეს ვთამაშობთ, ახლოსაც არ არის იმასთან, რაც შეგვიძლია რომ ვითამაშოთ და გვსიამოვნებს როდესაც წარმოვიდგენთ, თუ როგორ სიმაღლეებს დავიპყრობთ მომავალში. ბედნიერი ვარ, ასეთი შემადგენლობის წევრი რომ გახლავართ“.*

ამაზე ახალგაზრდული შემადგენლობა სერ ალექსმა 2008-09 წლების სეზონში ათამაშა, თუმცა მაშინ სხვა ვითარება იყო. ფერგიუსონმა ძირითადი შემადგენლობის წამყვანი ფეხბურთელები ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ დაასვენა და არც იმ ახალგაზრდულ „იუნაიტედს“ მოუწყვიტავს ციდან ვარსკვლავები, თუმცა „ჰალ სიტის“ დამარცხება მაინც მოახერხა.

დაგვეთანხმებით, სხვაა, როდესაც ასეთ ახალგაზრდულ გუნდს „ჰალ სიტისთან“ ათამაშებ და სულ სხვა, როდესაც შენი მეტოქე ოთხეულში მოხვედრის პრეტენზიის მქონე გუნდია. ზედმიწევნით ზუსტნი რომ ვიყოთ, გუნდი, რომელმაც ორშაბათს „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ წინააღმდეგ ითამაშა, საშუალოდ 23 წლისა და 191 დღის იყო. თან, მიაქციეთ ყურადღება: იმ დღეს, ტრავმა 30 წლის **პატრის ევრას** რომ არ მოეშუშებინა და ფერგიუსონს ის არ ეთამაშებინა, დაცვის მარცხენა ფრთაზე 21 წლის **ფაბიოს** მოუწევდა თამაში, რაც „იუნაიტედის“ საშუალო ასაკს 22 წლამდე დასწევდა.

ევრამ თქვა: *„ჩვენს მწვრთნელს ახალგაზრდებზე დაყრდნობისა არ ეშინია. მერედა, „იუნაიტედის“ ახალგაზრდებს საოცარი სიმშვიდე ახასიათებთ. მათ უნდათ სერ ალექსს დაუმტკიცონ, რომ მზად არიან დიდ გუნდში ითამაშონ. ეს „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ ძალიან კარგია, რადგან გუნდს ენერგია სჭირდება, მათ კი სწორედ ეს ენერგია აქვთ ჭარბად. მართალი გითხრათ, არ მიკვირს, ასე კარგად რომ თამაშობენ, რადგან სეზონის წინა პერიოდში ეს ფეხბურთელები დიდი თავდადებით ვარჯიშობდნენ და კარგ ფეხბურთს აჩვენებდნენ, სეზონის წინა მომზადებას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დიახ, ჩვენ ისეთი გამოცდილი მოთამაშეები დავკარგეთ როგორებიც იყვნენ ედვინ ვან დერ სარი, გარი ნევილი და პოლ სქოულზი, მაგრამ ხომ ხედავთ, მათ ადგილზე რა შესანიშნავი თაობა მოდის. გუნდი ძალ-ღონითა და სიხალისით არის სავსე“.*

მიმომხილველები წერენ, რომ ფერგიუსონს „იუნაიტედი“ ასე, ერთი ხელის მოსმით 1995-96 წლების შემდეგ არ გადაუხალისებია. მაშინ იმ გუნდმა პირველი შეხვედრა „ასტონ ვილასთან“ წააგო და ყოფილმა ფეხბურთელმა, შემდეგ კი ტელეჟურნალისტმა **ალან ჰანსენმა** თქვა: *„ბავშვებით რაიმეს მოგება შეუძლებელია“.* ბავშვებმა კი იმ სეზონში დუბლი მოიგეს.

სმოლინგი განაგრძობს: *„თუ ფანები დაინახავენ, რომ მწვრთნელი ჩვენ გვენდობა, ისინიც მხარში დაგვიდგებიან“.*

„ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ შეხვედრაში „ოლდ ტრეფორდზე“ პირველად ითამაშეს „იუნაიტედის“ ახალწვეულებმა 20 წლის **დავიდ დე ხეამ**, 19 წლის **ფილ ჯონსმა**, 26 წლის **ეშლი იანგმა** და 22 წლის **ტომ კლევერლიმ**. ალექს ფერგიუსონი ძალიან გაახარა იმან, რომ მისი გუნდის პირველი გოლი 20 წლის **დენი უელბეკმა** სწორედ კლევერლის პასით გაიტანა. ისევ სმოლინგი:

*„კლევერლი ჭკვიანი ფეხბურთელია (ინგლისურად სიტყვა ჭკვიანი გახლავთ „კლევერ“) მას თამაშის აჩქარება შეუძლია და ეს ჩვენი გუნდის ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე ფეხბურთელებს ხელს აძლევთ. დენი უელბეკზე კი იმას ვიტყვი, რომ შარშან „სანდერლენდის“ თამაშს ვაკვირდებოდი და ვხედავდი, როგორ აწიოკებდა ის მოწინააღმდეგეთა დაცვის ხაზს. ძალიან მიხარია, ის „იუნაიტედში“ რომ დაბრუნდა“.*



კრის სმოლინგი

საინტერესოა, რომ 25 წლის **უეინ რუნი** გუნდის ერთ-ერთ ყველაზე ასაკოვან ფეხბურთელად ითვლება.

*„რუნი ასაკის მიხედვით ახალგაზრდაა, მაგრამ გამოცდილების მიხედვით თუ ვილაპარაკებთ, ის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელია „მანჩესტერ იუნაიტედში“* — განაგრძობს სმოლინგი.

გაზეთები წერენ, რომ ფერგიუსონს სეზონის დასაწყისში თავისი ახალგაზრდა ფეხბურთელებისგან ორი რამ უნდოდა: ენახა მათი ახალგაზრდული ენერგია და დარწმუნებულიყო, რომ მათ სტუმრად კარგად შეუძლიათ თამაში. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ამერიკაში ხუთივე სეზონისწინა ამხანაგური შეხვედრა, „ქომუნითი შილდის“ მატჩი „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ და პრემიერლიგის ორი ტური სისწრაფისა და სირბილის ანუ ენერგიის თვალსაზრისით კარგად ჩაატარეს.

და ისევ სმოლინგი: *„დღეს ჩვენს გუნდში ყველა იღიმება, ყველა ბედნიერია. მწვრთნელი გვეუბნება, რომ ყოველ შეხვედრას უდიდესი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ, მაგრამ იმავდროულად საკუთარი თამაშით სიამოვნებისკენ მოგვიწოდებს. თუ ფეხბურთს სიამოვნებით არ თამაშობ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ წევრი ვერ იქნები. ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ყველას უნდა სიამოვნებდეს. ალბათ ნახეთ ჩვენი თამაში „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ წინააღმდეგ და ყველაფერში თავად დარწმუნდით“.*

● ბლექბერნი

# ელ ჰაჯი: კინი ქაჯია!

**ელ ჰაჯი დიუფი** გაბრაზებულია. ის ვერ შეგუებია, რომ „ბლექბერნის“ მწვრთნელი **სტივ კინი** ძირითად შემადგენლობაში აღარ ათამაშებს და შოტლანდიელ სპეციალისტს რაც ძალა და ღონე აქვს, ლანძღავს. არადა, დიუფი მართლა ცუდ დღეშია. სენეგალელი ცუდი ბიჭი „ბლექბერნის“ მთავარი გუნდიდან გააგდეს და უთხრეს, აქ შენი ფეხი აღარ იქნებაო. „ლივერპულისა“ და „ბოლტონის“ ყოფილი მოთამაშე, რომელიც დღეს 30 წლისაა, ასეთ დამოკიდებულებას ვერ შეგუებია.



*„აქ, „ივუდ პარკზე“ ჩამოსვლა და ფეხბურთის თამაში არავის უხაროდა, ამ ბოლო დროს კი ყველაფერი პირიქით არის. საქმე ის გახლავთ, რომ ადრე ჩვენ საკუთარი სიამოვნებისთვის, მწვრთნელისა და ფანებისათვის ვთამაშობდით, ახლა კი ეს განწყობა დაიკარგა. კინი გამოცდილ ფეხბურთელებს სათადარიგოთა სკამზეც კი აღარ გვსვამს. ვინ უნდა შევიდეს მოედანზე და შეცვალოს თამაშის ბედი? ასეთს ვერ ვხედავ. არადა, ნამდვილად არ მინდა, ეს გუნდი რომ გავარდეს. რას იზამ. ასე, „ბლექბერნს“ პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება. მე გუნდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვარსკვლავი ვიყავი, მაგრამ მოვიდა ახალი მწვრთნელი და ყველაფერი შეცვალა. ის ფეხბურთელები, რომლებსაც სტივ კინი ათამაშებს და ენდობა, მე რომ მჯობდნენ, არაფერს ვიტყოდი, მაგრამ, ვაგლახ, ასე ნამდვილად არ არის“.*

დიუფი ამბობს, რომ კინი დეკემბრის მერე პიროვნულად შეიცვალა. რა მოხდა დეკემბერში? ის გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელის თანამდებობიდან მთავარ მწვრთნელად ანუ, ინგლისურად რომ ვთქვათ, მენეჯერად გადაიყვანეს. მანამდე „ბლექბერნს“ **სემ ელერდაისი** ხელმძღვანელობდა. დიუფი ეჭვობს, რომ კინმა ის სწორედ ელერდაისთან განსაკუთრებული ურთიერთობის გამო აითვალწუნა.

*„როდესაც ჩვეულებრივი მწვრთნელი იყო ყოველთვის მელაპარაკებოდა, მეუბნებოდა, რომ მე კლუბის საუკეთესო ფეხბურთელი ვარ. შემდეგ ის მენეჯერი გახდა და დამოკიდებულება მკვეთრად შეცვალა. ვფიქრობ, მას სემ ელერდაისთან ჰქონდა პრობლემა და მასთან მტრობა ჩემზე გადმოიტანა“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# დიდიე დროგბას მაისურით მძინარე



რომელუ ლუკაკუ

**რომელუ ლუკაკუ** ცისფერ... უფრო სწორად კი ლურჯ ოცნებაში მოხვდა — ბოლოს და ბოლოს, პირადად გაიცნო ბავშვობისდროინდელი კერპი **დიდიე დროგბა**. კაცმა რომ თქვას, ლუკაკუ ბავშვობას ჯერ მაინცდამაინც არც გასცდენია, ერთი ეგ არის, ფეხბურთს კარგად თამაშობს და მასში დასავლეთლონდონელებმა 20 მილიონი ფუნტი გადაიხადეს. ყმაწვილი თავდამსხმელი „სტემფორდ ბრიჯზე" „ანდერლეხტიდან" აგვისტოს დასაწყისში გადავიდა და, როგორც თავად ამბობს, დროგბას დანახვაზე ლამის იტირა. დღეს ის კოტ დ'ივუარელ ვეტერანს ეხვეწება, „ჩელსიდან" არსად წავიდეს.

*„დიდიე დროგბას ორი მაისურა მქონდა, ერთი დასაძინებლად და მეორე ქუჩაში მეგობრებთან სათამაშოდ — უამბო ლუკაკუმ ინგლისელ ჟურნალისტებს - „ჩელსის" იმ დღიდან ვგულშემატკივრობ, რაც ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა ათი წლის წინ „მანჩესტერ იუნაიტედს" გოლი გაუტანა. ჩემი გმირები დროგბა და ნიკოლა ანელკა იყვნენ. დიდიეს პლაკატი ჩემი საწოლის თავზე, ჭერში მქონდა გაკრული, ანელკასი კი ცოტა მარჯვნივ. ყოველთვის ისეთ ბუცებს ვიცვამდი, როგორსაც დროგბას დავუნახავდი და შინ, „ჩელსის" ტელევიზია გამოვიწერე, რათა ჩემი გმირების ვარჯიშები და მათი მონაწილეობით სარეკლამო კლიპები მენახა. როდესაც 2009 წლის ნოემბერში „ჩელსიმ" „არსენალს" 3:0 მოუგო, ქუჩაში დავრბოდი და ვღრიალებდი. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემი უმცროსი ძმა ჯორდანი „არსენალის" გულშემატკივარია. ისე ვღრიალებდი, დედაჩემს ეგონა, რომ გავგიჟდი".*

ბელგიის ნაკრების ფეხბურთელი „სტემფორდ ბრიჯზე" პირველად სკოლის მოსწავლეობის დროს, მეგობრებთან ერთად, სამდღიანი ექსკურსიის დროს მივიდა.

*„ჩემმა მეგობრებმა გასახდელების დათვალიერება დაიწყეს, მე კი მოედანზე დავდექი და წარმოვიდგინე, რომ დროგბასთან ერთად ვთამაშობდი. შემდეგ ჩემს მასწავლებელს ვუთხარი, ნახავთ, ერთ დღეს აქ ვითამაშებ-მეთქი. და აი, გავიდა რამდენიმე წელიწადი და ოცნება ავიხდინე. სხვათა შორის, „ჩელსისთან" კონტრაქტს ხელი რომ მოვაწერე, იმ მასწავლებელს დავურეკე და რაც მოხდა ვახარე".*

ლუკაკუ დროგბას ისეთი ფანი გახდა, რომ ვეტერან თავდამსხმელს შესაძლოა მის დანახვაზე დამალვამაც მოუწიოს.

*„როდესაც დიდიე პირველად ვნახე, ვერ ვიჯერებდი, რომ მელაპარაკებოდა. გასახდელში სულ გვერდით ვუზივარ და რალაცებს ვეკითხები. ის ყოველთვის რჩევას მაძლევს. ვარჯიშებზე ყურადღების დაძაბვისკენ მომიწოდებს. ხანდახან, „გოლს" მანამდე ვყვირივარ, სანამ ბურთს შევეხები, ის კი მეუბნება, რომ ასე არ ვარგა და მეტი კონცენტრაციაა საჭირო. ჩვენ ერთნაირი სტილის ფეხბურთელები ვართ. მეც სწრაფი ვარ და მცველთან ერთი ერთზე გამკლავება შემიძლია. თმაც ერთნაირად გვაქვს, ორივეს საყვარელი ნომერი თერთმეტია. დარწმუნებული ვარ, ერთად თამაშს შევძლებთ, რადგან ეს ერთობლივი ვარჯიშების დროს კარგად ჩანს.*

*დღეს არ ვუშვებ, ყოველთვის ვეუბნები, რომ ის „ჩელსიში" ჩემი გულისთვის უნდა დარჩეს. მასთან ერთად ორ წელიწადს რომ ვითამაშო, გარწმუნებთ, ის ძალიან ძლიერად მომამზადებს. უკვე დიდი გამარჯვებებისთვის ვიქნები მზად. დიდიე მაიმედებს, მეუბნება, რომ წასვლას არ აპირებს".*

თუმცა, ოცნებები ოცნებებად და ლუკაკუმ კარგად იცის, რომ პრემიერლიგაში იოლი ცხოვრება არ ელის:

*„პრემიერლიგაში ისე არ გამიადვილდება როგორც ბელგიაში. მე აქ მსოფლიო კლასის ფეხბურთელებისგან უნდა ვისწავლო და მწვრთნელს დავუმტკიცო, რომ როდესაც მას დავჭირდები, მზად ვიქნები. თანაგუნდელებმა მითხრეს, რომ გართობის დრო დასრულდა, ამიერიდან სერიოზული უნდა გავხდე. „ვესტ ბრომვიჩთან" შეხვედრას რომ ვუყურებდი, ყველაფერს ისე განვიცდიდი, რომ ბოლოს კაპიუშონის წამოხურვა დამჭირდა, ვინმეს ჩემი ცრემლები რომ არ შეემჩნია. „ანდერლეხტი", რასაკვირველია, დიდი კლუბია, მაგრამ მე ყოველთვის უმაღლესი დონის ვარსკვლავების მხარდამხარ თამაშზე ვოცნებობდი და ეს ოცნება ამიხდა".*

**ილია ბაბუნაშვილი**

არსენალი

# ბოროტების გზა

**სამირ ნასრი** „არსენალიდან" „მანჩესტერ სიტიში" გადავიდა, რამაც მისი ახლა უკვე ყოფილი თანაგუნდელი, 19 წლის **ემანუელ ფრიმპონგი** ალაშფოთა. ფრიმპონგი სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც პრემიერლიგის მეორე ტურში, „არსენალისა" და „ლივერპულის" შეხვედრაში („ლივერპულმა" მოიგო 2:0) საფინალო სასტვენამდე 20 წუთით ადრე მოედნიდან გააძევეს. ამომავალმა ვარსკვლავმა კარგად იცის, რომ ნასრის „მეთოფეთაგან" გაქცევის მთავარი მიზეზი დიდი გასამრჯელო იყო. „სიტიში" 24 წლის ფრანგი კვირაში 175 ათას ფუნტს მიიღებს, მაგრამ წარმოშობით განელ ინგლისელს სიმდიდრეზე თავისი შეხედულება ჰქონია:

„ფულის გზა ბოროტების გზაა" — დაწერა ყმაწვილკაცმა „ტვიტერზე", როდესაც სამშაბათ საღამოს თავისი კლუბის ოფიციალური განცხადება წაიკითხა. „მეთოფეთა" ოფისი იტყობინებოდა, რომ ნასრის „მანჩესტერ სიტიში" გაყიდვის საქმე მოგვარებულია.



ემანუელ ფრიმპონგი

ფრიმპონგისგან განსხვავებით, ნასრის მიმართ მეგობრული გამოდგა მისივე თანატოლი **ჯეკ უილშირი**, რომელმაც ფრანგს წარმატება უსურვა:

*„გზას დავულოცავ ჩემს მეგობარ სამირ ნასრის! მე მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე და ის მსოფლიო დონის ფეხბურთელად მიმაჩნია".*

და რომ იცოდეთ, როგორ გაგრძელდა ეს ონლაინ-ისტორია... ფრიმპონგმა უილშირს პასუხად დაახლოებით ასეთი რეპლიკა მისწერა:

*„თუ ჩემი ძმა ხარ, ჯეკ..."*

ამასობაში კი ნასრი მანჩესტერში ჩავიდა და „სიტის" ექიმებმა შეამოწმეს, თუმცა, პრესაში ერთმა ძალიან საინტერესო ამბავმა გაჟონა: წერენ, თითქოს მაშინაც კი, როდესაც ფრანგი ისტლენდზე სამედიცინო შემოწმებას გადიოდა, „მანჩესტერ იუნაიტედი" ქსელებს აბამდა, რათა ფეხბურთელი თანაქალაქელი კლუბისთვის ცხვირწინ აეწაპნაო. ცოტა ძნელი წარმოსადგენია, არა? მიუხედავად ამისა, წერდნენ, რომ „იუნაიტედი" ნასრის აგენტის მოთაფვლას ცდილობდა. ჩემპიონთა სატრანსფერო კომბინაციის შედეგად აგენტებს 2 მილიონი ფუნტი ანუ უფრო მეტი რჩებოდათ, ვიდრე „სიტისთან" გარიგების შემთხვევაში. კიდევ, წერენ, რომ „იუნაიტედი" ნასრის კვირაში 185 ათას ფუნტს სთავაზობდა და არწმუნებდა, რომ სერ **ალექს ფერგიუსონს** მისთვის ძირითად შემადგენლობაში ცენტრალური როლი ჰქონდა გამზადებული — თითქოსდა, ის რომ დათანხმებულიყო, „ინტერიდან" ჰოლანდიელი **ვესლი სნეიდერის** გადაყვანაზე ყოველგვარი ლაპარაკი შეწყდებოდა.

**ილია ბაბუნაშვილი**

ამბები



## პიკეც დაიმტვრა

სამშაბათ საღამოს „ბარსელონას" ცენტრალურმა მცველმა **ჟერარდ პიკემ** ვარჯიშზე მარცხენა ფეხის კუნთი ისე დაიშავა, რომ მას სამი კვირით იძულებითი დასვენება მოუწევს. ბუნებრივია, პიკე დააკლდება პარასკევს მონაკოში გასამართავ ევროპის სუპერთასის მატჩს, რომელშიც „ბარსელონა" „პორტუს" შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ჯერ არ გამოჯანმრთელებულა გუნდის კაპიტანი **კარლეს პუიოლი**. ასე რომ, **ხოსეპ გვარდიოლას** დაცვის ცენტრში პრობლემები შეექმნება. ამ პოზიციაზე თამაში შეუძლიათ **ფონტასს, აბიდალს, მასკერანოსა** და **ბუსკეტსს**. მწვრთნელს შეუძლია სარეზერვო გუნდიდან **ბარტრა** დააწინაუროს. პიკემ ესპანეთის სუპერთასზე ორივე შეხვედრა სრულად ჩაატარა, ორშაბათს „ნაპოლისთან" კი 45 წუთი ითამაშა.

სამაგიეროდ, უკეთ არიან ადრე დაშავებული **ალექსის სანჩესი** და **მაქსველი**. ეს ფეხბურთელები უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობენ. პიკეს დამტვრევის შემდეგ გვარდიოლას 18 ჯანმრთელი ფეხბურთელი დარჩა მონაკოს მატჩისთვის.

## სერხი რობერტო ბარსაში დარჩა

„ბარსელონამ" გამოაცხადა, რომ სარეზერვო გუნდის ფეხბურთელ **სერხი რობერტოსთან** კონტრაქტი 2015 წლამდე გაახანგრძლივა. ახლა, ვისაც სერხი რობერტოს შეძენა მოუნდება, 12 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს. იმ შემთხვევაში, თუ სერხი რობერტო ტრანსფერის დროს უკვე პირველ გუნდში იქნება გადაყვანილი, მისი გამოსასყიდი ფასი 20 მილიონი ევრო იქნება.

სერხი რობერტო 18 წლის ტარაგონელია. მან პირველი გუნდის მაისურა პირველად მაისში მოირგო (და ეს ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა), „მალაგასთან" მატჩში ახალგაზრდა ნახევარმცველმა 90 წუთი ითამაშა.

## დიეგო და პაჩეკო ატლეტიკოში

„ლივერპულმა" ახალგაზრდა ესპანელი **დანი პაჩეკო** ერთი სეზონით მადრიდის „ატლეტიკოს" ათხოვა. 20 წლის პაჩეკო გასულ სეზონში „ნორვიჩ სიტიში" იყო განათხოვრებული, „ლივერპულის" მთავარ გუნდში კი მხოლოდ 7-ჯერ ითამაშა. პაჩეკო ბარსელონას საქვეყნოდ ცნობილი აკადემიის, „ლა მასიას" აღზრდილია, სადაც ბომბარდირული ნიჭის და შემხრთების გამო შეარქვეს „ელ ასესინო" (ასასინი). თავად მადრიდული კლუბი კი 24 წლის პორტუგალიელ **რუბენ მიკაელს** შეელია, რომელიც იჯარით „სარაგოსაში" გაუშვა.

„ატლეტიკოში" 26 წლის **დიეგოს** ტრანსფერიც გადაწყვეტილი ყოფილა, ბრაზილიელი ფეხბურთელის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კლუბებს შორის ყველაფერი შეთანხმებულია. ესპანური მედიის ცნობით, „ატლეტიკო" „ვოლფსბურგს" 10 მილიონ ევროს გადაუხდის.

## რაიკოვიჩი ჰამბურგმა წარადგინა

ეს უკვე ოფიციალური ცნობაა - „ჰამბურგმა" „ჩელსისგან" 22 წლის სერბი **სლობოდან რაიკოვიჩი** შეიძინა. ამით ჩრდილოგერმანელებმა დაცვის ცენტრი გააძლიერეს. „ჩელსიმ" რაიკოვიჩი გასულ სეზონში **მერაბ ჟორდანიას** „ვიტესში" გაანათხოვრა. *„წინასწარ დაპირება არ მიყვარს, მაგრამ ყოველთვის ბოლომდე დავიხარჯები ახალი კლუბის საკეთილდღეოდ"*, - განაცხადა „ჰამბურგის" ახალწვეულმა. რაიკოვიჩმა 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, სატრანსფერო თანხა კი არ დასახელებულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



სპორტინგი (ხიხონი) პრიმერადივიზიონი. კლუბების წარდგენა რასინგი (სანტანდერი)



# ჭეშმარიტების ჟამი

## სტაბილურობა - წარმატების გარანტი?




„სპორტინგში“ ბოლომდე ენდნენ **მანოლო პრესიადოს**, მაშინაც კი, როცა ბევრს ეგონა, რომ მწვრთნელს სადავეები ხელიდან გაეშვა, რის შედეგადაც გუნდმა პრიმერაში ადგილი შეინარჩუნა.

ბოლო 20 წელიწადია ასტურიული კლუბი მუდამ გამოცდის წინაშეა. ერთი პირობა სეგუნდაში გავარდნასა და გულშემატკივართა აჯანყებას კინალამ გუნდის არსებობის შეწყვეტა მოჰყვა. **მანუელ ვერა-არანგომ** გავერანებული კლუბი ჩაიბარა. მაგრამ მან შეძლო საზოგადოებაში მხარდაჭერის მოპოვება, ფინანსების მოზიდვა, რასაც „სპორტინგის“ ხელახალი აღზევება მოჰყვა.

წლეულს, „სპორტინგის“ ყველაზე თვალსაჩინო შენაძენი **ოსკარ ტრეხოა**, ყურადღებას იქცევს **რიკარდო ლეონიც**, რომელმაც, მწვრთნელის აზრით, უნდა შეცვალოს **დიეგო კასტრო**. საერთო ჯამში, ხიხონელთა შემადგენლობა დიდად არ შეცვლილა. „სპორტინგმა“ უნდა შეძლოს პორტუგალიელი **ანდრე კაშტროს** შენარჩუნება, რომელიც შარშან იჯარის წესით თამაშობდა და „პორტუს“ საკუთრება იყო, თუ არადა, გუნდს შუახაზში გაუჭირდება. სავარაუდოდ, ასტურიელებს კომპლექტაცია არ დაუსრულებიათ.

### ციტატები

**მანოლო პრესიადო**: *„წინა სეზონი პრელუდია იყო, ახლა კი დადგა ჭეშმარიტების ჟამი, უნდა გავიგოთ სინამდვილეში რანი ვართ ჩვენ და რა შეგვიძლია - გადამწყვეტი სეზონია“.*

**ივან ერნანდესი**: *„სპორტინგს“ დაცვაში პრობლემა არ ექნება“.*

**სებასტიან ეგურენი**: *„ის, რაც ცხოვრებაში შევძელი, ყველაფერი „სპორტინგისა“ და ურუგვაის ნაკრების დამსახურებაა“.*

### სეზონის ამოცანა: პრიმერაში დამკვიდრება

„სპორტინგში“ კრიზისი წარსულს ჩაბარდა, გუნდი დასტაბილურდა, ხიხონელები აქტიურად უჭერენ მხარს თავიანთ საყვარელ გუნდს. ყველა პირობაა შექმნილი, რომ „სპორტინგმა“ მეტისთვის იბრძოლოს, ვიდრე პრიმერაში დარჩენა.

წინასასეზონო მატჩებში ხიხონელები კარგად გამოიყურებიან და უკვე გაისმის ისეთი ოპტიმისტური ფრაზები, სადაც სიტყვა „ევროთასებია“ ნახსენები. მანუელ ვეგა-არანგო კი რეალისტია და მას შარშანდელი მე-10 ადგილიც დააკმაყოფილებს.

### ტრანსფერები

**მივიდნენ**: **რიკარდო ლეონი** („ტენერიფე“, თავ. აგენტი), **დამიან სუარესი** („დეფენსორი“, 550 ათასი ევრო), **ოსკარ ტრეხო** („მალიორკა“, 1 მლნ.).

**წავიდნენ**: **დ. კასტრო, სასტრე, ხოსე ანხელი, ლანდეირა.**

### დოსიე

**რეალ სპორტინგ დე ხიხონი**

**დაარსდა**: 1905 წ.
**სტადიონი**: ელ მოლინონი, 29 540
**პრეზიდენტი**: მანუელ ვეგა-არანგო
**მწვრთნელი**: მანოლო პრესიადო
**კლუბის წევრი**: 21 000
40 სეზონი პრიმერაში
**მეტსახელი**: როხიბლანკოსი
**გასულ სეზონში**: მე-10 ადგილი
**ოფიციალური საიტი**: hppt://www.realsporting.com/
**ყველაზე მეტი თამაში 2010/11**: დე ლას კუევასი (37), ლორა (36), ბარალი (34), ნაჩო ნოვო (32), რივერა (30).
**ყველაზე მეტი გოლი 2010/11**: დიეგო კასტრო (9), დე ლას კუევასი (6), ბარალი (5), ნაჩო ნოვო (4), სანგოი (2).

### გუნდი 2011/12

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ხუან პაბლო | 02.09.1978 |
| 25. ივან პიჩუ კუელიარი | 27.05.1984 |
| 27. რაულ დომინგესი | 01.11.1986 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ალბერტო ბოტია | 27.01.1989 |
| 4. ხორხე გარსია ტორე | 18.01.1984 |
| 12. გრეგორი არმოლინი (საფრ.) | 10.11.1980 |
| 14. ივან ერნანდესი | 27.02.1980 |
| 15. როზერტო კანელია | 07.02.1988 |
| 17. დამიან სუარესი (ურუგვაი) | 27.04.1988 |
| 26. პედრო ორფილა | 06.03.1988 |
| 29. ალაინი | 13.11.1989 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 5. ალბერტო რივერა | 16.02.1978 |
| 6. კარმელო ხიმენესი | 09.07.1983 |
| 7. ბიოსე პერესი | 22.11.1985 |
| 8. სებასტიან ეგურენი (ურუგ.) | 08.01.1981 |
| 11. ალბერტო ლორა | 25.03.1987 |
| 16. სერხიო ალვარესი | 23.01.1992 |
| 18. ლუის მორანი | 26.07.1987 |
| 20. მიგელ ანხელ დე ლას კუევასი | 19.06.1986 |
| 21. ნაჩო კასესი | 22.11.1987 |
| 22. რიკარდო ლეონ ბრიტო | 08.02.1983 |
| 28. ხუან მუნისი | 14.03.1992 |
| 30. ალეხანდრო ბარერა | 12.05.1991 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. მატე ბილიჩი (ხორვატია) | 23.10.1980 |
| 10. ნაჩო ნოვო | 26.03.1979 |
| 19. გასტონ სანგოი (არგენტინა) | 05.10.1984 |
| 23. დავიდ ბარალი | 10.05.1983 |
| 24. ოსკარ ტრეხო (არგენტინა) | 26.04.1988 |
| 31. ალეხანდრო მენენდესი | 15.07.1991 |
| 32. ფორმოსე მენდი (გვ.-ბისაუ) | 23.03.1989 |

# კუპერის ტესტი: ზედიზედ მეთერთმეტედ

## ცრუ ინდოელი ბიზნესმენის დასრულებული ოდისეა

გასულ სეზონში „რასინგმა“ მხოლოდ იმის გამო შეინარჩუნა ადგილი პრიმერაში, რომ გადამწყვეტ მომენტში დიდებულად ითამაშეს ლიდერებმა **ჯოვანიმ, როზენბერგმა და ენრიკემ**. კანტაბრია ლამაზი პეიზაჟებისა შესანიშნავი კლიმატური პირობების მხარეა. რომ იკითხოთ „ელ სარდინიერო“ რა არისო, უმეტესობა გიპასუხებთ, რომ საქვეყნოდ ცნობილი პლაჟია, ამავე დასახელების სტადიონს კი ბევრი ვერც გაიხსენებს.

ადგილობრივი „რასინგი“ ბოლო წლებია წარმატებით იბრძვის ლა ლიგაში დარჩენისთვის, მიუხედავად სერიოზული ფინანსური პრობლემებისა. უკვე ათი სეზონია ზედიზედ კანტაბრიას ესპანური ფეხბურთის ელიტაში წარმომადგენელი არ მოკლებია.

შარშან გუნდს უჩვეულო რამ შეემთხვა - ის უცხოელმა ინვესტორმა შეიძინა, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა. ინდოელი ბიზნესმენი **ალჰასან ალი-საედი** საეჭვო რეპუტაციისა გამოდგა. სეზონის ბოლოს ინდოელს სასამართლომ ჩამოართვა კლუბი, რადგან საერთოდ არ ასრულებდა ხელშეკრულებით გაფორმებულ ვალდებულებებს. გუნდი მესამე პირს, კანტაბრიის მთავრობას გადაეცა, რომელიც გამალებით ცდილობს „რასინგი“ ნამდვილ ინვესტორს მიჰყიდოს და შარშანდელი შეცდომა აღარ გაიმეოროს.

სამწვრთნელო სკამზე ისეთი კაცი მოკალათდა, რომ „სანტანდერი“ ახალ სეზონში ჩვენთვის ერთიორად საინტერესო გუნდი გახდა - არგენტინელი **ექტორ რაულ კუპერი** ხომ არცთუ დიდი ხნის წინათ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი იყო. გამოცდილი **გონსალო კოლსა** აღფრთოვანებულია: *„კუპერის დანიშვნით ჩვენ ავტორიტეტული მწვრთნელი შევიძინეთ, რომელსაც ხელი არ აუკანკალდება სათადარიგოთა სკამზე დასვას ის, ვინც ამას დაიმსახურებს. კუპერს შეუძლია ბიჭების ერთ მუშტად შეკვრა“.*

მაგრამ მხოლოდ მწვრთნელი რას იზამს, „რასინგის“ სატრანსფერო პოლიტიკა კი უკეთესის სურვილს ტოვებს (მიზეზი, ისევ ფინანსებია). ყველა მიიჩნევს, რომ მთავარი შენაძენი არგენტინელი **ლაუტარო აკოსტაა**. იმის მიუხედავად, რომ მას კარიერა „სევილიაში“ არ აეწყო, ლაუტაროს არგენტინული ფეხბურთის ერთ-ერთ იმედს უწოდებენ.

აი, მარკუს როზენბერგის წასვლა კი დიდი დარტყმაა, შვედი ფორვარდი კარგად მოერგო პრიმერას, თუმცა ბუნდესლიგაში დაბრუნებამ მოუწია. აღარ იქნებიან სხვა ლიდერებიც: ჯოვანი, ენრიკე, **ციოლისი**. მოკლედ, „რასინგმა“ მეტი დაკარგა, ვიდრე შეიძინა.

### ციტატები

**ადრიან გონსალესი**: *„ამ სეზონში უარესი შედეგი არ გვექნება, ამის პირობას გაძლევთ“.*

**კრისტიან სტუანი**: *„იტალიის ჩემპიონატს ესპანეთისა მირჩევნია, აქ უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს. ძალიან ბევრს ვიმუშავებ და გოლებიც არ დააყოვნებს“.*

**გონსალო კოლსა**: *„კლუბში რაც ხდება, ძალიან მაღელვებს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ეს ჩვენს თამაშზე არ აისახება“.*

**ექტორ კუპერი**: *„ჩემი აზრით, აკოსტა ფორვარდია. ის მაღალი არ არის, თუმცა ამ ნაკლს თავისი სიმამაცით ინაზღაურებს და მეორე სართულზეც კარგად თამაშობს“.*

### სეზონის ამოცანა პრიმერაში დარჩენა

მძიმე ეკონომიკური სიტუაციის მიუხედავად, მწვრთნელი და ფეხბურთელები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. თუმცა ჩვენ მათ შემართებას ვერ ვიზიარებთ. კანტაბრიელებს კვლავ მზის ქვეშ ადგილისთვის ბრძოლა მოუწევთ, თუმცა, შესაძლოა, „რასინგი“ ამ ბრძოლაში კვლავ გამარჯვებული გამოვიდეს.

### ტრანსფერები

**მივიდნენ**: **ალვარო გონსალესი** („რასინგი ბ“), **ხულიან ლუკე** („რასინგი ბ“), **ლაუტარო აკოსტა** („სევილია“), **კრისტიან სტუანი** („რეჯინა“), **მარიო ორტისი** („კონკენსი“), **ხოსე პიკონი** („პონტევედრა“), **დამიან ისმოდესი** („უნივერსიტარიო დეპორტესი“), **ედუ ბედია** („სალამანკა“).

**წავიდნენ**: **ლასენი, კოლტორტი, სარმიენტო, ბოლადო, პინილიოსი, ციოლისი, როზენბერგი, ჯოვანი.**

### დოსიე

**რეალ რასინგ კლუბ დე სანტანდერ**

**დაარსდა**: 1913 წ.
**სტადიონი**: ელ სარდინიერო, 22 400
**პრეზიდენტი**: ფრანსისკო პერნია
**მწვრთნელი**: ექტორ კუპერი
**კლუბის წევრი**: 17 300
44 სეზონი პრიმერაში
**მეტსახელი**: ლოს რასინგისტასი, ლოს ვერდიბლანკოსი
**გასულ სეზონში**: მე-12 ადგილი
**ოფიციალური საიტი**: http://www.realracingclub.es/
**ყველაზე მეტი თამაში 2010/11**: ტორეხონი (36), ენრიკე (35), ლასენი (33), როზენბერგი (33), სისმა (32).
**ყველაზე მეტი გოლი 2010/11**: როზენბერგი (9), კენედი (6), ჯოვანი (5), ნაუელპანი (3), პინილიოსი (2).

### გუნდი 2011/12

| მეკარეები | |
|---|---|
| 13. ტონიო მარტინესი | 17.12.1979 |
| 25. მარიო ფერნანდესი | 30.04.1988 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ხოსე პიკონი | 13.03.1988 |
| 3. კრისტიან ფერნანდესი | 15.10.1985 |
| 4. ოსმარი იბანიესი | 05.06.1988 |
| 6. დომინგო სისმა | 09.02.1982 |
| 15. ფრანსის პერეს მალია | 17.12.1981 |
| 19. მარკ ტორეხონი | 18.02.1986 |
| 33. ალვარო გონსალესი | 08.01.1990 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 7. მანუელ არანა | 03.12.1984 |
| 8. გონსალო კოლსა | 11.05.1977 |
| 11. ოსკარ სერანო | 30.09.1981 |
| 18. ედუ ბედია | 23.03.1989 |
| 21. პაპაკული დიოპი (სენეგალი) | 19.03.1986 |
| 23. ადრიან გონსალესი | 25.05.1988 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. კრისტიან სტუანი (ურუგვაი) | 12.12.1986 |
| 10. პედრო მუნიტისი | 19.06.1975 |
| 16. კენედი ბაკირჩიოგლუ (შვედ.) | 02.11.1980 |
| 22. არიელ ნაუელპანი (არგენ.) | 15.10.1987 |
| 24. ლაუტარო აკოსტა (არგენ.) | 14.03.1988 |



ჩემპიონთა ლიგა. პლეიოფი. საპასუხო მატჩები



საბა კვერკველია (№67)

# ფენერბაჰჩე მოკვეთეს

## ორი ქართველი ლიგას ვერ შესწვდა

სანამ საფეხბურთო ბატალიებს აღვწერთ, უეფას შტაბბინიდან მოსულ მთავარ ცნობას გაგაცნობთ: მას შემდეგ, რაც თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ ჩემპიონი „ფენერბაჰჩე“ მოკვეთა, უეფამ ჯგუფურ ეტაპზე განაღდებული მისი ადგილი „ტრაბზონსპორს“ გადაულოცა. ამრიგად, ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველად ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს გუნდი, რომელიც მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხდა („ბენფიკასთან“). აქვე კიდევ ერთი უცნაურობა - მოგეხსენებათ, „ტრაბზონი“ ევროპალიგის პლეი ოფში თამაშობდა და ბილბაოს „ატლეტიკთან“ პირველი შეხვედრა 0:0 ითამაშა. დღეს ამ გუნდების საპასუხო მატჩი აღარ გაიმართება - ჯგუფურ ეტაპზე ბასკები უბრძოლველად გადიან.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი სრულად დაკომპლექტდა, პლეი ოფმა 10 ვაკანტური ადგილიც შეავსო, ჯერი ლიგის წილისყრაზეა. გუშინდელი მატჩებიდან პირველი რუსეთში დასრულდა, რუსებს ჩემპიონთა ლიგის პრესტიჟულ ეტაპზე სამი კლუბი არ ეყოლებათ - „ლიონმა“ ყაზანში „რუბინთან“ მიზანს სრულად მიაღწია -1:1 ითამაშა და ორი მატჩის ჯამში გაიმარჯვა. ასე ახლოს იყო ლიგის ჯგუფურ ეტაპთან 19 წლის ჩვენებური **საბა კვერკველია**, თუმცა ახლა ევროპალიგის ჯგუფური ეტაპით მოუწევს დაკმაყოფილება. გუშინ საბამ 11,07 კმ. გაირბინა და 2-ჯერ დაჯარიმდა. აღსანიშნავია, რომ პასებში ის აკურატული იყო - 67-დან 60 ზუსტი პასი გააკეთა (90%).

ლიგის ჯგუფურ ეტაპს გუშინ ვერც მეორე ქართველი, **გიორგი ფოფხაძე** შესწვდა - მისი „შტურმი“ „ზესტაფონს“ კი გასცდა, მაგრამ ბატე-ს ვერაფერი დააკლო. არადა, სტუმრად 1:1 ჰქონდა ნათამაშები. ფოფხაძე ავსტრიელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო. მან 10.9 კმ გაირბინა. ქართველმა კარისკენ ერთხელ დაარტყა, 3-ჯერ მის წინააღმდეგ იუხეშეს (თავად არ დაჯარიმებულა) და 51 პასიდან 40 ზუსტი გააკეთა (78%). ჯგუფურ ეტაპზე იოლად გავიდნენ „არსენალი“, „ბენფიკა“ და „პლზენი“.

სამწუხარო რეალობაა - ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 32 გუნდი თამაშობს და იქ ერთი ქართველიც არაა..

**რუბინი (რუსეთი)– ლიონი (საფრანგეთი) 1:1 (1:3)**

**რუბინი (5-4-1)**: რიჟიკოვი - კისლიაკი, კალეშინი, კვერკველია, შარონოვი, ნემოვი - კარადენიზი, ნობოა, ნატხო, ლებედენკო (69. მარტინსი) - დიადიუნი (69. მედვედევი).

**ლიონი (4-4-2)**: ლორისი - რევეიერი, ბ. კონე, ლოვრენი, სისოხო - ბრიანი, გონალონსი, კალსტრიომი, ბაშტოში - ლ. ლოპესი (92. პიე), გომისი (84. პიანიჩი).

**გოლები**: 1:0 ნატხო (77), 1:1 ბ. კონე (87)

**პლზენი (ჩეხეთი)– კოპენჰაგენი (დანია) 2:1 (3:1)**

**პლზენი (4-2-3-1)**: ჩეხი - რაიტორალი, ჩიშოვსკი, ბისტრონი, ლიმბერსკი - ჟირაჩეკი, ჰორვატი (86. ტრაპი) - პეტრჟელა (82. ფილო), კოლარჟი, პილარჟი - ბაკოში (77. ძიურიში).

**კოპენჰაგენი (4-4-2)**: ვილანდი - ტომსენი (83. სიგურდსონი), ოტესენი, იორგენსენი, ბენგტსონი - ბოლანიოსი (74. დიუფი), ნორდსტრანდი, გრინდჰეიმი, დელეინი - სანტინი (64. აბსალონსენი), ნდოიე.

**გოლები**: 0:1 ბოლანიოსი (32), 1:1 ბაკოში (67), 2:1 ძიურიში (93)

**შტურმი (ავსტრია)– ბატე (ბელარუსი) 0:2 (1:1)**

**შტურმი (4-4-2)**: გრაცეი - შტანდფესტი, დუდიჩი, ბურგშტალერი, ფოფხაძე - ჰიოლცლი (74. მურატოვიჩი), ვებერი, ზიომელი, ბუკვა (46. ჰაასი) - საბიჩსი, ვოლფი (60. კაინცი).

**ბატე (4-2-3-1)**: გუტორი - ბაგა, ფილიპენკო, შიმიჩი, იურევიჩი - ოლეხნოვიჩი, ა. ვოლოდკო - კონცევოი (67. გორდეიჩუკი), ბრესანი (59. რუდიკი), ნეხაიჩიკი - როდიონოვი (77. ბორდაჩევი).

**გოლები**: 0:1 ა. ვოლოდკო (36), 0:2 შიმიჩი (69)

**ბენფიკა (პორტუგალია)– ტვენტე (ჰოლანდია) 3:1 (2:2)**

**ბენფიკა (4-1-3-2)**: არტური - მ. პერეირა, ლუიზაო, გარაი, ემერსონი - ხავი გარსია - გაიტანი (74. ბრუნო სეზარი), ვიტსელი, ნოლიტო (74. მატიჩი) - აიმარი, კარდოსო (84. სავიოლა).

**ტვენტე (4-3-3)**: მიჰაილოვი - კორნელისი, დუგლასი, ვიზგერჰოფი, ტიენდალი - დე იონგი, ბრამა (76. ლანდზაატი), იანსენი (60. იონი) - რუისი, იანკო, ბერგჰუისი (60. ბაირამი).

**გოლები**: 1:0 ვიტსელი (46), 2:0 ლუიზაო (59), 3:0 ვიტსელი (66), 3:1 რუისი (85)

**უდინეზე (იტალია)– არსენალი (ინგლისი) 1:2 (0:1)**

**უდინეზე (4-4-1-1)**: ჰანდანოვიჩი - ეკსტრანდი, ბენატია (87. პასკუალე), ლარანგეირა, ნეუტონი - ისლა (83. დენისი), აგიემანგ-ბადუ, ასამოა, არმერო - პინცი (63. ფაბრინი) - დი ნატალე.

**არსენალი (4-2-3-1)**: შჩესნი - სანია, ჟურუ, ვერმაელენი, ჯენკინსონი - სონგი, ფრიმპონგი (46. როსიცკი) - უოლკოტი (91. არშავინი), რემსი, ჟერვინიო (86. ტრაორე) - ვან პერსი.

**გოლები**: 1:0 დი ნატალე (39), 1:1 ვან პერსი (55), 1:2 უოლკოტი (69)

**შენიშვნა**: დი ნატალემ ვერ გაიტანა პენალტი (59)



სოსიედადი (სან სებასტიანი) პრიმერადივიზიონი. კლუბების წარდგენა სარაგოსა

# ახალგაზრდობა მოდის

## სტრატეგიული ლოდინის ფორმულა, იყიდე როცა იაფია

გასულ სეზონში პრიმერაში დაბრუნებული „რეალ სოსიედადი“ ბოლომდე ელიტაში დარჩენისთვის იბრძოდა, რის გამოც კლუბის ხელმძღვანელობა **მარტინ ლასარტეს** მწვრთნელობით უკმაყოფილო დარჩა და ის **ფილიპ მონტანიეთი** ჩაანაცვლა.

არადა, თავიდან ყველაფერი ნორმალურად დაიწყო, I წრის შემდეგ ბასკური გუნდი მე-11 ადგილზე იყო, მაგრამ სეზონის მეორე ნახევარი ჩააგდო, დაცვაში ქაოსი დაიწყო. ბოლო ტურში კი კომიკური სიტუაცია შეიქმნა, „რეალ სოსიედადსა“ და „ხეტაფეს“ ფრე აწყობდათ ლა ლიგაში დასარჩენად და მატჩიც 1:1 მორჩა. ამიტომაც სამწვრთნელო სავარძელში ურუგვაელი სპეციალისტი 46 წლის ფრანგმა შეცვალა. მონტანიეს, ყოფილ გოლკიპერს, მუშაობის ასეთი სტილი აქვს: ის განსაკუთრებით ენდობა ახალგაზრდობას, „რეალ სოსიედადს“ კი ეს პოლიტიკა აწყობს, გუნდში ხომ 80% ადგილობრივი კადრია.

„რეალ სოსიედადი“ ერთადერთი გუნდია ესპანეთში, რომელიც არ აქტიურობს სატრანსფერო ბაზარზე, მათ აღარ შესთავაზეს კონტრაქტები ვეტერანებს (**ტამუდო, რიბასი**). აი, ახლების ყიდვას კი ჯერ არ აპირებენ. შესაძლოა, კლუბის ხელმძღვანელობა აგვისტოს ბოლოს ელის, როცა ფეხბურთელთა ფასები (ფანჯრის დახურვამდე) მკვეთრად დაეცემა და მაშინ ბასკები 3-4 საჭირო ფეხბურთელს შეიძენენ, ვნახოთ...

### ციტატები

**დავიდ ძურუტუზა**: *„ჩვენ ახალგაზრდული გუნდი გვყავს, თან ამბიციური“.*

**კლაუდიო ბრავო**: *„მონტანიეს რომ ვუყურებთ, ვგრძნობთ, ყველაფერი კარგად იქნება. ის ჩვენ საკუთარი ძალების რწმენას გვინერგავს. მისი ხელმძღვანელობით გუნდი აუცილებლად კარგად ითამაშებს“.*

**ვადიმ დემიდოვი**: *„ყველა შესანიშნავ ფორმაშია. მე მჯერა ჩემი გუნდის“.*

### სეზონის ამოცანა: ცხრილის შუაში დამკვიდრება

სწორედ ამ ამოცანას ისახავს ფილიპ მონტანიე და არც გაემტყუნება. ასეთი პასიური სატრანსფერო პოლიტიკის გადამკიდე, მეტზე ოცნებას და ღრუბლებში ფრენას რა აზრი აქვს? ახალგაზრდებმა შესაბამისი გამოცდილება უნდა მიიღონ, აი, შემდეგ სეზონში კი...

როგორც წესი, „რეალ სოსიედადი“ თავიდან აგროვებს ხოლმე ქულებს, თუმცა ახლა ეს გაუჭირდება, რადგან თავიდან ბასკებს ძლიერ მეტოქეებთან უწევთ ჭიდილი.

### ტრანსფერები

**მივიდნენ**: **ლასინე კადამურო** („რეალ სოსიედად ბ“), **მაკდონალდ მარიგა** („ინტერი“, 1,5 მილიონი ევრო), **კარლოს ველა** („არსენალი“, იჯარა), **ბორხა ვიგერა** („ხიმნასტიკი“).

**წავიდნენ**: **რივასი, ტამუდო, ესნაოლა, სარასოლა, სუტილი, ლაბაკა.**

### დოსიე

**რეალ სოსიედად დე ფუტბოლ**

**დაარსდა**: 1909 წ.
**სტადიონი**: ანოეტა, 32 200
**პრეზიდენტი**: ხოკინ აპერიბაი
**მწვრთნელი**: ფილიპ მონტანიე
**კლუბის წევრი**: 22 000
65 სეზონი პრიმერაში
ჩემპიონი (1981, 1982), თასის მფლობელი (1909, 1987), სუპერთასი (1982)
**მეტსახელი**: ჩური-ურდინი, ერეალა, ლა რეალი
**გასულ სეზონში**: მე-15 ადგილი
**ოფიციალური საიტი**: htpp://www.realsociedad.com/
**ყველაზე მეტი თამაში 2010/11**: ბრავო (38), ჩაბი პრიეტო (37), გრიზმანი (37), ზურუტუზა (36), მ. გონსალესი (32).
**ყველაზე მეტი გოლი 2010/11**: ტამუდო (7), გრიზმანი (7), ჩაბი პრიეტო (7), არანბურუ (5), აგირეჩე (3).

### გუნდი 2011/12

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. კლაუდიო ბრავო (ჩილე) | 13.04.1983 |
| 13. ენაუტ ზუბიკარაი | 26.02.1984 |
| 30. ტონიო მარტინესი | 23.11.1986 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. კარლოს მარტინესი | 09.04.1986 |
| 3. მიკელ გონსალესი | 24.09.1985 |
| 15. იონ ანსოტეგი | 13.07.1982 |
| 16. ვადიმ დემიდოვი (ნორვეგია) | 10.10.1986 |
| 24. ალბერტო დე ლა ბელა | 02.12.1985 |
| 31. ლასინე კადამურო (საფრ.) | 05.03.1988 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 4. გორკა ელუსტონდო | 18.03.1987 |
| 5. მარკელ ბერგარა | 05.05.1986 |
| 6. მაკდონალდ მარიგა (კენია) | 04.04.1987 |
| 7. ანტუან გრიზმანი (საფრან.) | 21.03.1991 |
| 10. ჩაბი პრიეტო | 29.08.1983 |
| 11. მიკელ არანბურუ | 18.02.1979 |
| 14. ჯეფრი სარპონგი (ჰოლან.) | 03.08.1988 |
| 17. დავიდ ზურუტუზა | 19.07.1986 |
| 22. დანიელ ესტრადა | 03.01.1987 |
| 26. ასიერ ილარამენდი | 08.03.1990 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 8. ხოსება ლორენტე | 24.11.1979 |
| 9. იმანოლ აგირეჩე | 24.02.1987 |
| 18. ბორხა ვიგერა | 26.03.1987 |
| 21. დიეგო იფრანი (ურუგვაი) | 08.06.1987 |
| კარლოს ველა (მექსიკა) | 01.03.1989 |






# საეჭვოდ შეცვლილი პოლიტიკა

## აგირე და ნიჭიერი ბავშვები

გავარდნას ბეწვზე გადარჩენილმა არაგონელებმა, სეზონის შემდეგ მასშტაბური სელექცია გამართეს, მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, „სარაგოსამ“ საკლუბო პოლიტიკის შეცვლა შეძლო.

ბოლო სეზონი რამდენიმე გუნდისთვის სერიოზულ გამოცდად იქცა. როგორც წესი, 42 ქულა პრიმერაში დარჩენისთვის საკმარისი იყო, მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა. „სარაგოსა“ ბოლო ტურში „გამოძვრა“, „ლევანტეს“ 2:1 მოუგო და ელიტაში დარჩა. **ხავიერ აგირე** იგონებს: *„მე უკვე მზა გუნდში მივედი და გადაწყობის ფინანსური შესაძლებლობები არ გვქონდა. კარგად მესმოდა, რომ დარჩენისთვის ბრძოლა მოგვიწევდა, თუმცა ხშირად ბედიც არ გვწყალობდა“.*

„სარაგოსას“ ისევ არ ულხინს (წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, გუნდი რომ სეგუნდაში გავარდნილიყო), ამიტომაც მისი ხელმძღვანელობა გაძლიერების გზების ძიებაში ერთობ ბევრს შრომობს. მაგალითად, არგენტინელი **ფრანკო სუკულინი** მათ „ჰოფენჰაიმისგან“ ითხოვეს. „რეალისგან“ იჯარით აიყვანეს **დავიდ მატეოსი**, რომელიც დარწმუნდა, რომ „სამეფო კლუბის“ ძირითადში მოხვედრა არ შეეძლო. „ბარსელონასგან“ არაგონელებმა **ედუ ორიოლი** და **აბრაჰამი** აიყვანეს. მოკლედ, „სარაგოსამ“ ნიჭიერი ახალგაზრდები შეაგროვა, რომლებსაც გრანდებში გასაქანი არ ჰქონდათ, აქ კი თავის გამოჩენის შესანიშნავი შანსი ეძლევათ.

„სარაგოსას“ აქტიური სატრანსფერო პოლიტიკა შეუმჩნეველი არ დარჩენია ლფპ-ს და აფე-ს. მათ კარგად უწყიან, როგორი პრობლემები აქვს გუნდს და ხელმძღვანელობისგან ახსნა-განმარტება მოითხოვეს. საპასუხოდ, „სარაგოსას“ ოფიციალურ საიტზე დაიწერა, რომ კლუბმა პოლიტიკა შეცვალა, გუნდში იწვევენ ახალგაზრდა ტალანტებს, რომელთაც მეტი ენთუზიაზმი აქვთ, რაშიც გუნდს ბევრი ფული არ ეხარჯება და არც გაკოტრება ემუქრება.

ამის მიუხედავად, „სარაგოსამ“ მაინც ბევრი დაკარგა, როცა გუნდი კაპიტანმა **გაბი ფერნანდესმა** დატოვა. გაბიმ ბოლო სეზონში 11 გოლი გაიტანა, მათ შორის კი 2 ბოლო ტურში, „ლევანტეს“ კარში. მაგრამ კაპიტანი მშობლიურ გუნდს, „ატლეტიკოს“ დაუბრუნდა. „სარაგოსას“ მისი გაჩერების ფინანსური ბერკეტი, ბუნებრივია, არ ჰქონდა.

### ციტატები

**როზერტო**: *„მე დიდ იმედებს ვამყარებ ახალ პროექტზე, რომელიც „სარაგოსამ“ წამოიწყო. ამიტომაც გადმოვედი აქ“.*

**აბრაჰამი**: *„ეს ჩემთვის დიდი მიღწევაა, გადავედი ისეთ კლუბში, რომელსაც დიდი ისტორია აქვს“.*

**ედუ ორიოლი**: *„გპირდებით, რომ ბოლომდე დავიხარჯები „სარაგოსასთვის“ და მისი ფანებისთვის“.*

### სეზონის ამოცანა: პრიმერაში დარჩენა

ინგლისში მოსამზადებელი პერიოდისას ხავიერ აგირე მიხვდა, რომ გუნდს ჯერ კიდევ ბევრი აკლია, რომ კონკურენტუნარიან კოლექტივად ჩამოყალიბდეს. გუნდმა აუცილებლად უნდა იყიდოს კარგი თავდამსხმელი, თორემ არსებული შემადგენლობით ძალიან გაუჭირდება. კლუბში ყველამ კარგად იცის, მთავარი პრიმერაში ადგილის შენარჩუნებაა.

### ტრანსფერები

**მივიდნენ**: **აბრაჰამ მინერო** („ბარსელონა ბ“, თავ. აგენტი), **ედუ ორიოლი** („ბარსელონა ბ“, თავ. აგენტი), **ფერნანდო მეირა** („ზენიტი“, თავ. აგენტი), **რობერტო ხიმენესი** („ბენფიკა“, 9 მილიონი ევრო), **ხუან კარლოს პერესი** („რეალი ბ“, 2,6 მილიონი), **ეფრაინ ხუარესი** („სელტიკი“, თავ. აგენტი), **დავიდ მატეოსი** („რეალი“, იჯარა), **ფრანკო სუკულინი** („ჰოფენჰაიმი“, იჯარა), **რუბენ მიკაელი** („ატლეტიკო“).

**წავიდნენ**: **ედმილსონი, დიოგო, იაროშიკი, ხ. ლოპესი, ბუტაჰარი, ანდერი, გაბი, კონტინი, პაბლო, გონი, ბერტოლო.**

### დოსიე

**რეალ სარაგოსა**

**დაარსდა**: 1932 წ.
**სტადიონი**: ლა რომარედა, 34 590
**პრეზიდენტი**: აგაპიტო იგლესიასი
**მწვრთნელი**: ხავიერ აგირე
**კლუბის წევრი**: 24 000
57 სეზონი პრიმერაში
თასის 6-გზის მფლობელი (1964, 1966, 1986, 1994, 2001, 2004), სუპერთასი (2004), უეფას თასი (1964), თასების თასი (1995)
**მეტსახელი**: ბლანკვილოსი, მანიოსი
**გასულ სეზონში**: მე-13 ადგილი
**ოფიციალური საიტი**: http://www.realzaragoza.com/
**ყველაზე მეტი თამაში 2010/11**: გაბი (36), ბერტოლო (36), იაროშიკი (36), ანდერი (33), ხ. ლოპესი (27).
**ყველაზე მეტი გოლი 2010/11**: გაბი (11), ბერტოლო (5), სინამა-პონგოლე (4), იაროშიკი (3), ანდერი (2).

### გუნდი 2011/12

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ანტონიო დოზლასი | 05.08.1980 |
| 13. როზერტო ხიმენესი | 10.02.1986 |
| 25. ლეო ფრანკო (არგენტინა) | 20.05.1977 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ეფრაინ ხუარესი (მექსიკა) | 22.02.1988 |
| 3. ხავიერ პარედესი | 05.07.1982 |
| 4. დავიდ მატეოსი | 22.04.1987 |
| 5. მაურიციო ლანძარო (იტა.) | 14.03.1982 |
| 6. ფერნანდო მეირა (პორტ.) | 05.06.1978 |
| 14. პაულო და სილვა (პარაგ.) | 01.02.1980 |
| 21. აბრაჰამ მინერო | 22.02.1986 |
| 24. ივან ობრადოვიჩი (სერბ.) | 25.07.1988 |
| 26. ვიქტორ ლაგუარდია | 05.11.1989 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 8. ედუ ორიოლი | 05.11.1986 |
| 10. რუბენ მიკაელი (პორტ.) | 19.08.1986 |
| 11. ხუან კარლოს პერესი | 30.03.1990 |
| 17. ანხელ ლაფიტა | 07.08.1984 |
| 22. ადამ პინტერი (უნგრეთი) | 12.06.1988 |
| 23. ლეონარდო პონსიო (არგ.) | 29.01.1982 |
| 29. კევინ ლაკრუსი | 08.04.1992 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. ბრაულიო როდრიგესი | 18.09.1985 |
| 9. იკეჩუკვუ უჩე (ნიგერია) | 05.01.1984 |
| 20. ფრანკო სუკულინი (არგ.) | 05.09.1990 |

გვერდები მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

**შენიშვნა**: *გუნდების განაცხადებში მუქი შრიფტით - წარწერა მაისურზე*

# ცინცხალი რეპორტაჟები ევრობასკეტიდან ქართველი გულშემატკივრისთვის

ევროპის ჩემპიონატის გახსნამდე ერთი დღით ადრე, 30 აგვისტოს, კლაიპედაში „ლელოს" კორესპონდენტი - **ვაჟა სიმონიშვილიც** ჩავა. საქართველოს ნაკრების მსგავსად, ისიც სასტუმრო „ამბერტონში" იცხოვრებს და მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდებას არა მხოლოდ კლაიპედის საკალათბურთო დარბაზიდან, არამედ ჩვენი ქვეჯგუფის ყველა ბინადრის დისლოკაციის ადგილიდან, ანუ შიდა სამზარეულოდანაც შეძლებს. გარდა ამისა, „ლელოს" ჟურნალისტი რეპორტაჟებს „პალიტრა TV"-სთვისაც მოამზადებს, საქართველოს ნაკრების მატჩების მსვლელობისას კი რადიო „პალიტრის" პირდაპირ ეთერში რამდენჯერმე ჩაერთვება. სპორტული გაზეთის კორესპონდენტის „ცინცხალი" რეპორტაჟები ქართველი გულშემატკივრისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება.

# ლატ-ვაი...

## მეთერთმეტეში თერთმეტით

**ამხანაგური მატჩი**

**24 აგვისტო**

**ვენტსპილსი, ლატვია**

**ლატვია-საქართველო 84:73**

16:24, 26:15, 26:17, 16:17

| ლატვია | წთ | 2ქ | 3ქ | 1ქ | მ | პ | შ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბერტანსი | 27 | 2/3 | 0/1 | 4/7 | 0 | 3 | 3 | 1 | 8 |
| ფრეიმანისი | 5 | 0/0 | 0/0 | 0/2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| იურევიჩუსი | 24 | 1/2 | 2/4 | 2/4 | 3 | 1 | 0 | 3 | 10 |
| კუკსიკსი | 26 | 0/2 | 4/7 | 0/0 | 3 | 1 | 1 | 4 | 12 |
| ჟერომანოვსი | 16 | 0/1 | 3/6 | 1/2 | 3 | 2 | 0 | 1 | 10 |
| შტრელნიეკსი | 27 | 3/4 | 1/3 | 4/6 | 0 | 1 | 0 | 2 | 13 |
| ბერზინსი | 16 | 3/5 | 1/2 | 0/0 | 6 | 2 | 1 | 3 | 9 |
| შელაკოვსი | 19 | 1/4 | 0/0 | 4/6 | 6 | 0 | 0 | 4 | 6 |
| მარეკს მეიერსი | 20 | 2/11 | 0/1 | 2/4 | 1 | 2 | 1 | 5 | 6 |
| მარტინს მეიერსი | 21 | 5/10 | 0/0 | 0/1 | 5 | 1 | 0 | 3 | 10 |
| **საქართველო** | **წთ** | **2ქ** | **3ქ** | **1ქ** | **მ** | **პ** | **შ** | **ფ** | **ქ** |
| გამყრელიძე | 16 | 0/2 | 0/1 | 0/0 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 |
| ვ. ბოისა | 14 | 2/3 | 0/0 | 1/5 | 3 | 2 | 0 | 2 | 5 |
| ა. ბოისა | 10 | 0/1 | 0/0 | 0/0 | 6 | 0 | 1 | 1 | 0 |
| ფაჩულია | 20 | 5/9 | 0/0 | 8/8 | 6 | 1 | 4 | 3 | 18 |
| ცინცაძე | 20 | 2/3 | 0/2 | 0/0 | 3 | 3 | 3 | 2 | 4 |
| შერმადინი | 18 | 1/1 | 0/0 | 1/2 | 4 | 0 | 2 | 4 | 3 |
| მარკოიშვილი | 15 | 2/3 | 1/2 | 0/0 | 2 | 3 | 1 | 4 | 7 |
| სანიკიძე | 23 | 2/2 | 1/2 | 2/2 | 6 | 0 | 3 | 2 | 9 |
| ცქიტიშვილი | 16 | 0/2 | 2/3 | 2/2 | 3 | 1 | 0 | 1 | 8 |
| შენგელია | 17 | 2/6 | 0/0 | 4/6 | 5 | 1 | 1 | 2 | 8 |
| ჰეინსი | 22 | 2/7 | 1/3 | 1/2 | 0 | 1 | 2 | 4 | 8 |
| შარაბიძე | 2 | 0/2 | 0/0 | 1/2 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 |
| ფარლალავა | 7 | 0/0 | 0/0 | 2/2 | 1 | 0 | 0 | 1 | 2 |



საქართველოს ნაკრებმა წლეულს მე-11 საკონტროლო მატჩი ჩაატარა და მეხუთედ დამარცხდა. ლატვიასთან კარგად ჩატარებული პირველი მეოთხედის შემდეგ **იგორ კოკოშკოვის** შეგირდებმა თამაში სათანადოდ ვერ დაალაგეს და საბოლოოდ 11-ქულიანი სხვაობით (73:84) წააგეს.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ყოველთვის ამბობდა - ამხანაგური მატჩების შედეგებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებო. შესაბამისად, გაუმართლებელი იქნება ლატვიასთან წაგების ტრაგედიად მიჩნევა. თუმცა იმედი დავიტოვოთ, რომ იგორ კოკოშკოვს ეს მატჩიც ოფიციალური შეხვედრების წინ სწორი დასკვნების გამოტანაში დაეხმარება.

### I

22 აგვისტოს ამავე ლატვიასთან **ზაზა ფაჩულიამ** 42 ქულა ჩააგდო და თანაგუნდელებს 83:79 მოაგებინა. იმ მატჩის შემდეგ ლატვიელთა მწვრთნელს **აინარს ბაგაცკისს** ბევრი უნდა ეშრომა, რომ შეგირდები „ფაჩულიას კომპლექსისგან" განეკურნა. პირველივე წუთებზე გამოჩნდა, რომ მწვრთნელმა ეს ბოლომდე ვერ შეძლო: საწყის მეოთხედში ზაზამ 10 ქულა ჩააგდო და ქართველებმა მეოთხედი 24:16 დაასრულეს.

თუმცა, დანარჩენებმაც კარგად ითამაშეს, **მანუჩარ მარკოიშვილი** შეტევაშიც ნაყოფიერი იყო და დაცვაშიც, ხოლო **ვლადიმერ ბოისას** ნაცვლად შეცვლაზე შესულმა **ნიკა ცქიტიშვილმა** ერთმანეთის მიყოლებით ორი სამქულიანი ჩააგდო.

### II

საქართველოს ნაკრებმა მეორე პერიოდი ფაჩულიას გარეშე დაიწყო და ლატვიელებსაც ყოველგვარი კომპლექსი მოეხსნათ - თავისუფლად ათამაშდნენ, დაცვაში თამაშიც გამოასწორეს და პერიმეტრიდანაც ერთბაშად 4 სამქულიანი ჩააგდეს. თუ წინა მატჩში მასპინძლებს გამოცდილი **იანის ბლუმსი** მიუძლოდათ, ამჯერად ბაგაცკისმა იგი განაცხადშიც არ შეიყვანა (დაასვენა) და ფუნქციებიც ყველაზე მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდა. ასე და ამგვარად, მეორე პერიოდის შუაში ბალტიისპირელებმა 11:0 გაქცევა მოაწყვეს და 27:26 გაგვასწრეს.

ასე არ უნდაო, გაბრაზდა **ვიქტორ სანიკიძე** და 3-წუთიან მონაკვეთში 9 ქულა ჩააგდო, ორჯერ ჩატენა (თან ჯარიმებიც მიაყოლა) და ერთი სამქულიანიც გამოიყენა.

დიდ შესვენებაზე მცირე უპირატესობით მაინც ლატვიელები გავიდნენ - 42:39.

აღსანიშნავია, რომ მეორე მეოთხედში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გამოჩნდა **ლაშა ფარლალავა,** რომელმაც თავისი მწვრთნელის („სოხუმში"), აინარს ბაგაცკისის გუნდს 2 საჯარიმო ჩაუგდო.

### III

მესამე პერიოდმა დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა, თუმცა უკეთესად მაინც მასპინძლები გამოიყურებოდნენ და მეოთხედის დასრულებამდე 36 წამით ადრე 6 ქულით იგებდნენ. სწორედ ამის შემდეგ მოადუნეს ქართველებმა ყურადღება და ორი სამქულიანი მიიღეს, რის შემდეგაც ლატვია 68:56 დაწინაურდა.

### IV

ბალტიისპირელებმა ესეც არ იკმარეს და მეოთხე პერიოდი კიდევ ერთი სამქულიანით გახსნეს (71:56), რითაც წითელი ხაზი გაუსვეს ერთ ნიუანსს - საქართველოს ნაკრებს პერიმეტრზე დაცვა მისახედი აქვს. ევრობასკეტზე ქართველთა ხუთივე მეტოქეს ხომ სამქულიანების კარგი სპეციალისტები ჰყავს. ისიც წინასწარ ვიცით, რომ ბელგია და ბულგარეთი სწორედ სამქულიანებით ეცდებიან ჩვენს გატეხვას.

ლატვიამ საბოლოოდ 11 სამქულიანი გამოიყენა (24-დან), მაშინ, როცა ქართველებმა პერიმეტრიდან 13-ჯერ ისროლეს და 5 ჩააგდეს.

რადგან სტატისტიკაზე ვლაპარაკობთ, აქვე გეტყვით, რომ ჩვენმა გუნდმა მასპინძლებს მოხსნებში 40:28 აჯობა, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ფარქვეშ უპირატესობა გამარჯვების გარანტიად არ გამოდგება.

იგორ კოკოშკოვმა მეოთხე პერიოდი ასეთი შემადგენლობით დაიწყო: **ლაშა გამყრელიძე, მარკიზ ჰეინსი, ანატოლი ბოისა, თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი.** ეს სათადარიგო შემადგენლობაა. ქართველთა მწვრთნელს ალბათ სურდა ისინი გამოეცადა, გადამწყვეტ მომენტში რამდენად სასარგებლონი არიან. ერთ ეპიზოდში მათ 15-ქულიანი ჩამორჩენა შვიდამდე დაიყვანეს, მაგრამ საბოლოოდ მარცხს თავი მაინც ვერ აარიდეს. ლიდერები მეოთხე პერიოდში მოედანზე არ გამოჩენილან. სირენამდე 2 წუთით ადრე გიორგი შერმადინი **გიორგი შარაბიძემ** შეცვალა და ნაკრებში სადებიუტო ქულაც ჩააგდო.

როგორც შევთანხმდით, დღეს იგორ კოკოშკოვის გადაწყვეტილებებისა და გუნდის მზადების შესახებ თამამი ლაპარაკისგან თავი შევიკავოთ. რამდენად კარგად და სწორად მოამზადა მწვრთნელმა გუნდი, სულ მალე ევრობასკეტზე გამოჩნდება. მანამდე 27 აგვისტოს ქართველები ბოლო ამხანაგურ მატჩს ლიტვასთან ჩაატარებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

---

**მშვილდოსნობა. მსოფლიოს პირველობა ჭაბუკებში**

WORLD ARCHERY
YOUTH CHAMPIONSHIPS
LEGNICA 2011

# მშვილდი პატარებმაც მოზიდეს

პოლონურ ლეგნიცაში დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი ახალგაზრდა და ჭაბუკ მშვილდოსანთა შორის, თუმცა ჩვენები მხოლოდ 17-წლამდელებში ასპარეზობენ, 3 ბიჭი და 1 გოგო. უკვე გაიმართა საკვალიფიკაციო ეტაპი, სადაც ქართველები არცთუ წარმატებით გამოვიდნენ. ასე მაგალითად, ბიჭებში ჩვენგან საუკეთესო **ლაშა ფხაკაძეა,** რომელიც 1218 ქულით 114 მონაწილეს შორის მე-80-ეა. მისი საუკეთესო მაჩვენებელი მესამე სერიაში 70-ე ადგილზე გასვლაა, ამაზე უფრო წინ წაწევა კი ვერც ერთ სერიაში ვერ შეძლო. **ირაკლი ქვლივიძე** 1200 ქულით 86-ეა, **გიორგი ნიბლიაშვილი** კი 1174-ით - 97-ე. დაბალი შედეგები გუნდურ მაჩვენებელსაც დაეტყო - ჩვენი სამეულის ჯამური მონაგარი 3592 ქულაა, რაც მხოლოდ 24-ე შედეგი აღმოჩნდა და პლეი ოფში ვერ მოვხვდით (იქ 16 ნაკრები გადის). რაც შეეხება პლეი ოფებს პირად პირველობაში, ის დღეს გაიმართება და ფხაკაძე ბრიტანელ **აშე მორგანს** შეხვდება, ნიბლიაშვილი - მალაიზიელ **ადამ ვონგს,** ქვლივიძე - ავსტრიელ **ალექსანდერ ბერჩლერს.**

**თეონა კუტალაძე** თავიდან უკეთ ისროდა, მაგრამ მოკლე დისტანციებზე მოუკლო (ალბათ, დაიღალა). საბოლოოდ 1215 ქულა დააგროვა და 80 მონაწილეს შორის 62-ზე გავიდა. პლეი ოფში ის დღეს თურქ **ილგინ კიზილგუნესლერს** შეხვდება. შერეულ წყვილებში ის და ფხაკაძე 32-ზე გავიდნენ 2323 ქულით და პლეი ოფში ვერ მოხვდნენ.

**ირაკლი თავაძე**

---

**ჭადრაკი**

# სხვაობა ნახევარ ქულამდე შეამცირა

ესპანეთის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გუშინ კვლავ წარმატებით ითამაშეს ქართველმა დიდოსტატებმა - **ლევან აროშიძემ და ანა მათნაძემ,** რომლებმაც წინა ტურების მონაგარს თითო ქულა შესძინეს. აროშიძემ შავი ფიგურებით უკრაინელ დიდოსტატს - რუსლან პოგორელოვს სძლია და 5 ქულას მოუყარა თავი. მათნაძემ მარიო დიას გავილანი (ესპანეთი) დაამარცხა. ექვსი ტურის შემდეგ მას 4,5 ქულა აქვს.

გუშინ ლიდერთა პარტიები ასე დამთავრდა: ედუარდო იტურისაგა (ვენესუელა)-ანგელ ლოპეს არიბასი (ესპანეთი) 0,5:0,5, მატეუ სადლერი (ინგლისი)-დავიდ ლარინო (ესპანეთი) 1:0, ხოზე გარსია გონსალესი (მექსიკა)-ანტონ კოვალიოვი (არგენტინა) 0,5:0,5, დარიუშ სვირჟი (პოლონეთი)-აბჯით კუნთე (ინდოეთი) 0:1, როდრიგეს კასტელანოსი (ესპანეთი)-იუშნელ ალონსო ბაკალაო (კუბა) 0,5:0,5, თუან ბურგი (ჰოლანდია)-ემილიო კორდოვა (პერუ) 0:1.

ექვსი ტურის შემდეგ 5,5-5,5 ქულით ლიდერობენ იტურისაგა, არიბასი, სადლერი, კუნთე. 13 მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს.

**ვაჟა დანელია**

# შანავა ლიდერებს წამოეწია

საბერძნეთში დღეს დამთავრდება კორინთოს საჭადრაკო საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც 3 ქართველიც მონაწილეობს. ვინ გაიმარჯვებს, ძნელი სათქმელია, რადგან რვა ტურის შემდეგ 6-6 ქულით ერთბაშად რვა დიდოსტატი მეწინავეობს. მათ შორისაა **კონსტანტინე შანავა**,რომელმაც გუშინ რუსი ვლადიმირ ბურმაკინი დაამარცხა. ლიდერთა ჯგუფში შეეძლო მოხვედრა **ლელა ჯავახიშვილსაც,** მაგრამ იგი შავი ფიგურებით ხრისტოს ბანიკასს (საბერძნეთი) დაუზავდა და 5,5 ქულა მოაგროვა. მასპინძელ ექტორს აზისს ასევე მშვიდობიანად დაშორდა **დავით ჯოჯუა.** მან 5 ქულას მოუყარა თავი.

აქვე გაუწყებთ მეწინავეთა ჯგუფის შეხვედრათა შედეგებს: სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია)-სერგეი ვოლკოვი (რუსეთი) 0,5:0,5, დმიტრი სვეტუშკინი (მოლდოვა)-დრაგან სოლაკი (სერბეთი) 0,5:0,5, ანტონიოს მასტროვასილისი (საბერძნეთი)-ვლადიმირ ბაკლანი (უკრაინა) 0,5:0,5, სალვადორ დელ რიო (ესპანეთი)-სუათ ატალიკი (თურქეთი) 1:0, იოანის ნიკოლაიდისი (საბერძნეთი)-სემი შოკერი (ეგვიპტე) 1:0.

ბოლო ტურში ითამაშებენ: მასტროვასილისი (6)-ტივიაკოვი (6), ვოლკოვი (6)-ნიკოლაიდისი (6), სოლაკი (6)-შანავა (6), სვეტუშკინი (6)-დელ რიო (6), ბაკლანი (5,5)-როზენტალისი (5,5), ჯავახიშვილი (5,5)-ჰერალტა (5,5).

**ვაჟა დანელია**

---

**კრივი**

# ქართული ტრიო მეოთხედფინალში

დუბლინში გრძელდება ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის პირველობა. მედლებისათვის ბრძოლაში საქართველოს ხუთი წარმომადგენელიც ჩაება. მათგან სამმა პირველი ბარიერი წარმატებით გადალახა და დღეს ირლანდიურ რინგზე მეოთხედფინალურ პაექრობებს გამართავს. ასპარეზობის სტარტზე ჩვენს გუნდს პირველი გამარჯვება მოუტანა **ვანეთიკ ერანოსიანმა** (52 კგ), რომელმაც რუმინელ დავიდ რიზოიუს აჯობა - 13:9. დღეს იგი ბრიგა ალმოჯის (ისრაელი) მძლეველ (14:11) რომან ფორმანეკს (სლოვაკეთი) დაუპირისპირდება. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ირაკლი მელიქიშვილმა** ორი ქულის სხვაობით (15:13) დაამარცხა რიო ხარმატსი (ისრაელი). მეოთხედფინალში მისი მეტოქე იქნება ალექსანდრო კუკიურეანუ (რუმინეთი), რომელმაც ბელგიელი ფრანჩესკო პატერა დაჩაგრა - 21:6. უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა **ალექსანდრე დოკვაძემ** (81): ქართველი მოკრივის შეხვედრა ანდრიუს მაულეკასთან (ლიტვა) ფრედ - 8:8 დამთავრდა. არბიტრებმა უპირატესობა ჩვენებურს მიანიჭეს და მომდევნო ეტაპზეც ის გავიდა, სადაც მასპინძელ გარი სუინისთან გაარკვევს ურთიერთობას. ირლანდიელმა გუშინ უკრაინელ ბოგდან კრიუნის იოლად მოუგო - 16:7.

სამწუხაროდ, კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას ჩამოსცილდნენ **ალეკო ჭადაშვილი** (56) და **ნიკოლოზ სეხნიაშვილი** (75), რომლებმაც პირველივე ორთაბრძოლები დათმეს, შესაბამისად, მარკ მკოენთან (ჰოლანდია, 11:20) და მაგომედ მადიევთან (რუსეთი, 7:14).

**ვაჟა დანელია**

ძიუდო. მსოფლიოს პირველობა

# მეორე დღეც უმედლოდ და უიმედოდ




პარიზში მიმდინარე ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინაც უმედლოდ დავრჩით. ამჯერადაც ყველაფერი დაწყებისთანავე, დილითვე მომთავრდა. ვაჟებში მხოლოდ 73 კილოგრამის წარმომადგენლები ასპარეზობდნენ, ჩვენგან კი ორი ფალავანი ჭიდაობდა - **ნუგზარ ტატალაშვილი და თენგიზ პაპოშვილი**. ამ დუეტისგან დიდ შედეგს იქნებ არც ველოდით, მაგრამ ტატალაშვილის გამოსვლა უფრო მეტ ყურადღებას კი იმსახურებდა. გვაინტერესებდა, ახალგაზრდებში ევროპის პრიზიორი დასძლევდა თუ ვერა ბოლო თვეებში შემოჩვეულ ჩავარდნას. უფროსებში გადანაცვლების შემდეგ მას ცოტა გაუჭირდა, რაც ასაკობრივი ნაკრების შეცვლისას ჩვეულებრივი ამბავია და არ გაგვკვირვებია. მით უფრო, ტატალაშვილი შიგადაშიგ დამაიმედებელ შეხვედრებს ატარებდა, მაგრამ ამ სეზონში ჩავარდნა დაეწყო, რაც, სამწუხაროდ, კვლავაც გრძელდება...

გუშინდელმა დღემ კიდევ ერთხელ დაადასტურა მარტივი ჭეშმარიტება - მხოლოდ გაფრთხილებების იმედად ყოფნა დამღუპველია (როგორც ეს ჩვენებს დაემართათ) და თუ მოგება გინდა, ილეთი აუცილებლად უნდა გააკეთო. დაადასტურა ისიც, რომ ჭიდაობა, უპირველესად, ფანდებია და არა გაფრთხილებებსა თუ ამგვარებზე აგებული მათემატიკური ფორმულა. ვინც ილეთს ვერ აკეთებს, ვერც შამპანურს სვამს და კაცმა რომ თქვას, არცაა ღირსი. ტატალაშვილს პირველივე მეტოქედ ჰოლანდიელი ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **დექს ელმონტი** ერგო, რომელთანაც მთელი ჭიდაობა ჩავლებებზე, ჯაჯგურსა და მეტოქის აქეთ-იქით დაქნევაზე, ანუ გაფრთხილებაზე ააგო. გუნდის ავსტრიელ თავკაცა **პეტერ ზაიზენბახერის** ჟესტებიც ამას ადასტურებდა, რამაც შედეგი მართლაც მოიტანა - ელმონტი მალევე გააფრთხილეს. თუმცა, სამწუხაროდ, ეს იმთავითვე მყიფე უპირატესობა ჩანდა და მართლაც დროებითი ეფექტი აღმოჩნდა - ელმონტმა მალევე იპონზე გადმოიღო უზადო კისრულით. ვერაფერს იტყვი - კლასი მაინც კლასია, რაც გუშინ ჩვენებურს ოდნავადაც არ ეტყობოდა.

პაპოშვილმა პირველ შეხვედრაში გვატემალელი **ხუან მეხია დე ლა როსა** იოლად დაჯაბნა - ვაზარ-იპონით, რაც მეტოქის სისუსტიდან გამომდინარე, მოსალოდნელიც იყო. მაინცდამაინც ძლიერი არც მის მომდევნო მოწინააღმდეგეს, ბრიტანელ **დანიელ უილიამსს** ეთქმოდა, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ქართველი ვერ აკეთებდა გდებებს - ერთი-ორჯერ კი დაუპირა გადმოღება, თუმცა ვერაფერს გახდა. ამ პირობებში მანაც ჭიდაობა უფრო ტაქტიკაზე ააგო და მეტოქე ორჯერ მართლაც გააფრთხილებინა, მაგრამ შეხვედრის მეორე ნახევარში დაიღალა და წაგების მიზეზადაც ეს მიგვაჩნია. ერთადერთი დადებითი, რაც ამ ორთაბრძოლიდან დაგვამახსოვრდა, ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურის** ფაქტორია - მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ რამდენადაც ნიჭიერი სპორტსმენი იყო, იმდენად კარგი მწვრთნელი შეიძლება დადგეს, მისი დარიგებები ახლაც უნაკლო იყო. თან მთელი არსებითაა ჩართული შეხვედრაში - განუწყვეტლივ კარნახობს, სტიმულს აძლევს, სწორი რჩევებით ამარაგებს, რაც ბრძოლაში სერიოზული იარაღია. ბუნებრივია, ახლაც გამოჩნდებიან სკეპტიკოსები, რომლებიც ნათქვამზე შემომედავებიან - ჩვენში ხომ გამორჩეულ პიროვნებებს ვერ იტანენ და არც ზვიადაურის მწვრთნელობა მოეწონა ბევრს, წაგებულზე მწვრთნელის კრიტიკა კი ყველაზე ადვილია, მაგრამ რაც გვესმოდა, პაპოშვილს ბოლომდე რომ შეესრულებინა მისი მითითებები, ტატამს გახარებული დატოვებდა და არა ატირებული. არადა, გამარჯვებამდე სულ რაღაც 20 წამი აშორებდა... თავიდან პაპოშვილი ყურადღებით კი უსმენდა ზვიადაურს და ცალი ყური მუდამ მისკენ ჰქონდა, მაგრამ ასეთი კონცენტრაციის შენარჩუნება ბოლომდე ვერ შეძლო. მწვრთნელმა მას რამდენჯერმე მიუთითა, ჩავლება აელო და ბრიტანელისთვის ხელი გაეთიშა, მაგრამ დაღლილობისგან ამას ყოველთვის ვერ ახერხებდა. დამთავრებამდე წუთზე ნაკლები რჩებოდა, როცა ზვიადაურმა დაუძახა, უკვე ტაქტიკური ჭიდაობა მიდისო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ანგარიშის შენარჩუნებასა და დროის გაყვანაზე უნდა ეზრუნა, მაგრამ იმდენად იყო დაღლილი, უილიამსს ისე მორჩილად გაჰყვა ილეთზე, თითქოს წინააღმდეგობა არც უცდია. მეტოქის ვაზარი და ქართველის ცრემლები - ასეთი იყო ამ შეხვედრის ფინალი...

ამ წონაში იაპონელ **ჰიროიუკი აკიმოტოს** სულ ცოტა დააკლდა უზბეკ **რიშოდ სობიროვის** (60) შედეგამდე ანუ მსოფლიოს პირველობის ზედიზედ მეორედ მოგებამდე. ამაში მას ხელი თანაგუნდელმა **რიკი ნაკაიამ** შეუშალა, რომელმაც ნახევარფინალში ვაზარით მოუგო. აკიმოტომ მერე ბრინჯაოსთვის შეხვედრაც წააგო უზბეკ **ნავრუზ ჯურაკობილოვთან**, რომელიც წონაში თანდათან ყალიბდება ლიდერად. იაპონელები ოქროს გარეშე არც გუშინ დარჩენილან, რომელიც ნაკაიამ მოიპოვა (ფინალი გაფრთხილებებით მოიგო), ფრანგებმა კი პირველი მედალი ირგუნეს - **უგო ლეგრანდმა** დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ყაზახი **რინატ იბრაგიმოვი**, როთაც დარბაზს აუწერელი სიხარული მიანიჭა და ოვაციაც გვარიანი მიიღო.

> **დამთავრებამდე წუთზე ნაკლები რჩებოდა, როცა ზვიადაურმა დაუძახა, უკვე ტაქტიკური ჭიდაობა მიდისო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ანგარიშის შენარჩუნებასა და დროის გაყვანაზე უნდა ეზრუნა, მაგრამ იმდენად იყო დაღლილი, უილიამსს ისე მორჩილად გაჰყვა ილეთზე, თითქოს წინააღმდეგობა არც უცდია. მეტოქის ვაზარი და ქართველის ცრემლები - ასეთი იყო ამ შეხვედრის ფინალი...**

ქალთა შორის გუშინაც გაიმართა იაპონური ფინალი - 52 კილოგრამში. სხვათა შორის, ეს შარშანდელი ფინალის განმეორება იყო, ოღონდ ამჯერად შედეგი საპირისპირო აღმოჩნდა - **მისატო ნაკამურამ** გაფრთხილებებით მოუგო **იუკა ნიშიდას** და რევანში აიღო შარშანდელი მარცხისთვის. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიურ პრიზიორ ნაკამურასთვის ეს მსოფლიოს ზედიზედ მესამე ფინალია - 2009-ში როტერდამში მოიგო, შარშან წააგო, ახლა კი მეორედ მოიპოვა ოქრო.

იაპონური ფინალი კინაღამ 57-შიც ვიხილეთ. ნახევარფინალში **აიკო სატომ** მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **კაორი მაცუმოტო** დააიპონა და როგორც მერე გაირკვა, ჩემპიონის გვირგვინიც გადაიბარა. ფინალში მის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული კისრულის შემდეგ ორივე ძიუდოისტი ტიროდა - სატო სიხარულისგან, ბრაზილიელი **რაფაელა სილვა** კი სიმწრისგან. ორივე პირველად ჭიდაობდა მსოფლიოს ოქროსთვის.

## ისევ მომავლის იმედად

ასე და ამგვარად, კვლავაც დღევანდელი დღის იმედად დავრჩით, როცა ტატამზე ახალი თაობის კიდევ ერთი ტალანტი, თუმცა უფროსებში გადანაცვლების შემდეგ ასევე კრიზისში მყოფი **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) გავა. მართალია, მან ბუქარესტის მსოფლიოს თასი მოიგო, თუმცა ვნახოთ, არის თუ არა ეს კრიზისის დაძლევა. პირველ წრეში ჩვენებური სუსტ მეტოქეს - ბურკინა ფასოელ **ჰერმან მონეს** ხვდება, მასთან წარმატების შემთხვევაში კი უნგრელ **შანდორ ნაგისოლიმოშს** დაეჭიდება. მის ქვეჯგუფში გამოვარჩევთ ჰოლანდიელ მსოფლიოს ჩემპიონ **ხიიომ ელმონტს**.

დღეს ვაჟთაგან ასევე მხოლოდ ერთი წონის - 81-ის ფალავნები იჭიდავებენ, ჩვენი გუნდის მეორე მონაწილე კი ევროპის პრიზიორი **ლევან წიკლაურია**. ის ტურნირში მეორე წრიდან ჩაებმება უზბეკ **იაკიო იმამოვთან** დაპირისპირებით.

## ვიდრე ჩვენები ჯახირობენ

ვიდრე ჩვენი ფალავნები პარიზში ჯახირობენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ტურნირი თავისი გზით მიდის და ის მასშტაბებით ისტორიაში შევა - 131 ქვეყნის 871 ფალავანი მონაწილეობს, რაც ორივე განხრით რეკორდულია. მონაწილეთა რაოდენობის სიმრავლე წონაში ქვეყნიდან ორი კაცის გამოყვანის წესმაც განაპირობა, თუმცა ძიუდოს გეოგრაფიაც უზომოდ გაიზარდა. პარიზში ისეთი ქვეყნები ჩავიდნენ, ადრე მსგავს შეჯიბრებებზე არასოდეს რომ ყოფილან. მათ შორის ბევრი ომითა და პოლიტიკური კრიზისებით გათანგული ქვეყანაცაა - მოზამბიკი, პალესტინა, პაკისტანი, ერაყი, პაპუა ახალი გვინეა, სამოა, მალი, ჰონკონგი, ბარბადოსი, ბენინი, ბოტსვანა, კაპო ვერდე, ჩადი, კოტ დივუარი და სხვა... ეს პირდაპირი შედეგია ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ **მარიუს ვიზერის** ძალისხმევისა, რომელიც გეოგრაფიის გასაფართოებლად ფულსა და ენერგიას არ იშურებს - აწყობს საწვრთნელ ცენტრებს, იწვევს სპეციალისტებს და სხვა... ცხადია, ჯერ ასეთი ეგზოტიკური ქვეყნების წარმომადგენლები დიდ შედეგებს ვერ აღწევენ, თუმცა რამდენიმემ აქაც გამოიჩინა თავი. მაგალითად, განელმა **ემანუილ ნარტეიმ** (73) მშვენივრად გამოცელა უკრაინელი ევროპის ჩემპიონი **ვოლოდიმირ სოროკა**. ამავე წონაში ვენესუელელმა **ანტონიო რივასმა** ორი იპონი მიითვალა ასევე არასაჭიდაო ქვეყნების ფალავნებთან, თუმცა მეორე შემთხვევაში ვერც თვითონ მიხვდა ამას და ვერც - მსაჯის ჟესტით, ვიდრე ტაბლოს არ გახედა. საკმაოდ კარგად იბრძოლეს ინდოელებმაც. უნდა ითქვას, რომ ადამიანური რესურსებით მდიდარ ამ ქვეყანაში ჭიდაობა სწრაფი ტემპით ვითარდება და თავისუფალში მსოფლიოს ჩემპიონ-ოლიმპიური მედალოსანიც ჰყავთ. ძიუდოისტთა ამ ტურნირის პარალელურად მიმდინარე ჭაბუკ „თავისუფალთა" მსოფლიოს პირველობაზე გუშინაც გაუხდათ ჩემპიონი და ჩვენებსაც მოუგეს. ბედის ირონიაა, რომ იქ ჭიდაობა ქართველებმა განავითარეს - „თავისუფალი" **ვლადიმერ მესტვირიშვილმა**, ბერძნულ-რომაული - **ემზარ მახარაძემ**, ქალებისა - **როინ დობორჯგინიძემ**. სამივე დღემდე ინდოეთში მუშაობს.

### კვარცხლბეკი

**ვაჟები**

**73 კგ.** 1. რიკი ნაკაია (იაპონია); 2. დექს ელმონტი (ჰოლანდია); 3. უგო ლეგრანდი (საფრანგეთი), ნავრუზ ჯურაკობილოვი (უზბეკეთი).

**ქალები**

**52 კგ.** 1. მისატო ნაკამურა; 2. იუკა ნიშიდა (ორივე - იაპონია); 3. ანა კარაკოსა (ესპანეთი), ანდრეა ჩიტუ (რუმინეთი).

**57 კგ.** 1. აიკო სატო (იაპონია); 2. რაფაელა სილვა (ბრაზილია); 3. კორინა კაპრიორიუ (რუმინეთი), კაორი მაცუმოტო (იაპონია).

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა. ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობა

# დასანანი მარცხი და დაკარგული შანსი



ჩვენმა თავისუფალი სტილით მოჭიდავე 17-წლამდელთა ნაკრებმა 1 ვერცხლით და 2 ბრინჯაოთი დაასრულა გამოსვლა უნგრულ სომბათჰეიში ჩატარებულ თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატში. არადა, მძიმეწონოსან **გენო პეტრიაშვილს** დუბლის გაკეთებაც შეეძლო - ამერიკელ **ადამ კოონს** 4:0-ს უგებდა, როცა პატარა უყურადღებობა და მოდუნება ბეჭებზე დადებად დაუჯდა. **შოთა ფარტენაძემ** (54), ორი კვირის წინ გამართული ევროპის პირველობის მსგავსად, ახლაც ბრინჯაო მოიპოვა, ასეთივე სინჯის მეორე ჯილდო კი **გიორგი ჩხარტიშვილმა** (76) დაიმსახურა.

პეტრიაშვილმა ტრიუმფით მოიგო ევროპის ჩემპიონატი და მისგან ახლაც იმავეს ველოდით. ტურნირიც ისე დაიწყო, თქვენი მოწონებული - ორი მეტოქე პირდაპირ გაანადგურა! პირველსავე წრეში მასპინძლები დაამწუხრა, როცა უნგრელ **მარსელ კისს** ძირითად დროში, ორი პერიოდის ჯამში 15:0 აჯობა, თურქ **იბრაჰიმ კასიოლის** ასევე ორ პერიოდში - 11:0. მან ევროპის პირველობაც ასე ძლევამოსილად დაიწყო და იმავე შედეგის გამეორების იმედი კიდევ უფრო გაგვიმყარდა. საქმე ისაა, რომ ამ ჩემპიონატის დაწყებამდე მაინც იყო შიში, ვაითუ ორ კვირაში ორ ასეთ ძლიერ შეჯიბრებას ვერ გაუძლოსო. თან ცოტა ხნით ადრე ახალგაზრდებშიც მოიპოვა ბრინჯაო ევროპის პირველობაზე, მაგრამ ასეთმა სტარტმა დაგვანახა, რომ ფორმაში იყო და გადაღლის შიში არ უნდა გვქონოდა. პეტრიაშვილმა პირველი ქულა ნახევარფინალში დაკარგა რუს **ინალ ტასოევთან** - პირველი პერიოდი 3:3 დამთავრდა, თუმცა ბოლო ქულით იმან მოიგო. სამაგიეროდ, ჩვენებურმა მერე აიწყვიტა - ჯერ 2:0 აჯობა, დამატებითში კი 8:0 გაანადგურა. როგორც გითხარით, ფინალშიც 3:0 დაწინაურდა ამერიკელთან, მაგრამ ამის შემდეგ ლამის უბრძოლველად შეაკვრევინა ჯვარი და თვინიერად დაჰყვა ილეთზე, რაც ბეჭებზე გაკვრით დამთავრდა. სამწუხაროა, მოგების ასე რეალური შანსი რომ დაკარგა, თორემ დუბლსაც შეასრულებდა.

ფარტენაძემ ევროპული შედეგი გაიმეორა, თუმცა მაშინდელივით ახლაც აზერბაიჯანელთან წააგო ნახევარფინალში. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მაშინ მომავალ ვიცე-ჩემპიონ **ფარვიზ იბრაჰიმოვთან** დამარცხდა, ახლა - მომავალ ჩემპიონ **სულთან ნასრულაევთან**. არადა, ჩვენებურმა მეორე პერიოდი 3:3-ზე დათმო, მანამდე კი იოლად გაუსწორდა ბელარუს **ძიანის მაქსიმაუს** და ამერიკელ **ტომას გილმატს**. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში დამატებითში რუსი **რასულ შაპიევი** დაჯაბნა.

ჩხარტიშვილი მაკედონიელ **სტეფან ნიკოვსკისთან** დამაჯერებელი მოგების შემდეგ (12:0 ორ პერიოდში) მომავალ ფინალისტთან, ირანელ **ალირეზა მოჰამად კარიმიმაჩიანისთან** დამარცხდა - 0:3; 0:6. სანუგეშოში ჯერ მასპინძელ **გერგელ გურიტსს** დამატებითში მოუგო, ბრინჯაოსთვის კი გვარიანად იბრძოლა მონღოლ **ბაატარ ნიამბაიართან** - პირველ პერიოდში მეტოქემ 0:2 იმარჯვა. მეორე 3:3-ზე ჩხარტიშვილმა მოიგო, რომელმაც დამატებითში 5:3 იყოჩაღა და მედალიც დაისაკუთრა.

გუნდის სხვა წევრებიდან დამამშვიდებლის ფინალში **რაუფ შაკულ-ოღლი** (58) და **ბექა როჭიკაშვილიც** (85) გავიდნენ, მაგრამ იქ უშანსოდ დამარცხდნენ. დანარჩენებიდან სანუგეშოში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ომარ გურჯიძეც** (63) გადავიდა. მან ძირითადში იტალიელ **არონ კანევას** და ლიტველ **დენისას სირვაიტისის** ბარიერი იოლად, ორ-ორ პერიოდში გაიარა, მესამე წრეში კი ირანელ მომავალ ჩემპიონ **მერან ბაბაეისთან** წააგო. სანუგეშოში პირველივე შეხვედრა ყაზახ მომავალ ბრინჯაოს პრიზიორ **ილიას ჟუმაისთან** დათმო. **გიორგი პასიკაშვილი** (42), **რამაზ დარჩიძე** (46), **შალვა ხუციშვილი** (50) და **შალვა ჭადაშვილი** (69) ისე გავარდნენ, სანუგეშომდეც ვერ მივიდნენ.

**ირაკლი თავაძე**



**გარდაიცვალა საქვეყნოდ ცნობილი ქართული საჭიდაო სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელი, 60-იან წლებში მრავალი საკავშირო და საერთაშორისო ჩემპიონატებისა და ტურნირების გამარჯვებული ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ფარვიზ გველესიანი. წავიდა ჩვენგან განათლებული, ფართო ერუდიციის, სიკეთისა და სიყვარულის მთესველი, მაღალი ზნეობით გამორჩეული ადამიანი. იგი მუდამ უშურველი და უხვი იყო გაჭირვებულ თანამოძმეთა მიმართ, ერთგულად იდგა თაობათა შორის ურღვევი კავშირის სადარაჯოზე. ყოველთვის იძლეოდა მამულიშვილობის, მიტევების, კეთილშობილების სანიმუშო მაგალითს. წლების განმავლობაში იყო ფირმა „სამების" პრეზიდენტი.**

**მსუბუქი იყოს თქვენთვის, ბატონო ფარვიზ, ქართული მიწა, რომლის სიყვარული და დარდიც თან წაიყოლიეთ.**

**ვაგლახ, რა ადამიანი დავკარგეთ.**

**განუსვენე, უფალო, სულსა მიცვალებულისა მონისა შენისა.**

საქართველოს ჭიდაობის
ეროვნული ფედერაცია
ვეტერანი მოჭიდავეები

დაკრძალვა 27.08,
15 საათზე. მისამართი
ვაჟა-ფშაველას გამზირი 52.



**მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ექიმი, ცნობილი დასტაქარი, ჭიდაობის ფედერაციის ღვაწლმოსილი ექიმი გიორგი ჭუმბურიძე. თითქმის 40 წელიწადი შემართებით ემსახურებოდა საფალავნო ოჯახს, ნაკრები გუნდების წევრებს და მწვრთნელებს. დიდია მისი დამსახურება ჩვენი მოჭიდავეების მომზადების ყველა ეტაპზე წვრთნისა და აღრიცხვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების, პერსპექტიული სპორტსმენების შერჩევის, სპორტული მიღწევების ფუნქციური ცვალებადობის, პედაგოგიური, საექიმო და ფიზიოლოგიური კონტროლის, რეაბილიტაციის მეთოდების ღონისძიებებისა და შესაძლებლობების სისტემის დანერგვის საქმეში.**

**შენი წასვლა ამ ქვეყნიდან, ჩვენო გოგა, ტკივილიანი და თავზარდამცემია. მაგრამ ტკივილსა და თავზარს, სევდას, დარდს და მონატრებას ენაცვლება შენ მიერ დათესილი სიკეთე. უმცროსი და უფროსი თაობის მეგობრები ქედს ვიხრით შენი ნათელი, მთის წყაროსავით ანკარა ცხოვრების წინაშე.**

საქართველოს ჭიდაობის
ეროვნული ფედერაცია
ვეტერანი მოჭიდავეები

დაკრძალვა 25.08, 15 საათზე
ვაჟა-ფშაველას გამზირი
VI კვარტალი, მე-3 კორპ.

## ქართული სპორტი

ფარიკაობა

მერაბ ბაზაძე (მარცხნივ) და ალირეზა ტაჰერხანი



# დაშნით და ჩადრით

პირველად ისტორიაში ირანის ისლამური რესპუბლიკის ქალ მოფარიკავეთა ნაკრები გუნდი ერთობლივ საწვრთნელ შეკრებას ატარებს სამშობლოს გარეთ - საქართველოში.

*„საქართველო იმიტომ ავირჩიეთ, რომ თქვენთან არიან საუკეთესო მწვრთნელები, გაქვთ მდიდარი ტრადიციები ფარიკაობაში. არჩილ გოგელიამ, დავით სახვაძემ და მერაბ ბაზაძემ საუკეთესო საწვრთნელი პირობები შეგვიქმნეს“* - გვითხრა ირანის ქალ მოფარიკავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **ალირეზა ტაჰერხანმა.**

ირანელი და ქართველი მოფარიკავე გოგონები საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შენობაში მდებარე დარბაზში და სპორტის აკადემიის მოედანზე გადიან წვრთნას სპეციალურ და საერთო ფიზიკურ მომზადებაში. ამ თვის ბოლოს ირანელებისათვის მასპინძლები ღია შეჯიბრების გამართვასაც აპირებენ.

გაისად აპრილში იაპონიის ქალაქ ნაკაიამაში ლონდონის ოლიმპიური თამაშების წინ, ფარიკაობაში აზიის ქვეყნების ბოლო სალიცენზიო ტურნირი ტარდება. სწორედ ამ შეჯიბრებისათვის ემზადებიან ირანელები ასე გულმოდგინედ.

მალე ისინი ჩვენს მოფარიკავეებსაც მიიწვევენ თაიანთ სამშობლოში ერთობლივი საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად.

**გაბრიელ ბარჯაძე**
ავტორის ფოტო

ძალოსნობა

# მხოლოდ მცირე ბრინჯაო


შოთა მიშველიძე

ჩეხანოვოში (პოლონეთი) ევროპის ჭაბუკთა პირველობაზე გუშინ 62 კილოგრამი წონითი კატეგორიის ძალოსანმა ვაჟებმა იასპარეზეს. თხუთმეტ მონაწილეს შორის იყო მსგავსი შეჯიბრების შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი (ოღონდ 56 კილოში) **შოთა მიშველიძე** (ქუთაისი). იგი შემართებით ჩაება საპრიზო ადგილებისთვის პაექრობაში. ატაცში ჯერ 107, შემდეგ კი 111 და 114 კილოგრამი დაძლია, რაც საბოლოოდ მესამე შედეგი აღმოჩნდა და ჩვენებურს მცირე ბრინჯაოს მედალი ერგო. ქუთაისელ ძალოსანს ხუთ-ხუთი კილოთი გაუსწრეს და პირველი-მეორე ადგილები გაინაწილეს რუმინელმა ფლორინ კატალინ ბეჯენარიუმ და ბელარუსმა არტსიომ შანაუმ. კარპატელი პირადი წონით ნაკლები (340 გრამით) აღმოჩნდა და მცირე ოქრო ერგო.

მიშველიძემ აკვრაშიც სამივე ცდა გამოიყენა - 126, 131 და 135 კილო (სხვათა შორის, ერთი თვის წინათ საქართველოს ლიგის გათამაშებაზე შოთამ თავისი საუკეთესო შედეგები აჩვენა - 110 და 130 კილოგრამი, რომლებიც ევროპის პირველობაზე, შესაბამისად, 4 და 5 კილოთი გააუმჯობესა), რაც საპრიზო ადგილებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა: აზერბაიჯანელმა ელხან ალიგულიზადემ 146-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და მცირე ოქროსთან ერთად ორჭიდში 258 კილოგრამით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მიშველიძე 249 კილოთი მე-4 ადგილზე გავიდა. ორჭიდში 264-264 კილოგრამით კვარცხლბეკის პირველი-მეორე საფეხურები, შესაბამისად, ბეჯენარიუმ და შანაუმ გაინაწილეს. აკვრაში მცირე ვერცხლი და ბრინჯაოც (145-145 კგ.) მათ ერგოთ ასეთივე თანმიმდევრობით.

დღეს ჩეხანოვოში 69 კილოგრამი წონითი კატეგორიის 24 სპორტსმენი მოსინჯავს ძალებს. ქართველთაგან ფიცარნაგზე გავლენ შარშანდელი მსგავსი შეჯიბრების მონაწილე ჩაქველი **ჯაბა ჩიბურდანიძე** (რომელსაც თავისი მონაცემებით საპრიზო ადგილების დაკავება შეუძლია) და ევროპის პირველობის ზუგდიდელი დებიუტანტი **ბაჩანა ქუხილავა.**

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო



# ქართული სპორტის ქრონიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# ლევან თედიაშვილი



დაიბადა 15.03.1948, საგარეჯო. **თავისუფალი ჭიდაობა** (82, 90, 100 კგ). XX და XXI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1972, მიუნხენი და 1976, მონრეალი). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი: ოთხჯერ - თავისუფალ ჭიდაობაში (1971, 73, 74, 75), ერთხელ - სამბოში (1973). მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1978), მსოფლიოს თასის მფლობელი (1973), ევროპის სამგზის ჩემპიონი (1974, 76, 78), სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი (1971) , სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973, 74), ორგზის მეორე (1969, 80) და მესამე პრიზიორი (1977), ერთადერთი მოჭიდავე მსოფლიოში, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში (ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი იყო 82 და 90 კგ, ევროპის ჩემპიონი - 100 კგ წონაში). სსრკ წლის საუკეთესო სპორტსმენი (1973). სამჯერ დასახელდა საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად (1971, 73, 74), საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ბრინჯაოს მედალი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის, სოკის, ფილას, ღირსების ორდენების კავალერი.

## სათავეები



ხელბურთი (ინგლ. Handball - Hand - ხელი, Ball - ბურთი). მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელებული სპორტული თამაში. პარტნიორები ბურთს მხოლოდ ხელით აწვდიან ერთმანეთს. მოთამაშეთა მიზანია მეტოქის კარის დალაშქვრა და საკუთარის დაცვა.

# ხელბურთი

**ევროპის ჩემპიონატი კაცთა და ქალთა შორის იმართება 1994 წლიდან, მსოფლიოს ჩემპიონატი კაცთა შორის - 1938-იდან, ქალთა შორის - 1957-იდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია: 1936-იდან - კაცები, 1976-იდან - ქალები.**

**საქართველოში** ხელბურთი უკრაინიდან შემოვიდა XX საუკუნის 20-იან წლებში. იმავე პერიოდში ქართულად ითარგმნა თამაშის წესები. სსრკ I სპარტაკიადაში (1928) მონაწილე ამიერკავკასიის ფედერაციის ნაკრები თითქმის მთლიანად ქართველი ხელბურთელებისგან შედგებოდა. 50-იანი წლებიდან დაიწყო ხელბურთის განვითარების ახალი ეტაპი.

**საქართველოს ხელბურთის ასოციაცია** დაფუძნდა 1990 წლის 5 ივნისს.

1991 წლიდან ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციისა (IHF) და ევროპის ხელბურთის ფედერაციის (EHF) დროებითი, 1992 წლის აგვისტოდან - მუდმივი წევრია.

„ვიქტორინას“ წინა გამოშვებაში (18. 08) პასუხებში უნდა იყოს: 2-ბ, და არა 2-გ. ოლიმპიური ქარტია ქართულ ენაზე პირველმა **პაატა ნაცვლიშვილმა** თარგმნა.

## თარიღი

### 25-31 აგვისტო

**25. 1960 წ.** რომში გაიხსნა ზაფხულის XVII ოლიმპიური თამაშები.

**25. 1918 წ.** დაიბადა **ელენე გოკიელი** - მძლეოსანი.

**25. 1979 წ.** დაიბადა **ეკა აბრამია** - მხატვრული ტანვარჯიში.

**26. 1972 წ.** მიუნხენში გაიხსნა ზაფხულის XX ოლიმპიური თამაშები.

**27. 2004 წ.** ათენში ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალი მოიპოვა **რამაზ ნოზაძემ** (ბ/რ ჭიდობა).

**28. 1936 წ.** სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშების ფინალი: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„დინამო“ (თბილისი) 2:0.

**29. 2007 წ.** საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები სტუმრად ისლანდიასთან 75:76 დამარცხდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში.

**30. 1959 წ.** დაიბადა **საიდა გუმბა-** მძლეოსნობა (შუბის ტყორცნა).

**30. 1975 წ.** დაიბადა **გიორგი ასანიძე-** ძალოსნობა.


გიორგი ასანიძე

## ვიქტორინა

**1. როდის და ვისთან მატჩის შემდეგ შეარქვეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს „დიდი ურუგვაელები?“**

ა — 1936 წელს მოსკოვის „სპარტაკთან“ მატჩის შემდეგ
ბ — 1937 წელს ბასკებთან მატჩის შემდეგ
გ — 1940 წელს რუმინეთში ტურნეს დროს

**2. რომელ წელს გაიხსნა თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო აკადემია უეფას მოთხოვნით?**

ა — 2000 წელს
ბ — 2003 წელს
გ — 2005 წელს

**3. მერამდენე შესარჩევი ციკლი იქნება საქართველოს ნაკრებისთვის 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი?**

ა — მერვე
ბ — მეცხრე
გ — მეათე

**4. ბატუტზე ხტომაში, რომელი ქართველი გახდა ოლიმპიური ჩემპიონი სხვა ქვეყნის სახელით?**

ა — რუსუდან ხოფერია
ბ — ანა დოლონაძე
გ — ზაქარია აბრამიშვილი

**5. ქართველი ფალავნებიდან რომელია თბილისის საპატიო მოქალაქე?**

ა — ვახტანგ ბალავაძე
ბ — გივი კარტოზია
გ — როსტომ აბაშიძე

პასუხები: 1-ა, 2-ბ, 3-ბ, 4-ბ, 5-ა

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** საერთაშორისო მატჩი დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში თბილისის „დინამომ“ ჩაატარა ევროთასებზე ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო შეხვედრაში ბელფასტი (ჩრდ. ირლანდია) „ლინფილდს“ 2:1 მოუგო.

**პირველმა** ქართველი მორაგბეებიდან ქულათა სარეკორდო რაოდენობას ერთ მატჩში მგეზავმა (№10) **ირაკლი კიზირიამ** მოუყარა თავი. მისი შედეგი — 80 ქულა საბჭოთა კავშირის მორაგბეთა შორისაც საუკეთესო იყო.

**პირველად** მთამსვლელობის მუზეუმი საბჭოთა კავშირში გაიხსნა თბილისში, ვერის ბაღში, განახლებული ალპური კლუბის შენობაში 1972 წელს.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. იხ. სურათი: “ზესტაფონის” მეკარე; 6. ცნობილი მოჭადრაკე, სალო ... ; 7. ზამთრის VIII ოლიმპიადის მასპინძელი ......-ველი; 9. აზიური საბრძოლო ხელოვნება; 10. მყინვარწვერი, იგივე ... ; 12. ქალაქი, სადაც ვ. სანეევი პირველად გახდა ოლიმპიური ჩემპიონი; 13. ცურვის სტილი; 16. რბოლებში ერთ მანქანაში, ნავში... ერთზე მეტი მონაწილე; 18. ქართველი მესტენდური; 19. ჭადრაკის ფიგურა; 21. თანაბარი ანგარიში; 22. თბილისის ”ბურევესტნიკის” ყოფილი არაქართველი კალათბურთელი; 24. გულშემატკივართა შეძახილი კორიდაზე; 25. დროის მონაკვეთი კრივში; 26. ვეტერანი მორაგბე ......ცაბაძე.

**შვეულად:** 2. ველორბოლის ნაირსახეობა, ბუნებრივ და ხელოვნურ წინაღობათა გადალახვა; 3. ზამთრის XIV ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი; 4. გივი კარტოზიას მწვრთნელი; 5. საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 8. მთამსვლელობის მხარე საქართველოში; 10. ცხენოსნობის ეროვნული სახეობა; 11. ტიგრან პეტროსიანის პირველი მწვრთნელი; 14. სპორტსმენთა ფასიანი გადასვლა-გადმოსვლა; 15. უკრაინელი მძლეოსანი ქალი, რომელიც საქართველოს სახელით ასპარეზობდა თარჯრბენში; 17. 50-ანი წლების თბილისელი მესტენდური; 20. ცხენებით შეჯიბრება სისწრაფეში; 22. რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმელი; 23. ქართული სპორტული გაზეთი.

ისტორია

# მსოფლიოს თასი 2003 წელი



2003 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში, რომელიც ავსტრალიაში გაიმართა, საქართველოს ნაკრებმა პირველად იასპარეზა. „ბორჯღალოსნები“ მსოფლიოს რაგბის ამ უდიდეს ფორუმზე მონაწილეობით, ფაქტობრივად, ელიტისკენ მიმავალ გზას დაადგნენ და საუკეთესოთა შორის აგერ უკვე ზედიზედ მესამედ იასპარეზებენ.

მსოფლიოს თასის გათამაშებას წინ მცირე სკანდალი უძღოდა. შეჯიბრება ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას ერთად უნდა ჩაეტარებინათ, თუმცა მერე ავსტრალიელებმა მეზობლებს პირი უშალეს და ტურნირის ყველა მატჩს მათ უმასპინძლეს.

## ტურნირის აღმოჩენა: სამოას ნაკრები

მსოფლიოს თასის აღმოჩენად თამამად შეიძლება მივიჩნიოთ სამოას ნაკრები, რომელმაც, მართალია, ჯგუფში ორი შეხვედრა წააგო ფავორიტებთან, ინგლისისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებთან, მაგრამ შეუპოვარი და ძალიან ეფექტური თამაშით დაგვამახსოვრა თავი. სამოელებმა იოლად სძლიეს ურუგვაის - 60:13 და საქართველოს - 46:9. „ბლედისლოუს თასის“ მომავალ მფლობელ ინგლისის გუნდთან მართალია, 22:35 წააგო, მაგრამ 64-ე წუთისთვის 22:20-ს უგებდა. რა ძალიან ახლოს იყო სენსაცია!..

## ტურნირის იმედგაცრუება: სამხრეთ აფრიკის ნაკრები

ჯგუფურ ტურნირზე სამოას, ურუგვაისა და საქართველოს ნაკრებებთან ერთი შეხედვით იოლი გამარჯვების შემდეგ სამხრეთაფრიკელებმა ინგლისის ნაკრებთან წააგეს - 6:25 და ჯგუფში მეორე ადგილს დასჯერდნენ.

მეოთხედფინალში „ბოკეს“ აშკარად არ გაუმართლა, რადგან D ჯგუფის გამარჯვებულსა და მსოფლიოს თასის მთავარ ფავორიტს, ახალი ზელანდიის ნაკრებს დაეჯახა. სამხრეთაფრიკელებმა მატჩი 29:9 წააგეს და ისე გამოვიდა, რომ ახალი ზელანდიისა და ინგლისის ნაკრებებთან ორ შეხვედრაში, მათ ლელოს გატანა ვერ შეძლეს.

და კიდევ, 1995 წლის მსოფლიოს თასის გამარჯვებულები პირველად დარჩნენ საუკეთესო ოთხეულის მიღმა.

## ტურნირის გუნდი: ინგლისის ნაკრები

ინგლისის ნაკრები პირველი ევროპული გუნდი გახდა, რომელმაც ვებ ელისის თასი შინ წაიღო. „პომების“ თავკაცმა **კლაივ ვუდვორდმა** შესანიშნავი გუნდი შექმნა. ისეთი, რომელსაც ძალიანაც რომ მოგენდომებინათ სუსტ წერტილს ვერაფრით უპოვიდით.

ინგლისელთა შერკინება შეუდარებელი იყო. აქ „პომების“ ამჟამინდელი მწვრთნელი **მარტინ ჯონსონი** და მისი ყველაზე დიდი კრიტიკოსი **ლოურენს დალალიო** ყოჩობდნენ. ფეხით თამაშის ისეთი დონის ოსტატი კი, როგორიც მგეზავი **ჯონი ვილკინსონი** იყო, მსოფლიოს რაგბის ისტორიას ცოტა თუ ახსოვს. „ვილკოს“, ამ უდიდესი კოზირის გარდა, გუნდის თამაშის წარმართვის უნარიც ჰქონდა, დაცვაშიც შესანიშნავად ირჯებოდა და ტაქტიკურად ბრწყინვალედ აზროვნებდა.

ჯგუფურ ეტაპზე ინგლისი საქართველოს ნაკრების მეტოქე იყო. „ბორჯღალოსნებმა“ თავის პირველ მსოფლიოს თასზე პირველი მატჩი სწორედ „ვებ ელისის“ თასის მომავალ მფლობელებთან გამართეს. ის შეხვედრა ინგლისის ნაკრებმა 84:6 მოიგო. ჩვენი ეროვნული გუნდისთვის საერთოდ, ეს ყველაზე დიდი სხვაობით წაგებული მატჩია. აღსანიშნავია, რომ „პომებმა“ კიდევ უფრო უარეს დღეში ჩვენი თანაჯგუფელი ურუგვაის ნაკრები ჩააგდეს, რომელსაც 111:13 სძლიეს.

ფინალისკენ მიმავალ გზაზე ვუდვორდის ბიჭებმა ევროპელები - უელსისა და საფრანგეთის ნაკრებები ჩამოიცილეს. ფინალში კი მასპინძელი, მსოფლიოს თასის ორგზის მფლობელი ავსტრალიის ეროვნული გუნდი დაამარცხეს - 20:17, რაც იმის დასტურია, რომ ოვალური სამყაროს ახალი ლიდერი ინგლისის ნაკრები დამსახურებულად გახდა.

## ტურნირის მატჩი: ინგლისი-საფრანგეთი

მსოფლიოს თასის მშვენება იყო საფრანგეთისა და ინგლისის ნაკრებების დაპირისპირება ნახევარფინალში. თამაში „პომებმა“ 24:7 მოიგეს და ფინალში გაალწიეს. ამ მატჩის გმირი, ცხადია, ჯონი ვილკინსონი გახდა, 24 ქულა გუნდს სწორედ მან მოუტანა. „ვილკოს“ ანგარიშზე ხუთი საჯარიმო და სამი არეკნი იყო. ამ მოთამაშის სიდიადეზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ასეთი მაღალი დონის მატჩში, მსოფლიოს თასის ნახევარფინალში სამი არეკნი აქამდე არავის გაუტანია.

ფრანგები პირველ ნახევარს 7:3 იგებდნენ, თუმცა ტაიმის მიწურულისკენ ჯონიმ სამჯერ ზუსტად დაარტყა კარში და შესვენებაზე თავისიანები ხუთქულიანი უპირატესობით გაუშვა. „ლე ბლემ“ მეორე ნახევარში მონაგარს ველარაფერი შესძინა, ვილკინსონი კი ისევ ბრწყინავდა და 12 ქულას ამდენივე მიუმატა.

ეს შეხვედრა ეროვნულ ნაკრებში ბოლო გამოდგა, ფრანგული რაგბის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავი **ფაბიენ გალტისთვის.**

## ტურნირის ლელო: სერჟ ბეტსენი

პირველი ტაიმის დასრულებას ერთი წუთი აკლდა. „ლე ბლე“ შოტლანდიის ნაკრებს მხოლოდ 9:3 უგებდა. ფრანგთა მესამე ხაზმა გადაწყვიტა თამაშის სადავეები ხელში აეღო. **იმანოლ არინორდოკმა** შერკინებიდან ბურთი გამოიტანა, მას **ოლივე მანე** წამოეშველა და **სერჟ ბეტსენს** ისლა დარჩენოდა, ლელოში დაემიწებინა. ბეტსენის ამ ლელომ მატჩში გარდატეხა შეიტანა.

მეორე ნახევარში ფრანგები გაკადნიერდნენ, მეტოქეს კიდევ ოთხი ლელო გაუტანეს და 51:9 მოუგეს.

## ტურნირის მორაგბე-ფრედერიკ მიშალაკი

21 წლის ფრანგი **ფრედერიკ მიშალაკი** მსოფლიოს თასის აღმოჩენა იყო. მან ტურნირზე გუნდს 103 ქულა შესძინა, პლუს ფულჰაუზი (ლელო, გარდასახვა, საჯარიმო, არეკნი) შეასრულა ჯგუფრ ტურნირში შოტლანდიელებთან მატჩში.

მან შესანიშნავად წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები მეოთხედფინალში ირლანდიასთან მატჩში, რომელშიც გუნდს 23 ქულა შესძინა. სამაგიეროდ, მიშალაკს გამოცდილება არ ეყო, ნახევარფინალში მოძალებული ინგლისელებისთვის წინააღმდეგობა გაეწია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავსტრალიაში მიშალაკის ბენეფისი შედგებოდა და არა ვილკინსონის, რომელმაც გუნდს მსოფლიოს თასზე 113 ქულა შესძინა.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ინფრასტრუქტურა



# ფოთიდან ქუთაისის ცენტრისკენ

დიდიხანია, ქუთაისის „აია“ მშობლიურ ქალაქში თამაშზე ოცნებობს. საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი პირველ წრეში საშინაო მატჩებს ქუთაისიდან საკმაოდ შორს, ფოთში ატარებდა. გუნდს თამაშის დღეს დამღლელი მგზავრობა უწევდა და მიუხედავად ამისა „აიამ“ წლეულს გასვლით მატჩებთან ერთად მალთაყვის სტადიონზე გამართული ყველა შეხვედრა მოიგო.

მოგეხსენებათ, ქუთაისში სარაგბო კომპლექსის მშენებლობა დაწყებულია და სამომავლოდ რიონისპირა ქალაქში რაგბის მოედნის პრობლემა აღარ იარსებებს, მაგრამ, ამ პროექტის განხორციელებას ჯერ კიდევ წელიწად-ნახევარი სჭირდება. ამ ხნის განმავლობაში ქუთაისის ურაგბოდ დატოვება უსამართლობა იქნებოდა,

ქალაქის ხელმძღვანელობაც „დატრიალდა“ და „აიასთვის“ ქუთაისის ცენტრთან ახლოს არსებული „დინამოს“ სტადიონის ვარიანტი გამოიძებნა. ეს არენა სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა და ამჟამად იქ სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. იცვლება მოედნის საფარი, მონტაჟდება სარწყავი სისტემა, რემონტდება გასახდელები და ტრიბუნები. სტადიონის აღდგენით სამუშაოებში მორაგბეებიც არიან ჩართულნი. გუშინ მთელი გუნდი გაწმენდით სამუშაოებში მონაწილეობდა.

ქუთათურები იმედოვნებენ, რომ სტადიონი სექტემბრის შუა რიცხვებამდე მზად იქნება და ფოთიდან ქუთაისის ცენტრში გადმოინაცვლებენ.

**კობა გიორგაძე** (მწვრთნელი): „ძალიან გვინდა, მეორე წრეში საშინაო შეხვედრები საკუთარ ქალაქში ჩავატაროთ, ამიტომ „დინამოს“ სტადიონზე მიმდინარე სამუშაოებში ჩვენც ჩავერთეთ, ერთიანი ძალებით სტადიონის მოწყობა კიდევ უფრო დაჩქარდება და აქ თამაშის საშუალება მალე მოგვეცემა. ალბათ, ფოთში ერთი მატჩის ჩატარება კიდევ მოგვიწევს, შემდეგ კი ქუთაისში გადმოვინაცვლებთ.

ბოლოს გაცნობებთ, რომ 25 აგვისტოს „აია“ გრიგოლეთში გაემგზავრება, სადაც ჩემპიონატის განახლებამდე ერთკვირიან შეკრებას გაივლის.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

მსოფლიოს თასი

# ლივერმონი წავა, სენტ-ანდრე მოვა?

საფრანგეთის რაგბის ფედერაციამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომლის მიხედვითაც ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონის“ მთავარი მწვრთნელი **ფილიპ სენტ-ანდრე**, შესაძლოა, საფრანგეთის ნაკრების თავკაცად დაინიშნოს.

ეს იმას ნიშნავს, რომ „ლე ბლეს“ მიერ ახალ ზელანდიაში ნაჩვენები შედეგის მიუხედავად, **მარკ ლივერმონს** და მის გუნდს ნაკრებიდან წასვლა მოუწევს. ფრანგულ სპორტულ მედიაში მუსირებს ვერსია, რომ ლივერმონი წლევანდელი ექვსი ერის გათამაშებაში გუნდის ცუდ ასპარეზობას ეწირება. ფრანგული რაგბის მამები მას განსაკუთრებით იტალიის ნაკრებთან მარცხს ვერ პატიობენ.

სანამ საფრანგეთის რაგბის ფედერაციის ხელმძღვანელების არჩევანი სენტ-ანდრეზე შეჩერდებოდა, იმავე წინადადებით მათ ფრანგული გრანდის, „ტულუზის“ მწვრთნელ **გი ნოვეს** მიმართეს, თუმცა თანამედროვეობის ერთ-ერთმა საუკეთესო მწვრთნელმა ნაკრებში მუშაობაზე უარი განაცხადა.

ასევე უარით გაისტუმრა შუამავლები ფრანგული რაგბის ლეგენდამ, **მამუკა გორგოძის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჟღენტისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს“ მთავარმა მწვრთნელმა **ფაბიენ გალტიემ,** რომელმაც ერთი ჩვეულებრივი, საშუალო დონის გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა.

ერთი სიტყვით, არჩევანი სენტ-ანდრეზე კი შეჩერდა, მაგრამ ფედერაციას „ყელში“ ისევ „ტულონის“ მულტიმილიონერი პრეზიდენტი **მურად ბურჯელალი** გაეჩხირა.

*„წარმოუდგენელი რამეა, ჩემი გუნდის მწვრთნელს ეროვნული ნაკრების თავკაცობას სთავაზობენ, მე კი ამის შესახებ მხოლოდ გაზეთებიდან ვიღებ ინფორმაციას. ფედერაციას ამაზე დროულად უნდა ეზრუნა. შაბათს ჩემპიონატის პირველი ტურია. სენტ-ანდრეს კლუბთან კონტრაქტი აქვს, რომ გავანთავისუფლო კიდეც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან, მაგისი დონის სპეციალისტი ახლა სად ვიპოვო?“* - თქვა მან.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფილიპ სენტ-ანდრეს საბოლოო პასუხი ჯერ არ მიუცია ფედერაციისთვის. მან ერთი კვირა ითხოვა მოსაფიქრებლად და ბურჯელალთან ურთიერთობის მოსაგვარებლად.

შეგახსენებთ, რომ მსგავსი შემთხვევა უნიკალური არ არის. მაგალითად, იტალიის ნაკრების სამხრეთაფრიკელმა მწვრთნელმა **ნიკ მალეტმა** დიდი ხანია იცის, რომ თანამდებობა მსოფლიოს თასის დასრულებისთანავე უნდა დატოვოს. მისი შემცვლელი ფრანგული „პერპინიანის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ჟაკ ბრუნელი** იქნება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

## უცხოური სპორტი

მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი



# სამ დღეში ბოლტი იწყებს

ორ დღე და სამხრეთ კორეის ქალაქ ტეგუში დაიწყება წლის მთავარი სტარტი - მსოფლიოს ჩემპიონატი მძლეოსნობაში.

გასული ერთი თვის განმავლობაში ვწერდით იმის შესახებ, რომ წლევანდელ პირველობას ტრავმების გამო ბევრი ვარსკვლავი დააკლდა, თუმცა პლანეტის ნომერ პირველი მძლეოსანი, მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი **უსაინ ბოლტი** უკვე ტეგუშია, ასე რომ, სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებს მოსაწყენად არ ეცლებათ.

წესით და რიგით, იამაიკელ ფენომენს არ უნდა გაუჭირდეს ტეგუში ორი წლის წინ მოპოვებული ტიტულების დაცვა. არადა, სეზონის დასაწყისი 2011 წელს სპრინტერულ დისტანციებზე დიდ ბრძოლას გვპირდებოდა. ბოლტი ტრავმის შემდეგ აღდგენითი პროცესით იყო დაკავებული და ძველებურ სისწრაფეს ვერ აჩვენებდა, სამაგიეროდ, ბრწყინვალე შედეგებს აფიქსირებდნენ **ტაისონ გაი, ასაფა პაუელი** და **სტივ მალინგსი**, რომლებსაც წელს ამ მომენტისთვის ბოლტზე უკეთესი შედეგები აქვთ ნაჩვენები „მოკლე სპრინტში".

მაგრამ გაიმ ტრავმა მიიღო და ამის გამო ჩამოშორდა ჩემპიონატს, ხოლო მალინგსმა შესარჩევი ტურნირი ვერ გაიარა. რაც შეეხება ბოლტის თანამემამულეს ასაფა პაუელს, მან ტრავმის გამო „ბრილიანტის ლიგის" ბოლო ტურნირი გამოტოვა, თუმცა ტეგუსთვის მზად უნდა იყოს. სეზონში მეოთხე შედეგის ავტორს **მაიკ როჯერსს** ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი უპოვეს და მას სამუდამო დისკვალიფიკაცია ელის. საინტერესოა, როგორ გამოვა ჩემპიონატზე ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი **ჯასტინ გეტლინი**, რომელიც დიდ სპორტს ხანგრძლივი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაუბრუნდა.

ასე რომ, ბოლტს ყველაფერი წესრიგში აქვს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ წელს 100 მეტრი 9.88 წამზე სწრაფად არ გაურბენია.

რაც შეეხება 200 მეტრს, აქ უსაინს სეზონის საუკეთესო შედეგი აქვს დაფიქსირებული. „გრძელ სპრინტში" მისი მთავარი კონკურენტი **უოლტერ დიქსი** თანდათან პროგრესირებს, მაგრამ თითქმის არავის სჯერა, რომ ის კონკურენციას გაუწევს სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს.

იქნება თუ არა ბოლტისგან ტეგუში სარეკორდო გარბენები? თავად იამაიკელმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ამჯერად მაყურებელი რეკორდს ვერ იხილავს, თუმცა იამაიკელს უყვარს პუბლიკის გაკვირვება.

### კალენდარი

**27 აგვისტო**

04:00 - მარათონი, ქალები
05:00 - 100 მ, ათჭიდი
06:00 - სიგრძე, ათჭიდი
07:50 - ბირთვი, ათჭიდი
15:00 - სიმაღლე, ათჭიდი
16:00 - 10 000 მ, ქალები
17:40 - 400 მ, ათჭიდი

**28 აგვისტო**

04:00 - სიარული 20 კმ, კაცები
04:05 - 110 მ/თ, ათჭიდი
05:00 - ბადრო, ათჭიდი
08:00 - ჭოკი, ათჭიდი
11:30 - შუბი, ათჭიდი
13:15 - სიგრძე, ქალები
14:15 - ბადრო, ქალები
14:30 - 10 000 ს, კაცები
15:15 - 1500 მ, ათჭიდი
15:45 - 100 მ, კაცები

**29 აგვისტო**

05:00 - 100 მ/თ, შვიდჭიდი
06:00 - სიმაღლე, შვიდჭიდი
14:05 - ბირთვი, შვიდჭიდი
14:15 - ურო, კაცები
14:25 - ჭოკი, კაცები
15:35 - 200 მ, შვიდჭიდი
15:40 - ბირთვი, ქალები
16:05 - 400 მ, ქალები
16:25 - 110 მ/თ, კაცები
16:45 - 100 მ, ქალები

**30 აგვისტო**

05:00 - სიგრძე, შვიდჭიდი
06:40 - შუბი, შვიდჭიდი
14:05 - ჭოკი, ქალები
14:55 - ბადრო, კაცები
15:00 - 800 მ, შვიდჭიდი
16:00 - 800 მ, კაცები
16:20 - 3000 მ/ს, ქალები
16:45 - 400 მ, კაცები

**31 აგვისტო**

04:00 - სიარული 20 კმ, ქალები

**1 სექტემბერი**

14:10 - სიმაღლე, კაცები
14:20 - სამხტომი, ქალები
15:25 - 3000 მ/სპ, კაცები
15:55 - 1500 მ, ქალები
16:15 - 400 მ/თ, ქალები
16:30 - 400 მ/თ, კაცები

**2 სექტემბერი**

14:00 - ბირთვი, კაცები
14:10 - შუბი, ქალები
14:20 - სიგრძე, კაცები
15:25 - 5000 მ, ქალები
15:55 - 200 მ, ქალები
16:15 - ესტაფეტა 4×400 მ, კაცები

**3 სექტემბერი**

03:00 - სიარული 50 კმ, კაცები
14:00 - სიმაღლე, ქალები
14:10 - შუბი, კაცები
14:45 - 800 მ, ქალები
14:55 - 400 მ, კაცები
15:15 - 1500 მ, კაცები
15:40 - ესტაფეტა 4×400 მ, ქალები
16:00 - 100 მ/თ, ქალები
16:20 - 200 მ, კაცები

**4 სექტემბერი**

04:00 - მარათონი, კაცები
13:15 - ურო, ქალები
14:05 - სამხტომი, კაცები
14:40 - 5000 მ, კაცები
15:15 - 800 მ, ქალები
15:35 - ესტაფეტა 4×100 მ, ქალები
16:00 - ესტაფეტა 4×100 მ, კაცები

კალათბურთი. ახალი ამბები

# არც კასპი, არც ველიჩკოვიჩი

როგორც მოსალოდნელი იყო, ევრობასკეტზე სერბეთის ნაკრებს დააკლდება ახალგაზრდა ფორვარდი **ნოვიცა ველიჩკოვიჩი**. გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ მადრიდის „რეალის" კალათბურთელმა ვერ მოასწრო აღდგენა კონტინენტის პირველობისთვის. მან ტრავმა რამდენიმე დღის წინ მიიღო და ექიმების დამაიმედებელი პროგნოზების მიუხედავად, ბრძოლის მიღმა აღმოჩნდა. ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ კალათბურთელს ისედაც აწუხებდა მუხლი მთელი სეზონის განმავლობაში.

ასევე გაირკვა, რომ „კლივლენდ კავალიერზის" ფორვარდი **ომრი კასპი** ევრობასკეტზე ისრაელის ნაკრებს ვერ დაეხმარება. 23 წლის მოთამაშეს ასევე ფეხთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და არ სურს რისკზე წასვლა. ამიტომაც თავი შეიკავა ლიტვაში გამგზავრებისგან.

ისრაელის ნაკრების ლიდერის შესახებ კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა. კასპიმ ვერ შეათანხმა კონტრაქტის პირობები თელ-ავივის „მაკაბისთან" და ამიტომაც ლოკაუტის პერიოდში სამშობლოში არ დაბრუნდება.

როგორც ESPN წერს, ომრი ამჟამად საფრანგეთის „ვილერბანთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს და შესაძლოა, ამ გუნდში გააგრძელოს კარიერა. სხვათა შორის, „ვილერბანის" აქციათა ნაწილი „სან ანტონიო სპურსის" ვარსკვლავს **ტონი პარკერს** ეკუთვნის.

■ ■ ■

საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ შემცვლელი მოუნახა ტრავმირებულ მცველს **ანტუან დიოს**. გუნდის დამრიგებელმა შეკრებაზე მიიწვია 30 წლის **სტიდ შიკამბუ**, რომელიც საფრანგეთის ლიგაში მონაწილე „შალონის" წევრია.

გასულ სეზონში საფრანგეთის ნაკრების ახალწვეულის სტატისტიკა 8.0 ქულასა და 4.1 შედეგიან გადაცემას შეადგენდა.






ალენი ისევ შარშია

# ალტერნატიული ლიგა ლას ვეგასში

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეებმა ლოკაუტის პერიოდში ალტერნატიული ლიგის ჩამოყალიბება გადაწყვიტეს. უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში ლას ვეგასში ახალი პროექტი ამოქმედდება. მატჩები გაიმართება ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ საკალათბურთო ცენტრში - Impact Basketball-ში, რომელიც ამ ტურნირის ორგანიზატორია.

HoopsWorld-ის ინფორმაციით, ტრადიციული საზაფხულო ლიგებისგან განსხვავებით, სადაც გუნდებში ძირითადად მოყვარულები თამაშობენ და თითოოროლა პროფესიონალია, ახალ ლიგაში მხოლოდ NBA-ის კალათბურთელები ითამაშებენ.

სულ პროექტში დაახლოებით 70 მოთამაშე იქნება ჩართული, მათ შორის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან **ჩონსი ბილაპსი, ჯონ უოლი, პოლ პირსი, კორი მაგეტი, კაილ ლოური** და **ჯერმეინ ო'ნილი**.

■ ■ ■

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** მოლაპარაკებებს აწარმოებს ლოს ანჯელესის საკალათბურთო ლიგის - „დრიუს" ხელმძღვანელობასთან. თუ კობი შეთავაზებულ პირობებს დათანხმდა, ის მონაწილეობას მიიღებს მატჩში, რომელშიც ვაშინგტონის ლიგის - „გუდმანის" გუნდს დაუპირისპირდება. NBA-ის ვარსკვლავებს შორის შეხვედრა 10 სექტემბერისთვის არის დანიშნული.

*„სულ სამი კვირა დარჩა ამ მატჩამდე და ძალიან უნდა მოვინდომოთ, რომ ეს კალათბურთელი გადავიბიროთ. იმედია, გამოგვივა"*, - განაცხადა პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა **ფრედ სმიტმა**.

■ ■ ■

კვლავ სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი ვარსკვლავი **ალენ აივერსონი**. ვინმე **გაი უოკერმა** კალათბურთელს დეტროიტის სასამართლოში უჩივლა.

უოკერი ირწმუნება, რომ 2009 წლის აპრილში ის აივერსონის პირადმა მცველმა დეტროიტის ერთ-ერთ ბარში სცემა და ახლა, კალათბურთელისგან კომპენსაციის სახით 2.5 მილიონ დოლარს ითხოვს.

■ ■ ■

როგორც ჩანს, „მინესოტა ტიმბერვულვზმა" ახალი მწვრთნელი იპოვა. **რიკ ადელმანი**, რომელიც ცოტა ხნის წინ აცხადებდა, რომ კარიერაში პაუზის აღება და კალათბურთისგან დასვენება სურს, „მინესოტას" ხელმძღვანელობას შეხვდება და მომავალი თანამშრომლობის დეტალებს განიხილავს. ამერიკული პრესა ირწმუნება, რომ ადელმანი, შესაძლოა, დღეს გამოაცხადონ „მგლების" დამრიგებლად.

ასე რომ, არ დასტურდება ჭორი იმის შესახებ, რომ „ტიმბერვულვზის" მწვრთნელი შეიძლება **დონ ნელსონი** ან **სემ მიტჩელი** გამხდარიყო.

■ ■ ■

„ოკლაჰომას" ლიდერის **კევინ დურანტის** შემდეგ სამსახიობო პროფესიაში აპირებენ ძალების მოსინჯვას „მაიამი ჰიტის" ვარსკვლავები - მცველი **დუეინ უეიდი** და ფორვარდი **კრის ბოში**. ისინი საკუთარ თავს განასახიერებენ ცნობილ ამერიკულ სერიალში - „კანონი და წესრიგი".

იმ სერიის სიუჟეტი, რომელშიც „მაიამის" კალათბურთელები ითამაშებენ, აგებულია კალათბურთის მწვრთნელის გარშემო, რომელიც შეგირდებზე ძალადობაშია შემჩნეული.

## ამბები

**რალი**

### კიმი ავსტრალიას გამოტოვებს

რალის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე ფორმულა 1-ის ყოფილმა ჩემპიონმა **კიმი რაიკონენმა** უარი თქვა ავსტრალიურ ეტაპში მონაწილეობაზე. ადრე ფინელმა დაადასტურა პლანეტის პირველობის მეათე ეტაპზე გამოსვლა, მაგრამ გასულ უქმეებზე უკმაყოფილო დარჩა გერმანიის რალიში საკუთარი გამოსვლით და ჩემპიონატში პაუზის აღება გადაწყვიტა.

*„ავსტრალიაში არ წავალ. დიახ, ვაპირებდი ამ რბოლაში მონაწილეობას, მაგრამ ახლა გადავიფიქრე. ეს ძალიან შორია და იქ ჩასვლას მომქანცველი მოგზაურობა სჭირდება. ასე რომ, ვერ ვხედავ სხვა კონტინენტზე გამგზავრების აზრს"*, - ამბობს კიმი რაიკონენი ფინურ გამოცემა Turun Sanomat-თან კომენტარში.

**ოლიმპიზმი**

### ამერიკის უარი

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ყველა დაინტერესებულ ქალაქს მიანიშნა, რომ ქვეყანა არ გამოაცხადებს პრეტენზიას 2020 წლის ზაფხულის თამაშების ორგანიზებაზე, - წერს სააგენტო AP.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ ჩიკაგო, ნიუ იორკი და დალასი აპირებდნენ ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლას, მაგრამ ოლიმპიურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ვერ მოასწრებს არჩევნებისთვის ერთიანი კანდიდატურის მომზადებას.

**ჰოკეი**

### კალიფორნია ყველაზე კარგია

ბიზნეს-გამოცემა The Business Journals-მა გამოაქვეყნა ფინანსურად ძლიერი იმ ქალაქების სია, სადაც უახლოეს მომავალში შეიძლება გადაბარგდნენ ჰოკეის ეროვნული ლიგის წამგებიანი გუნდები. ჩრდილოეთ ამერიკის 58 ქალაქისგან შემდგარ სიაში პირველ ადგილზეა კალიფორნიული აგლომერაცია - რივერსაიდ-სან ბერნანდინო (ქალაქის ჯამური შემოსავალია - 125 მილიარდი დოლარი), თანაც ამ ადგილას არც ერთი პროფესიული გუნდი არ არის.

მეორე ადგილზეა ტეხასური ჰიუსტონი (110 მილიარდი, 4 გუნდი), მესამეზე ბრიჯპორტ-სტემფორდი კონექტიკუტის შტატიდან (69 მილიარდი, არ ჰყავს პროფესიული გუნდი).

საინტერესოა, რომ ყველა კანადურმა ქალაქმა ძალიან დაბალი რეიტინგი მიიღო: კვებეკი, სადაც NHL-ის კლუბის დაბრუნებას ყველაზე მეტად წინასწარმეტყველებენ, 31-ე ადგილზეა, ჰამილტონი ონტარიოს პროვინციიდან - 33-ე ადგილზე.

**ცურვა**

### უდოპინგო ჩემპიონატი

საწყლოსნო სახეობების საერთაშორისო ფედერაციამ შანხაიში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე აღებული დოპინგ-ტესტების შედეგები გამოაქვეყნა.

სულ პლანეტის პირველობის დროს 362 დოპინგ-სინჯი აიღეს, მაგრამ არც ერთ სახეობაში არ დაფიქსირებულა აკრძალული პრეპარატის მიღების ფაქტი. ყველა ანალიზის შედეგი უარყოფითი იყო.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

# კატიუშამ გაისროლა

„ვუელტას“ მეოთხე ეტაპზე მთის სპეციალისტებს პირველი სერიოზული გამოცდა ელოდათ. სიერა ნევადაზე ასვლას გულშემატკივრები დიდი ინტერესით ელოდნენ და ეტაპმაც ნაწილობრივ გაამართლა მათი იმედები.

როგორც ყოველთვის, აქაც ვიხილეთ გაქცეულთა ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებული ძალით არ გამოირჩეოდა. მასში ყველაზე შესამჩნევი ფიგურები იყვნენ ავსტრიელი **ტომას რორეგერი** „ლეოპარდ-ტრეკიდან“, რუსი **ედუარდ ვორგანოვი** „კატიუშადან“ და ამერიკის ჩემპიონი **მეტიუ ბუში** „რედიოშეკიდან“. გაქცეულებს საკმაოდ კომფორტული უპირატესობა ჰქონდათ - ეტაპის გვიან სტადიაზე რვა წუთი სხვაობა სოლიდური ფორაა, მაგრამ მათ მაინც არ გააჩნდათ რეალური შანსი. „გრანდ-ტურების“ დინამიკა აჩვენებს, რომ ასეთ გაქცევებს საბოლოოდ ლიკვიდაციას ფინიშამდე სადღაც ხუთ კილომეტრამდე ადრე უკეთებენ. ასეც მოხდა.

სანამ ეტაპის ბედი გაირკვეოდა, ტრასაზე ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - ბრძოლა შეწყვიტა მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერმა **მარკ კევენდიშმა**. „ჰაიროუდის“ ლიდერმა აუტანელ სიცხესა და მძიმე აღმართს ვერ გაუძლო და „ვუელტას“ მიტოვება გადაწყვიტა.

რაც შეეხება ფავორიტების გარჩევებს, ამას აღნიშნულ ეტაპზე არც ელოდნენ. როგორც ექსპერტები ამბობენ - სიერა ნევადა არ არის ის მთა, რომელზეც „ვუელტას“ მოგება შეიძლება, მაგრამ წაგება შესაძლებელია. დღის მთავარი იმედგაცრუება გახდა ესპანელი **იგორ ანტონი** „ეუსკატელიდან“, რომელმაც ძირითადი ჯგუფის არცთუ ისე მაღალი ტემპის მიუხედავად, სხვა ფავორიტებთან წუთ-ნახევარზე მეტი წააგო.


დანიელ მორენო

ბოლო კილომეტრებზე ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო „საქსო-ბანკის“ დანიელი წევრი **კრის ანკერ სიორენსენი**, ვინც რამდენჯერმე შეუტია და ბოლოს გაექცა პელოტონს. მაგრამ არ გაუმართლა: ცოტა ხანში ძირითად ჯგუფს ესპანელი **დანიელ მორენოც** („კატიუშა“) გამოეყო და ის ძალიან მალე დაეწია დანიელს. საფინიშო მეტრები უკეთ მასპინძელს გამოუვიდა - ბოლო 500 მეტრზე მან შანსი არ დაუტოვა სიორენსენს.

ცვლილებები მოხდა გენერალურ კლასიფიკაციაში. „ვუელტას“ ახალი ლიდერი გახდა „ქუიქ სტეპის“ ფრანგი **სილვენ შავანელი**. ის კარიერაში პირველად არ ჩაიცვამს ესპანური ველომარათონის ლიდერის მაისურას - ადრეც ყოფილა პირველ ადგილზე, მაგრამ დაწყებული საქმე ბოლომდე არასოდეს მიუყვანია.

**IV ეტაპი**

1. **დანიელ მორენო** (ესპანეთი, „კატიუშა“) - 4:51.53; 2. **კრის ასკერ სიორენსენი** (დანია, SaxoBank) - +0.03; 3. **დანიელ მარტინი** (ირლანდია, Garmin-Cervelo) - +0.11; 4. **ხოაკინ როდრიგესი** (ესპანეთი, „კატიუშა“) - იგივე დრო; 5. **პრჟემისლავ ნემეცი** (პოლონეთი, Lampre-ISD) - იგივე დრო; 6. **სერგეი ლაგუტინი** (უზბეკეთი, Vacansoleil) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **სილვენ შავანელი** (საფრანგეთი, Quick Step) - 13:19.09; 2. **დანიელ მორენო** (ესპანეთი, „კატიუშა“) - +0.43; 3. **იაკობ ფუგლსანგი** (დანია, Leopard-Trek) - +0.49; 4. **მაქსიმ მონფორი** (ბელგია, Leopard-Trek) - იგივე დრო; 5. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია, Liquigas) - +0.53; 6. **კონსტანტინ სივცოვი** (ბელარუსი, HTC-Highroad) - +0.58...

კრივი. ახალი ამბები

# ჰეი აღარ იჩხუბებს

## უმცროს კლიჩკოს მეტოქე უპოვეს


ჰეისა და კლიჩკოს ბრძოლა

მეორე საშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონმა, ბრიტანელმა **კარლ ფროჩმა** ჟურნალისტებს მოუყვა იმის შესახებ, რომ საუბარი ჰქონდა სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ **დევიდ ჰეისთან**. საუბრის თემა ჰეის სამომავალო კარიერა გახლდათ. ბრიტანელს არაერთხელ უთქვამს, რომ დიდი სპორტიდან 2011 წლის ოქტომბერში წავიდოდა - იმ თვეში მას 31 წელი უსრულდება. მაგრამ ჰეიმ ბოლო ბრძოლა უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოსთან** წააგო, ამიტომაც ჯერ ვერ გადაწყვიტა, წაგებულმა დატოვოს თუ არა დიდი რინგი. ფროჩმა კი ჰეისთან შეხვედრის შემდეგ ასეთი დასკვნა გამოიტანა: ექს-ჩემპიონი პროფესიულ კრივს აღარ დაუბრუნდება.

*„სასიამოვნო ხუთსაათიანი ტურისტული მოგზაურობა მქონდა დევიდ ჰეისთან ერთად,* - ამბობს ფროჩი BoxingScene.com-თან ინტერვიუში. - *არ მგონია, ის კარიერის განახლებას აპირებდეს. მართალია, ამის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ მე სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. მას ამაღლებულ ნოტაზე სურდა კარიერის დასრულება, მაგრამ არ გამოუვიდა. იჩხუბებს თუ არა დევიდი ისევ? მე ასე არ ვფიქრობ. ის ჩემზე სამი წლით უმცროსია, ასე რომ, ლოგიკური იქნებოდა, თუ მეც წავიდოდი რინგიდან, მაგრამ ჯერ გარკვეული გეგმები მაქვს“.*

■ ■ ■

კრივის საერთაშორისო ფედერაციამ (IBF) სუპერმძიმე წონაში ტიტულზე ოფიციალური პრეტენდენტის გამოსავლენად ბრძოლა დანიშნა. **ვლადიმერ კლიჩკოსთან** შესახვედრად ორი ამერიკელი გავა რინგზე - **ტონი ტომპსონი** და **ედი ჩემბერსი**. ბრძოლა 28 ოქტომბერს ატლანტიკ-სიტიში ჩატარდება.

IBF-ის რეიტინგში ტომპსონი პირველ ადგილს იკავებს, ჩემბერსი - მეორეს. კლიჩკო კი ამ ვერსიით ტიტულს 2006 წლის აპრილიდან ფლობს, როცა ამერიკელი **კრის ბერდი** დაამარცხა. გარდა ამისა, უკრაინელი WBA-სა და WBO-ის ვერსიებით მსოფლიოს ჩემპიონიცაა.

ცნობილია, რომ 39 წლის ტომპსონსა და 29 წლის ჩემბერსს მეგობრული ურთიერთობა აქვთ და მათ ინტერესებს ერთი და იგივე პრომოუტერული კომპანია იცავს. ადრე ბრძოლებისთვის მოსამზადებლად ისინი ხშირად მართავდნენ ერთმანეთში სპარინგებს. მომავალი ბრძოლის შესახებ გამოცხადების შემდეგ, ტომპსონმა სააგენტო AP-თან კომენტარში განაცხადა, რომ მომავალი ბრძოლა მას და ჩემბერსს ოცნების ასრულების შესაძლებლობას მისცემს.

ადრე ტომპსონიც და ჩემბერსიც შეხვედრილნი არიან უმცროს კლიჩკოს, როცა ისინი WBO-ის ტიტულის პრეტენდენტები იყვნენ. 2008 წლის დეკემბერში უკრაინელმა მე-11 რაუნდში ნოკაუტში გაუშვა ტომპსონი, 2010 წლის მარტში კი ასევე ნოკაუტით მოუგო (მე-12 რაუნდი) ჩემბერსს.

■ ■ ■

პირველ ნახევრადსაშუალო წონაში IBF-ის ყოფილმა ჩემპიონმა **ზაბ ჯუდამ** და მისმა პრომოუტერებმა ოფიციალური პროტესტი შეიტანეს ნევადას შტატის სპორტულ კომისიაში. ისინი ასაჩივრებენ ცოტა ხნის წინ WBA-ის ჩემპიონთან **ამირ ხანთან** ბრძოლის შედეგს და სასწრაფოდ მატჩ-რევანშის დანიშვნას ითხოვენ. შეგახსენებთ, რომ 23 ივლისს ჯუდა მეხუთე რაუნდში კორპუსში დარტყმის შემდეგ ნოკაუტში აღმოჩნდა. ბრძოლის შემდეგ ამერიკელმა და მისმა გუნდმა გამოაცხადეს, რომ დარტყმა მუცლის ქვემოთ იქნა განხორციელებული, მაგრამ მათი პროტესტი არ მიიღეს.

არადა, რამდენიმე დღის წინ ჩატარდა ბრძოლა **ჯოზეფ აგბეკოსა** და **აბნერ მარესს** შორის, რომელშიც აგბეკომ რეფერის უყურადღებობით მუცლის ქვემოთ ბევრი დარტყმა მიიღო და ერთ-ერთი ასეთი დარტყმის შემდეგ ბრძოლა ვერ გააგრძელა. IBF-მა პრაქტიკულად მაშინვე დააკმაყოფილა აგბეკოს თხოვნა და უმჩატეს წონაში განმეორებითი საჩემპიონო ბრძოლა დანიშნა. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა ჯუდას გუნდმა ხანთან ბრძოლის შედეგის გაპროტესტება.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **პლეი ოფი. II მატჩები** | |
| რუბინი-ლიონი | 1:1 (1:3) |
| ბენფიკა-ტვენტე | 3:1 (2:2) |
| შტურმი-ბატე | 0:2 (1:1) |
| უდინეზე-არსენალი | 1:2 (0:1) |
| პლზენი-კოპენჰაგენი | 2:1 (3:1) |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| რეალი-გალათასარაი | 2:1 |
| **ინგლისი** | |
| **ლიგის თასი** | |
| ბრისტოლი-სუინდონი | 0:1 |
| ექსეტერი-ლივერპული | 1:3 |
| პიტერბრო-მიდლსბრო | 0:2 |
| ვესტ ჰემი-ალდერშოტი | 1:2 |
| ბლექბერნი-უენსდი | 3:1 |
| ბოლტონი-მაკლსფილდი | 2:1 |
| ევერტონი-შეფილდი | 3:1 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტინენი-აალსტი | 1:4 |
| ვიზე-სტ. ნიკლაასი | 2:1 |
| ანტვერპენი-ეუპენი | 1:3 |
| დენდერი-ლომელი | 0:1 |
| ჰაისტი-ვოლუვე | 0:0 |
| ოსტენდე-ბორინაჟი | 2:1 |
| რუზელარე-შარლერუა | 3:0 |
| ტუბეკე-სტანდარდი (3) | 1:0 |
| ვაასლანდი-ბრიუსელი | 2:1 |
| **შოტლანდია** | |
| **ლიგის თასი** | |
| ეირი-ინვერნესი | 1:0 |
| ფალკირკი-სტენჰაუზმური | 3:1 |
| კლაიდი-მოზერველი | 0:4 |
| სტ. ჯონსტონი-ლივინგსტონი | 3:0 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| რუდნიცე-იაბლონეცი | 0:8 |
| უნიკოვი-ბანიკი | 0:3 |
| **ბოსნია** | |
| სელიკი-ოლიმპიკი | 1:0 |
| ველეჟი-კოჟარა | 0:0 |
| ჟვიეჟდა-ტრავნიკი | 3:2 |
| გოსკ-ლეოტარი | 2:1 |
| სლავია-სარაევო | 0:4 |
| სლობოდა-შიროკი ბრიეგი | 1:0 |
| ბორაცი-რუდარი | 3:1 |
| ჟელეზნიჩარი-ჟრინსკი | 3:3 |
| **ჩილე** | |
| უონდერერსი-უაჩიპატო | 2:1 |
| კობრესალი-უნ. ესპანიოლა | 2:2 |
| უნ. კონსეპსიონი-დეპორტესი | 3:1 |
| **ვენესუელა** | |
| ელ ვიხია-მონაგასი | 2:0 |
| სულია-დეპ. პეტარე | 0:1 |
| **იაპონია** | |
| ფუკუოკა-კობე | 2:2 |
| გამბა-კაშივა | 2:0 |
| ივატა-ვეგალტა | 1:1 |
| ნიიგატა-ომიია | 0:0 |
| კოფუ-კაშიმა | 1:1 |
| კავასაკი-ნაგოია | 1:2 |
| ურავა-ჰიროშიმა | 1:1 |
| იამაგატა-შიმიცუ | 1:1 |
| იოკოჰამა-სერეზო | 2:1 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევრობასკეტი** | |
| **საკვალიფიკაციო** | |
| პორტუგალია-ფინეთი | 78:86 |
| **აფრობასკეტი** | |
| კოტ დ'ივუარი-რუანდა | 80:72 |
| ტუნისი-ს. აფრიკა | 94:50 |
| მადაგასკარი-სენეგალი | 75:92 |
| მალი-მაროკო | 59:80 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ისრაელი-რუსეთი | 89:79 |
| საბერძნეთი-ბულგარეთი | 101:67 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. უინსტონ სალემი** | |
| დავიდენკო-**სტახოვსკი** | 4:6, 4:6 |
| **ბენეტო**-ანდრეევი | 2:6, 6:1, 7:6 |
| **ჰაასე**-დუკლო | 6:4, 7:5 |
| დიმიტროვი-**დოლგოპოლ.** | 4:6, 6:1, 6:7 |
| **ისნერი**-ნიემინენი | 7:6, 6:2 |
| **WTA. ნიუ ჰევენი** | |
| **ბარტოლი**-ზაკოპალოვა | 6:2, 2:6, 6:1 |
| **მედინა გარიგესი**-ვესნინა | 6:2, 7:6 |
| **პავლიუჩენკოვა**-ვინჩი | 6:2, 6:4 |

TV პროგრამა

**25 აგვისტო. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**11:00** ინგლისის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. III ტური. ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი.
**14:00** არგენტინის ჩემპიონატი. III ტური. არსენალი-ველესი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. III ტური. აიაჩო-ევიანი.
**18:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XVIII ტურის მიმოხილვა.
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:30** ამხანაგური მატჩი. გერმანია-ბრაზილია.
**00:30** გერმანიის ჩემპიონატი. III ტური. ბაიერნი-ჰამბურგი.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. III ტური. პსჟ-ვალანსიენი.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. პლეი ოფი. მაიამი-ჩიკაგო.
**14:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. ცინცინატი. აშშ.
**22:15** კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი - ბეკოს თასი. ბელგია-თურქეთი. ბამბერგი. გერმანია.
**23:50** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიოო მძლეოსნობა.
**00:20** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. პლეი ოფი. მაიამი-ჩიკაგო.

**I არხი**

**17:25** ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები - 81 კგ. ქალები. 63 კგ. საფრანგეთი (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. პლეი ოფი. დინამო (თბილისი)-აეკ. საპასუხო მატჩი (LIVE).
**23:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. პლეი ოფი. ბრიუგე-ზესტაფონი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**რუსთავი 2**

**19:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპის წილისყრა. მონაკო (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**19:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპის წილისყრა. მონაკო (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**17:25** ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები - 81 კგ. ქალები. 63 კგ. საფრანგეთი (LIVE).

**SPORT+**

**22:40** ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. II რაუნდი. სკანთორფი-ნიუკასლი (LIVE).

**EUROSPORT**

**18:00** ველოსპორტი. ვუელტა. VI ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
**19:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპის წილისყრა. მონაკო (LIVE).
**21:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ნიუ ჰევენი. აშშ (LIVE).

**EUROSPORT-2**

**00:00** ველოსპორტი. Pro Cycling Challenge. III ეტაპი. აშშ (LIVE).

ჩოგბურთი

# კენდრიკმა წასვლა გადაწყვიტა

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ამერიკელ ჩოგბურთელს **რობერტ კენდრიკს** ერთი წლიდან რვა თვემდე შეუმცირეს დისკვალიფიკაციის ვადა, რომელიც აკრძალული პრეპარატის მიღებისთვის ჰქონდა მისჯილი.

კენდრიკს იმედი ჰქონდა, რომ სპორტული საარბიტრაჟო სასამართლო მის თხოვნას გაითვალისწინებდა და დისკვალიფიკაციის ვადას სამ თვემდე დაიყვანდა, მაგრამ სასამართლომ სხვანაირად გადაწყვიტა.

ამის შემდეგ ამერიკელმა აღიარა, რომ დარწმუნებული არ არის, გააგრძელებს თუ არა კარიერას დისკვალიფიკაციის ვადის ამოწურვის შემდეგ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1. ახალი ამბები

# ბერნი: შუმიმ გუნდი უნდა ჩაიბაროს


ბერნი ექლსტოუნი

საზაფხულო არდადეგების დროს **მიხაელ შუმახერი** ისევ მოხვდა საყოველთაო ყურადღების ცენტრში. ამის მიზეზი ისაა, რომ გერმანელმა ცოტა ხნის წინათ განაცხადა - სეზონის შემდეგ, შესაძლოა, ვადაზე ადრე გავწყვიტო კონტრაქტი „მერსედესთან“ და საბოლოოდ წავიდე დიდი სპორტიდანო. მიუხედავად იმისა, რომ მალე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა უარყო ეს სიტყვები, ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** განაცხადა, რომ ვერ წარმოუდგენია „სამეფო რბოლები“ შუმახერის გარეშე და მას რომელიმე გუნდის ხელმძღვანელად ხედავს.

*„რთული წარმოსადგენია, რომ მიხაელი სამუდამოდ დატოვებს ფორმულა 1-ს, - ამბობს ექლსტოუნი ერთ-ერთ გერმანულ სააგენტოსთან ინტერვიუში. - მაგრამ ეს შესაძლებელია თუ ის ფიქრობს, რომ გუნდი არაკონკურენტუნარიანია და კარიერის დასრულების დრო მოვიდა.*

*მიხაელს თავისუფლად შეუძლია ფორმულა 1-ის გუნდს უხელმძღვანელოს - მას საკმარისი გამოცდილება და ნიჭი აქვს იმისთვის, რომ ახალ სამუშაოს უნარიანად გაუძლვეს“.*

ამ აზრს მხარს უჭერს „მერსედესის“ ბოსი **როს ბრაუნი**, თუმცა ის შუმახერის ამჟამინდელ სარბოლო თვისებებს კვლავაც შთამბეჭდავს უწოდებს.

*„მიხაელი - ბრწყინვალე მრბოლელია. ფართო პუბლიკისთვის შეუმჩნეველია დახურულ კარს მიღმა მისი გუნდში მუშაობა. თუ ჩვენ შუმის შევთავაზებთ ისეთ მანქანას, რომელიც კონკურენციას გაუწევს დღევანდელ ლიდერებს, ეჭვი არ მეპარება, რომ გერმანელი მერვე ტიტულს მოიგებს“,* - განაცხადა როს ბრაუნმა.

# ფერარი 2012 წელზე მუშაობს


წლევანდელი ფერარი

ახალი ამბებია „ფერარის“ ბანაკიდან. როგორც იტალიური საჯინიბოს შეფი **სტეფანო დომენიკალი** ამბობს, გუნდი აქტიურად მუშაობს 2012 წლის ბოლიდზე, თუმცა „სკუდერიას“ 2011 წლის სეზონში ხელი არ ჩაუქნევია და დარჩენილ რბოლებში მხოლოდ გამარჯვებები აქვს დაგეგმილი.

*„არდადეგების შემდეგ გუნდის ყველა თანამშრომელი მოტივირებულია ჩემპიონატის მეორე ნაწილში წარმატებით გამოსვლაზე. პირველობას ძველი მიზნებით ვუბრუნდებით - გვინდა ყველა დარჩენილი რბოლა მოვიგოთ და ქულათა მაქსიმუმი მოვაგროვოთ. არ ღირს საერთო ჩათვლაში დღეს არსებული მდგომარეობისთვის ყურადღების მიქცევა. სიტუაცია ოდნავ მოგვიანებით, რამდენიმე ეტაპის შემდეგ შევაფასოთ. გვაქვს წარმატებით გამოსვლის პოტენციალი და უნდა გვჯეროდეს საკუთარი თავის.*

*ჩვენ პრაქტიკულად დავასრულეთ წლევანდელი ბოლიდის მოდერნიზაცია - ამ მხრივ მუშაობა შეწყვეტილია, სამაგიეროდ, სრული სვლით მიდის ახალი სეზონის ბოლიდის მომზადება. ამ მხრივ ბევრი ცვლილება არ იქნება, რადგან ერთი შეხედვით, ახალი მანქანა წლევანდელი ბოლიდის განვითარებული ვარიანტია. მაგრამ, როცა მოდელი აეროდინამიკურ მილში ვნახე, შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ძალიან ინოვაციური ავტომობილი, რაც სავსებით ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ძირითად მიზანს: 2012 წელს „ფერარი“ პირველივე რბოლებიდან ძლიერი უნდა იყოს“,* - ამბობს დომენიკალი „ფერარის“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

# ნიკს ხელფასს არ უხდიან

ფინურმა გამოცემა Turun Sanomat-მა ახალი დეტალები გამოაქვეყნა „ლოტუს-რენოში“ შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. საქმე ეხება ბელგიის გრანპრიზე გერმანელი **ნიკ ჰაიდფელდის** ბრაზილიელი **ბრუნო სენათი** ჩანაცვლებას. გაზეთმა გაარკვია, რომ პოლონელი **რობერტ კუბიცას** მწყობრში ჩადგომამდე ნიკის კონტრაქტში არსებული პუნქტი მას გუნდში ადგილის შენარჩუნების საშუალებას აძლევს. მაგრამ თუ კონტრაქტი მაინც გაუქმდება, „ლოტუს-რენომ“ ჰაიდფელდს კომპენსაცია უნდა გადაუხადოს. გაირკვა ისიც, რომ გერმანელის ერთ-ერთი მენეჯერია **ჰაინც ვერნერი**, ვინც საკონტრაქტო დავების გადაწყვეტის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი გახლავთ.


ვინ ჩაჯდება რენოში?

იგივე Turun Sanomat იმასაც წერს, რომ „ლოტუს-რენო“ აქამდე დაგვიანებით უხდიდა ხელფასს ჰაიდფელდს.

კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია: ფრანგული საჯინიბო სინგაპურის ეტაპიდან ახალი გეგმის ამოქმედებას აპირებს. კერძოდ, „ლოტუს-რენოს“ საპრიზო პილოტი უნდა გახდეს **რომენ გროსჟანი**. ასე რომ, ჰაიდფელდის წასვლისა და სენას მოსვლის საკითხში ჯერ არანაირი სიცხადე არ არის.

ჩოგბურთი. ტურნირები

# ჩოგბურთი მიწისძვრის თანხლებით

ამერიკის კორტებზე აშშ-ის ღია პირველობისთვის ბოლო რეპეტიცია მიმდინარეობს. ყველაზე წარმომადგენლობითი ტურნირი ნიუ ჰევენში იმართება, რომელიც გუშინ, კინაღამ ჩაიშალა. შუა მატჩების დროს 5.9 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა და ორგანიზატორებმა სასწრაფოდ მოახდინეს ჩოგბურთელებისა და მაყურებლის ევაკუაცია. მიწისძვრის ეპიცენტრი ვირჯინიას შტატში იყო და ბიძგები „ფლეშინგ მედოუს“ კორტებზეც იგრძნობოდა, თუმცა იქ ამერიკის ღიას საკვალიფიკაციო მატჩები არ შეწყვეტილა.


მაკჰეილი: ამერიკელთა ახალი იმედი

საბოლოოდ, ნიუ ჰევენში სათამაშო დღე განაახლეს. იმ მომენტისთვის განრიგით ერთი მატჩი იყო დარჩენილი - პირველ წრეს ასრულებდნენ რუსი **ელენა ვესნინა** და სერბი **ელენა იანკოვიჩი**. ეს უკანასკნელი გასულ კვირას ცინცინატის სუპერტურნირის ფინალში თამაშობდა და ვესნინასთან მატჩში ფავორიტი იყო. მეტოქეებმა სეტები გაცვალეს, რის შემდეგაც გადამწყვეტ პარტიაში იანკოვიჩმა თითქოს გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ 3:1 დაწინაურებულმა რუსს ჯერ ანგარიშის გათანაბრების, 4:5-ზე კი ბრეიკის საშუალება მისცა და დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ მთელი მატჩის განმავლობაში იანკოვიჩმა ერთით მეტი გათამაშება მოიგო - 95:94.

დიდ ინტერესს იწვევდა მსოფლიოს პირველი ჩოგანის **კაროლინ ვოზნიაცკის** მატჩი სლოვენიელი **პოლონა ჰერცოგის** წინააღმდეგ. დანიელი ზედიზედ სამი წაგებით შეხვდა ამ შეხვედრას და, როგორც იქნა, ნორმალური დონის ჩოგბურთი აჩვენა, მაგრამ ჰერცოგი არ არის ის ჩოგბურთელი, რომლის მეშვეობითაც რეიტინგის ლიდერის მზადყოფნის შემოწმება იქნება შესაძლებელი. დანიელმა მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო სლოვენიელს (პირველ სეტში 3:3-დან კაროლინმა ზედიზედ ცხრა გეიმი მოიგო) და დამაჯერებლად შეაბიჯა მეოთხედფინალში, იქ კი მართლაც საინტერესო ბრძოლის მოწმენი გავხდებით.

ვოზნიაცკის მორიგი მეტოქე იქნება ამერიკელი **კრისტინა მაკჰეილი**. სწორედ ამ ჩოგბურთელმა მოუგო ცინცინატიში დანიელს და ახლა კაროს რევანშის საშუალება ეძლევა, თუმცა ეს არ იქნება იოლი გასაკეთებელი. 19 წლის მაკჰეილი აშკარად კარგ ფორმაშია - პირველ წრეში მან რუსი **სვეტლანა კუზნეცოვა** დაამარცხა, გუშინ კი გამოცდილ ესპანელს **კარლა სუარეს ნავაროს** მხოლოდ ოთხი გეიმი მოაგებინა. თამაში საათი და 11 წუთი გაგრძელდა.

ვოზნიაცკის ნიუ ჰევენში არასოდეს წაუგია (ზედიზედ 16 მოგება) და აქ ზედიზედ მეოთხე ტიტულს უმიზნებს. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ამ ბრწყინვალე სერიის შეწყვეტას ამერიკული ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავი.

**WTA**

**New Haven Open**

ნიუ ჰევენი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 618 000 დოლარი

**I წრე**

**ელენა ვესნინა (რუს)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 7) 6:4, 2:6, 6:4.

**II წრე**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 6:3, 6:0; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 3)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:2, 6:1; **კრისტინა მაკჰეილი (აშშ)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ) 6:2, 6:2.

■ ■ ■

მამაკაცები ამ კვირას ქალაქ უინსტონ-სალემში შეიკრიბნენ, თუმცა შემადგენლობა ძლიერი არ არის - პირველ ნომრად განთესილია ამერიკელი **ენდი როდიკი**, ვინც ამ კვირას რეიტინგის საუკეთესო ოცეულიდან გავარდა.

როდიკმა, როგორც იქნა, გაახარა თავისი გულშემატკივარი. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ბოლო ექვსი კვირის განმავლობაში მხოლოდ მეორე შეხვედრას ატარებდა და პირველ გამარჯვებას მიაღწია. ფეხის ტრავმამ ენდი ფორმიდან ამოაგდო და ახლა ის ინტენსიურად ემზადება ამერიკის ღია პირველობისთვის.

28 წლის ამერიკელმა 72 წუთში მოუგო მსოფლიოს 107-ე ჩოგანს, ფრანგ **ედუარდ როჟე-ვასელენს** - 6:2, 6:4. როდიკმა 11 ეისი შეასრულა, სამჯერ მოიგო მეტოქის გეიმი და პირველ მოწოდებაზე ქულების 66 პროცენტი აიღო. მისი შემდეგი მეტოქე **სანტიაგო ხირალდო** იქნება.

ჩვეულ სტილში მოიგო მეორე წრის შეხვედრა მეორე ამერიკელმა **ჯონ ისნერმა**. პირველ სეტში მან ტაი-ბრეიკი ითამაშა **დუდი სელას** წინააღმდეგ, მეორეში კი ორი ბრეიკი გააკეთა - 7:6(3), 6:2. ისნერის ანგარიშზე 77 წუთში 17 ეისი იყო.

ვერაფრით ახერხებს ოპტიმალური ფორმის დაბრუნებას ვეტერანი ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკი**. მასპინძელმა 61 წუთში წააგო ტურნირის მეათე ნომერთან **რობინ ჰაასესთან** - 4:6, 1:6. ამ ციფრებით თითქოს ყველაფერი ნათქვამია, მაგრამ ბლეიკი მთლად უშანსოდ არ ყოფილა - მას ათი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და ცხრა შანსი გაანიავა, ჰოლანდიელმა რვა ბრეიკ-პოინტიდან ხუთი გამოიყენა.

**ATP**

**Winston Salem**

უინსტონ სალემი (აშშ). ჰათრდი

**საპრიზო ფონდი:** 618 000 დოლარი

**II წრე**

**ენდი როდიკი (აშშ, 1)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ) 6:2, 6:4; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 3)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:4, 6:4; **ჯონ ისნერი (აშშ, 4)**-დუდი სელა (ისრ) 7:6(3), 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 5)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:2, 6:2; **ხუან მონაკო (არგ, 7)**-ტობიას კამკე (გერ) 7:5, 6:0; **სერგეი სტახოვსკი (უკრ, 9)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზ) 6:1, 2:6, 6:4; **რობინ ჰაასე (ჰოლ, 10)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:4, 6:1; **სტივ დარცისი (ბელ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 11) 3:6, 6:1, 6:3; **კეი ნიშიკორი (იაპ)**-პაბლო ანდუხარი (ესპ, 12) 7:6(3), 6:2; **იარკო ნიემინენი (ფინ, 13)**-დენის ისტომინი (ყაზ) 3:6, 6:4, 6:4; **გრიგორ დიმიტროვი (ბულ, 14)**-დონალდ იანგი (აშშ) 6:4, 2:6, 7:6(2); **სანტიაგო ხირალდო (კოლ, 15)**-ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ) 6:2, 6:3; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-იგორ კუნიცინი (რუს, 16) 6:3, 6:1; **პიერ ლუდოვიკ დუკლო (კან)**-რაიან ჰარისონი (ს. აფრ) 7:5, 7:5.

# ჯოკოს მინისტრი უხელმძღვანელებს


ერემიჩი და ჯოკოვიჩი

სერბულ ჩოგბურთში არსებული კონფლიქტი, სავარაუდოდ, სულ მალე გადაწყდება. პრობლემის მოგვარების გზა იქნება ქვეყნის ჩოგბურთის ასოციაციის პრეზიდენტის პოსტზე სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრის **ვუკ ერემიჩის** დანიშვნა.

*„ვუკ ერემიჩმა მოამზადა რამდენიმე კომპრომისული გადაწყვეტილება სერბულ ჩოგბურთში არსებული მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად. დევისის თასის ნახევარფინალი არგენტინის წინააღმდეგ და სავარაუდო ფინალი უკვე ერემიჩის პრეზიდენტობისას გაიმართება“,* - ამბობს ვოივოდინას (სერბეთის ავტონომიური ოლქი) ჩოგბურთის ასოციაციის პრეზიდენტი **მილან ერინკიჩი**.

სერბული პრესა წერს, რომ ქვეყნის ჩოგბურთის ასოციაციის ამჟამინდელი პრეზიდენტი **სლობოდან ჟივოინოვიჩი** საპატიო პრეზიდენტი გახდება, თუმცა ეს ინფორმაცია ჯერ არ დადასტურებულა.

შეგახსენებთ, რომ ამა წლის მაისში ერემიჩი სათავეში ჩაუდგა სერბი ჩოგბურთელების კავშირს, რომელშიც შედიან **ნოვაკ ჯოკოვიჩი, ვიქტორ ტროიცკი, იანკო ტიპსარევიჩი, ნენად ზიმონჟიჩი** და დევისის თასზე ქვეყნის ნაკრების კაპიტანი **ბოგდან ობრადოვიჩი**. საინტერესოა, რომ ერემიჩი ნოვაკ ჯოკოვიჩის მამის - **სდრიან ჯოკოვიჩის** ახლო მეგობარია. ახალი ორგანიზაციის შექმნის მიზეზი გახდა მოთამაშეების უკმაყოფილება ჟივოინოვიჩის გადაწყვეტილებების გამო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**